ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№203 (262) 15-22 იანვარი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სააკაშვილი ყველაფერს საქართველოს საზიანოდ აკეთებდა...

ამაში უკვე ეჭვი არ ეპარება არავის, მით უმეტეს, როცა თანდათან იშიფრება ყველა მისი განაზრახი, რომელიც განხორციელების შემდეგ მხოლოდ საქართველოს საზიანოდ იმუშავებდა.

თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ სააკაშვილმა წამოიწყო ჯერ კიდევ **“ვარდების რევოლუციად”** წოდებულ ავადსახსენებელ პროვოკაციამდე, როცა მან შევარდნაძესთან ერთად შექმნა იატაკქვეშა პოლიტიკური ალიანსი და იუსტიციის მინისტრის თანამდებობას იყენებდა მხოლოდ ქვეყნის იმიჯის შესარყევად და სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციისათვის. მაშინ, როცა სააკაშვილი თავად აქტიურად იყო ჩართული უცხოური ფირმების მიერ მოწყობილ ეკონომიკურ დანაშაულებრივ სქემებში (გაიხსენეთ თუნდა მისი დანაშაულებრივი კავშირები უცხოურ ფირმა **“პეტერსონ ბელქნაფთან”** და სხვა), იგი საჯაროდ სდებდა ბრალს საქართველოს მთავრობის წევრებს კორუფციაში, რითაც, მსოფლიო დონის პოლიტიკურ თაღლით და ავანტიურისტ ედუარდ შევარდნაძის ხელშეწყობით შეიქმნა იაფი პოლიტიკური ავტორიტეტი, შემდეგ კი ვითომ რევოლუციის გზით ძალადობრივად ჩაუდგა სათავეში საქართველოს ხელისუფლებას, რის შემდეგაც შეკრა დანაშაულებრივი ჯგუფი (ბარამიძე, მაჭავარიანი, კეზერაშვილი, წერეთელი, უგულავა, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია და სხვანი და სხვანი) და დიდი შემართებით შეუდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნგრევას.

სხვა ყველაფერს რომ თავის გავანებოთ, მხოლოდ **“ვარდების რევოლუციად”** წოდებული პოლიტიკური თაღლითობაც კი საკმარისია, რომ შევარდნაძე და სააკაშვილი ერთად აღმოჩნდნენ განსასჯელთა სკამზე, რადგან სწორედ ამ ავატიურის შედეგად მიადგა საქართველოს ლამის აუნაზღაურებელი მორალური და ეკონომიკური ზარალი, რომლის ლიკვიდაციას ალბათ წლები დასჭირდება!

ჩვენ ვეცდებით წარმოგიდგინოთ იმ ღონისძიებათა მცირე ჩამონათვალი მაინც, რომლის რეალიზაციის მიზანს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესუსტება და მისი საბოლოო განადგურება წარმოადგენდა, რითაც ეთნიკურად აშკარად არაქართველი მიხეილ სააკაშვილი (სააკიანი) განახორციელებდა დაშნაკთა მრავალსაუკუნოვან ოცნებას და **“უმტკივნეულოდ”** დაეუფლებოდა ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს.

ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის შესუსტების უტყუარ გზას წარმოადგენს ქვეყნის მეცნიერული პოტენციალის დაკნინება და განადგურება, რითაც დაიწყო სააკაშვილმა თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, რომელი თანამდებობაც მან ორჯერ მითვისა არჩევნების თავხედურად გაყალბების გზით! ჩამოიყვანა რა რუსეთიდან ადამიანის სახედაკარგული არსება – კახა ბენდუქიძე და ჩააბარა მას ეკონომიკის მინისტრის პოსტი, სწორედ იმ დრიდან გამოუცხადა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ დაუნდობელი ბრძოლა საქართველოს მეცნიერებას. უმაღლესი სასწავლებლებიდან უბოდიშოდ, ყოველგვარი განმარტების გარეშე დაითხოვეს ღვაწლმოსილი, კეთილსინდისიერი და პატრიოტული სულისკვეთების მქონე მეცნიერები და ისინი ჩაანაცვლეს გაუნათლებელი, უცხოეთში **“განსწავლული”**, ფრიად საეჭვო მორალისა და მოქალაქეობრივი ღირებულებებისადმი მიდრეკილი ახალგაზრდა **“სპეციალისტებით”**, რომელთა ძირითად მიზანს ტრადიციული ქართული სულისკვეთების წინააღმდეგ ბრძოლა და სუროგატული დასავლური კულტურის დამკვიდრება წარმოადგენდა (ამის დასტურად თუნდაც ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ვაი-რექტორის გიგი თევზაძის **“მოღვაწეობის”** გახსენებაც კი კმარა). ერთმანეთის მიყოლებიც დაიხურა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მრავალმილიონიანი ღირებულების მქონე მათი შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები კაპიკებში მიეყიდა მიხეილ სააკაშვილის დედას – გიული ალასანიას და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის სხვა წევრებს. ისეთი სახელოვანი მეცნიერები კი, როგორებიც იყვნენ ივანე კიღურაძე, თენგიზ სანაძე, მიხეილ ქურდიანი, ზაზა შათირიშვილი, გიორგი მარგველაშვილი და სხვები, სააკაშვილმა **“ჩარეცხილებად”** მონათლა და ქუჩაში გაყარა, მის ძალადობას შეურიგებელი მეცნიერები კი, როგორიც გახლდათ თუნდაც ვლადიმერ ვახანია, ციხის გზას გაუყენა პროკურორად წოდებულ როლანდ ახალაიასა და სხვა **“ნაცი”** არაკაცების ხელშეწყობით.

ამის შემდეგ, სრულიად საქართველოს ძალმომრეობისა და უსამართლობის სუდარა გადაეფარა. გაიხადა რა სრულიად საქართველო სათარეშოდ და თავის ბოროტ განაზრახთა აღსრულების საასპარეზო არენად, სააკაშვილმა მოისყიდა მასმედია (ხოლო, გაჯიუტებულ ტელეარხ **“იმედს”** თავისი ზონდერები მიუსია და შტურმით აიღო) და, ცრუ პროპაგანდის გავრცელებით, მარგინალურ ძალად აქცია ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი. სამაგიეროდ, თავადვე შექმნა ხელოვნური ოპოზიციური ძალა ქრისტიან-დემოკრატებისა და მათი სულმოკლე-მოდალატე გიორგი თარგამაძის სახით, და პარლამენტში შეიყვანა იგი. ამის შემდეგ ქართული პოლიტიკური არენა მოჩვენებითი ბრძოლისა და პოლიტიკურ შეხედულებათა ცრუ დაპირისპირების ასპარეზად იქცა. დასავლეთი კი ყოველივე ამას ოლიმპიური სიმშვიდით შესცქეროდა და ლამის **“დემოკრატიის შუქურად”** წარუდგენდა მოძალადე და მკვლელ სააკაშვილს მსოფლიო საზოგადოებრიობას!

ამის შემდეგ სააკაშვილმა მთლად აიყარა აღვირი, იქცა დემორალიზებულ და უზნეო არსებად, გადაეშვა გარყვნილების მორევში და ქვეყანა აქცია ქართული პოლიტელიტისათვის დიდი ფულის შოვნის არენად.

სააკაშვილის არაქართულ, ასევე დემორალიზებულ გარემოცვას დიდად არ ანაღვლებდა საქართველოს დღევანდელობა და მისი მომავალი და, ამიტომ, დაიწყო ქვეყნის ტოტალური ძარცვის პროცესი.

დაიწყო საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების გაჩანაგება (მრავალ მაგალითთა შორის ერთს მოვიყვანთ – ამას წინათ, ხე-ტყის ვანდალურად გაჩანაგების ბრალდებით დააკავეს ვანო მერაბიშვილის ბიძა – ლევან თუმანიშვილი), რის შედეგადაც გაჩნდა მეწყერები და ეკომიგრანტთა საკმაოდ დიდი ტალღა. ეკომდგომარეობას ართულებს ისიც, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ, დანაშაულებრივი გარიგებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმა უცხოელების მიერ რამდენიმე მსხვილი ჰესის მშენებლობა, რის შედეგად აიყრება მთელი სოფლები, გაჩნდებიან ახალი ეკომიგრანტები და კიდევ უფრო დამძიმდება ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც კლიმატის გლობალურ გაუარესებას გამოიწვევს.

ქვეყნისა და ერის განადგურება განა სხვა რამეა?

სააკაშვილმა წინასწარბოროტი, მავნებლური განზრახვით ჩაუყარა საფუძველი ისეთ მშენებლობებს, რომელიც ვერც ეკონომიკურ პლანში წაადგება საქართველოს და ვერც გეოპოლიტიკურად. ავიღოთ თუნდაც ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა, რომელიც ხელსაყრელია აზერბაიჯანისა და თურქეთისათვის, მაგრამ სრულ გაკოტრებას უქადის ბათუმისა და ფოთის პორტებს და ფოთი-ბაქოს საუკუნენახევრიანი ისტორიის მქონე რკინიგზას. აღნიშნული ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმებამ კი, საქართველოს, შეიძლება გაურთულოს მეზობლური ურთიერთობები. მკითხველმა განსაზღვროს, არის თუ არა სააკაშვილის ეს განაზრახი მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ?

ყველაზე დიდი ვერაგობა, რაც სააკაშვილმა საქართველოს წინააღმდეგ ჩაიდინა, გახლდათ ის, რომ მიიღო კანონი ოკურაციის თაობაზე, რითაც თითქოს დიდი ზიანი მიაყენა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტს. სინამდვილეში, ამ მოქმედებით, მან საბოლოოდ მოუჭრა გზა საქართველოს ნატოსაკენ, რადგან ნატოს წესდება კატეგორიულად ეწინააღმდეგება თავის რიგებში იმ სახელმწიფოს გაწევრიანებას, რომელსაც ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები გააჩნია!

ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ყოველივე ეს შეგნებულად არ იყო გაკეთებული, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველი ერის გეოპოლიტიკური დეზორიენტირების საქმეს ემსახურებოდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა არასოდეს ემხრობოდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და უფრო ქვეყნის ნეიტრალიტეტს ემხრობოდა.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მოხდა ქრისტიანობისაკენ სრულად შემოტრიალებული აჭარის ხელმეორე გათურქება, რაც ასევე საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური ქვეყნის შესუსტებას ისახავს მიზნად. და საერთოდ, ანტიქრისტე სააკაშვილმა და მისმა ბანდამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მართლმადიდებლობას და სომხეთის ეკლესიის კათალიკოს გარეგინას საამებლად საქართველოს პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომელმაც ლამის ერთ-ერთი რიგითი სექტის რიგებში ჩააყენა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. ასეთი დიდი სიბოროტე საქართველოს ეკლესიისათვის თვით მოძალადე გადამთიელებსაც კი არ გაუკეთებიათ! სამწუხაროა, რომ სააკაშვილს თვით ეკლესიის წიაღშიც კი გამოუჩნდნენ ქრისტეს მგმობელი მაამებლები, თუნდაც ისეთები, როგორიცაა კალისტრატე, მეუფე გარმელია და სხვები, რომლებიც ურცხვად უკმევდნენ ამ მართლაც ანტიქრისტეს, მისი სურათები ეკიდათ კელიებში და ამ ქვეყნის ამაოხრებელს აღმაშენებლად მოიხსენიებდნენ წირვა-ლოცვებში!

სამწუხაროდ, ტირანად ქცეულ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა დაწვრილებითი ახსნა დიდ დროსა და საგაზეთო სივრცეს მოითხოვს. ამიტომ მხოლოდ ამ დანაშაულთა ნუსხას მივაწვდით მკითხველებს.

პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის პოლიტიზირება და ხალხის დასაშინებელ ინსტრუმენტად გადაკეთება, უკანონო ძალოვანი ფორმირებების (ეგრეთწოდებული **“ზონდერბრიგადების”**) შექმნა, რომლებიც პოლიციელებთან ერთად მონაწილეობდნენ მშვიდობიანი მანიფესტაციების მხეცურად დარბევაში.

გოდერძის უღელტეხილზე მაგისტრალის გაყვანა, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ შეეძლო მოეტანა საქართველოსათვის და ქმნიდა ჯავახეთის დაკარგვის რეალურ შანსს.

ცხრა წელიწადში 400 ათასამდე ადამიანის სიცხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და საპროცესო გარიგებებით ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღატაკება.

საქართველოს მოსახლეობისათვის გაუსაძლისი ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, რათა მოსახლეობას ლუკმა-პურის ძიებაში დაეტოვებინა სამშობლო და შორეთში გადახვწილიყო.

უცხოელებზე მიწების მიყიდვა, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს ერთიანობას და მის სახელმწიფოებრიობასაც კი.

სააკაშვილის ამორალურობა და ზნედაცემულობა, მილიონობით თანხების ხარჯვა მასაჟისტი თუ სხვა საეჭვო ყოფაქცევის ქალების საქართველოში ჩამოყვანასა და მათთვის კონცერტების გამართვაში, რასაც, რატომღაც **“ვერ ამჩნევდა”** დასავლეთი.

2008 წლის ომის გაჩაღება და დანაკარგის იურიდიული გაფორმება. ეჭვია, რომ 2008 წლის სექტემბერში იწურებოდა რუსეთის სამშვიდობო მისი აფხაზეთსა და ოსეთში და მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ამფსონმა სომხებმა რუსეთიდან ერთობლივად ჩაიფიქრეს ეს ომი, რათა საქართველოს საბოლოოდ დაეკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ეს იმითაც დასტურდება, რომ შემდეგ სააკაშვილი ყოველნაირად უშლიდა ხელს აფხაზებსა და ოსებთან სახალხო დიპლომატიის აღდგენას. მისივე უშუალო ბრძანებით დახურეს ერგნეთის ბაზრობა, რომელიც დადებით როლს თამაშობდა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში.

ეკონომიკის გეგმაზომიერად განადგურება, ქართული თევზსაჭერი და სავაჭრო ფლოტის ჯართად დაშლა და გაყიდვა, წარმოება-დაწესებულებების განადგურება...

ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება და ბაზარზე მონოპოლიების შექმნა, რამაც ხელი შეუწყო შემდგომში ელიტური კორუფციის დამკვიდრებას.

პარლამენტის და დედაქალაქის გადატანა ქუთაისში, რაც წარმოადგენდა ჩვენი ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის რეაქციული წრეების საუკუნოვან ოცნებას.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალი გახლავთ სააკაშვილის მიერ ჩადენილი ავკაცობისა.

ეჰ, ღმერთო ნუ მიწყენ, მაგრამ მართლაც გვიბოჭავს სულსა და ხელებს ჩვენს წინაპართა მიმტევებლური გენი, თორემ, როგორ შეიძლება ასეთ მწყურვალ ადამიანს ჭიქა წყალი მიაშველო, ან ლუკმა გაუწოდო მაშინ, თუ იგი შიმშილისაგან დაფავს სულს! მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ და მივუტევოთ, რადგან თავშისაცემად ისიც ეყოფა, რომ ვერ აღასრულა თავის რეაქციონერ დამკვეთთა გეგმა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა კი შეარყია მისგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩამოცილების დაკანონებით, მაგრამ მისი ვერაგული ჩანაფიქრის დროულად ახსნამ და მისმა ალაგმვის სურვილმა მაინც გააერთიანა და გამარჯვებამდე მიიყვანა სრულიად საქართველო!

როგორც ამბობენ: **“ზოგი ჭირი მარგებელია!”**

თქვენი გამარჯვებისა იყოს!

მოგზაურობანი

მთისკენ. – ხელუხლებელი სამეფო წიფლისა. – მისი გადარჩენის მიზეზი. ისიც გაიკაფება. – უღმერთო ბილიკი ანარიის მთისა. – გზის დამამშვენებელი: წყაროები, მთის ნაკადულები, ნისლი. – მეორე გაზაფხული. – წყავის ბუჩქები. – დასასრული მთის გზისა.

იქავ ყინულივით ცივ წყაროზედ ხელ-პირი დავიბანეთ და საუზმეს შევუდექით. ისევ ის მაწვნით სავსე ჩაყვა, ისევ ის ჭყლინტი ყველი, ისევ ის ქიფური!..

საერთო ცნობისმოყვარეობის საგანი გავხდი. ბინის უფროსმა ბოდიშის მოხდით მკითხა:

– უკაცრავად კი ნუ ვიქნები, და თქვენ **"ჩინონიკი"** ხომ არ ბრძანდებით?

– არა.

– **"პისერი"**?..

– არც **"პისერი"**.

– იქნება გამოქცეული ვინმე ხართ (ყაჩაღი თუ?) და მთაზე დამალვა გინდათ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სანამ ჩვენთანა ხართ, თავზე ერთი თმაც არ მოგაკლდებათ მტრის ხელიდან. გამოქცეულებისა და გაჭირვებულთ დაფარვა მწყემსებმა ვიცით! უმალ ჩვენ გავწყდებით, სანამ ჩვენი კარვის სტუმარს ცუდს რამეს შევამთხვევთ!..

– გაზეთს **"აკეთებსო"**, – გამომიხსნა გაჭირვებისაგან ჩემმა ჩიჩერონე – გუძამ.

– მაშ, რაკი გაზეთის **"მკეთებელი"** ბრძანდები, ჩვენი გაჭირვება მაფას (მეფეს) შეატყობინე, შეღავათი რომ გვიწყალობოს, ბევრი გადასახადი გვაწევს, – მთხოვა ჩემმა სტუმართმოყვარე მასპინძელმა.

მახსოვს, რადაცა ორაზროვანი ნუგეში მივეცი.

მაინც ვეცდები, რაც რამე ვნახე მათთან ყოფნის დროს, ან გავიგონე, თუ მაფას არა, მკითხველს მაინც გავუზიარო.

აფუნი. – იალაღები. საქონლის ძოვების წესი. – ძველი და ახალი დრო მთაზე. – მერძეობა: ნაწი, დვრიტა, ყველი, ძიფური, მაწონი. – ერბო-კარაქის კეთება არ იციან! – მატყლი, როგორც წყარო იძაური მკვიდრის შემოსავლისა. – საკლავი საძონელი

საქონლის მოშენებას (განსაკუთრებით წვრილფეხა საქონლის) სამურზაყანოში მთის კალთებზე მდებარე სოფლების მკვიდრნი მისდევენ. ასეთი სოფლები სულ შვიდია: საბერიო, დიხა-ზურგა, რეჩხი, ღუმურიში, ოქუმი, ჩხორთოლი და ბედია. როცა მზის სხივებს სიცხოველე მოემატება და მთაში თოვლი დაიძვრის, ე.ი. როცა **"აფუნი"** (მთაში წასვლის დრო) დადგება, რამდენიმე მწყემსი ერთმანეთს შეჰპირდებიან, ერთ ფანიად (ერთ ოჯახად, ერთ კარვად) შეეერთდეთო. მერე ერთი-მეორეს თავიანთ საქონელს აშინჯვინებენ, – ნახეთ, მთელი საქონელი მყავს, თუ გასარევი ვარ, გამირიეთო. თითოეულ ამხანაგს ზოგს 100 სული თხა ჰყავს და ამდენივე ცხვარი, ზოგს – 50 და სხვა. რაკი ერთ ფანიად შედგებიან, საერთოდ ირჩევენ სარქლად ერთ გამოცდილ, სიტყვა-პასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები ემორჩილებიან, როგორც უფროსს. უამისოდ ფეხს ვერ გადადგამენ, ის არის მათი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი.

სანამ მთის გზას შეუდგებოდნენ, ყოველი მწყემსი თავის მოვალეობად სთვლის ილორის წმინდა გიორგის (აფხაზეთშია, ოჩამჩირეს ახლო) შეავედროს თავისი თავი და საქონელი: შენი წყალობა გაგვატანე, თუ უვნებლად ჩამოგვიყვან ჩემი საქონლითა, შენს კარზე (ილორის ეკლესიაში) ვერძს დაგიკლავო.

სამურზაყანოელებს უფრო მახლობელ მთებზე მიუდით საქონელი, ანარია, აცგილარა, აკიბო, აიცი, ჰარვა, ბაშკაფსარა, არმუე, ჯოღორძაგა, საკენი, თენგიზ-თიფ, ფაშვი-თიფ, ხოჯელი – ყველა კარგ საძოვარ მთებად ითვლება, თუ გვიანი ზამთარი არ იქნა.

ზემოდასახელებული საძოვარი მთები სახელმწიფოსია. ადგილობრივი თავადიშვილები მელიტონ ემუხვარი და სხვანი, ხაზინისაგან იჯარით იღებენ ამ მთებს და მათი სივრცის მიხედვით იხდიან იჯარის ფულსა 200-400 მანეთამდე თითოეულ მთაზე. ესენი, თავის მხრივ, მწყემსებს აძლევენ აქ საქონლის ძოვების ნებას. თითო სულ ცხვარზე ახდევინებენ ორ შაურსა, ხოლო თხებს უფასოდ აძოვებინებენ, რადგან მთაში უთხოდ გაძლება არ შეუძლიათ მწყემსებსა. ზაფხულობით მთაზე ცხვარს არა წველავენ, რადგან, ჯერ ერთი, ბინები არა აქვთ და არც ცხვრები ნებდებიან საწველად. თხა არის მთაზე მწყემსის მარჩენალი, უიმისოდ ერთ დღესაც ვერ გასძლებენ. ამიტომ თხას მწყემსები მთის **"ბად-მარანს"** ეძახიან. მეცხვარეების გარდა მთაზე მეძროხეებიც ამოდიან. თითოეულ ძროხაზე ხუთ შაურს იხდიან საძოვრისას.

მეწველ საქონელთან ერთად მწყემსებს მთაზე ცხენებიც ამოუდით გასასუქებლად. სამურზაყანოში იშვიათია მოსახლე კაცი, რომ ცხენი არა ჰყავდეს. მთელ ზამთარს ხედნიან და გაზაფხულის პირზე მწყემსებს აბარებენ მთაზე წასაყვანად. ცხენის თავზე მწყემსი გასამრჯელოს თითო მანეთს იღებს პატრონისაგან. ამ ფასში ვალდებულია მთაზე ყური უგდოს ცხენსა, რომ კარგად გასუქდეს, არსად კლდეზე არ გადაიჩეხოს და მარიამობისთვის გასულს ისევ პატრონს ჩააბაროს მთელი, უვნებელი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთაზე ყოფნის დროს ცხენი კლდეში გადაიჩეხება. ამ შემთხვევაში მწყემსი ვალდებულია პატრონს მკვდარი ცხენის ტყავი მოუტანოს ნიშნად იმისა, რომ ცხენი მართლა მკვდარია და არა მოპარული, ან გაყიდული. მაშინ მწყემსი პატრონს არ უზღავს ცხენის საღირალს.

არდისულად სამურზაყანოს მთებზე ყოველ ზაფხულს 30.000 სული ცხვარი ამოუდით, 1.500 თხა. 1.000 ცხენი და 500-ზე მეტი ძროხა.

თხის ჯოგს მწყემსები მაღალ მთაზე არ ერეკებიან. უფრო დაბალ მთებს ეტანებიან საბალახოდ, სადაც საზღვარია ტყისა და ალპიური მცენარეებისა. განსაკუთრებით იმ ადგილებს არა შორდებიან, საცა წყავია ბლომად. თხა ამ ბუჩქის ფურცელს ძალიანა სძოვს. თავშესაფარ კარვებს თხის მწყემსები არ იკეთებენ, თუმცა ხე-ტყე ყოველთვის სამყოფადა აქვთ, – დავიდარაბა ეზარებათ. სხვათა შორის, მათი უბინაობის მიზეზი ისიც არის, რომ ერთ ალაგას ფეხს არ იკიდებენ ბინადრებად; სულ ბევრი, 10 დღე გააჩერონ თხები ერთ ალაგას. თიფუს (ბინის) ცვლა და უკეთეს საბალახო ადგილის ძებნა ძალიან უყვართ. მეძროხეები უფრო არიან ბინადრები; ერთ ალაგას მთელი თვეობითა ჩერდებიან და კარვებიცა აქვთ. სულ სხვაა მეცხვარეთა საქმე (თხასა და ცხვარს ცალკე აძოვებენ), რომლებიც სულ შიშველ მთაზე მიდიან, საცა ალპიური ბალახის მეტი არაფერია. იშვიათად შეგხვდებათ იელი (**Rhododendron caucasikum**), ისიც მეტად დაგვალულია, ნახევარი ადლი-და აქვს სიმაღლე. საკარვე მასალა არსად იშოვება. ერთხელ მოჭრილი სააშვამკიათო სარები ერთის ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. შეშად მარტო იელსა ხმარობენ.

– – –

აქაურ მთებს, გარდა იმისა, რომ ზედ საუცხოო საძოვარი ადგილებია, ის კარგი და მწყემსისათვის სახარბიელო ღირსებაცა აქვთ, რომ მათი საქონელი აქ უზრუნველყოფილია ქურდბაცაცებისა და აკლებისაგან. ახლაც გულისწვით იგონებენ მწყემსები იმ **"ომარ-ხანობის დროსა"**, როცა ეს მთები ასპარეზი იყო ცალკე სვანების და ცალკე აფხაზების თავგასულობისა. მარშანიას გვარი ადრე რისხვასა და შიშის ზარსა სცემდა მთელს მწყემსობასა. 20-30 კაცი თავხედურად დათარეშობდნენ ზაფხულში მთებზე და მეცხვარეების ავლა-დედიბას ანიავებდნენ. ეს უკანასკნელნიც ცდილობდნენ ისე ადვილად არ დაეთმოთ მტრისათვის წვითა და დაგვით ნაზარდი საქონელი. იმართებოდა ჩხუბი. დათრგუნვილნი და დარბეულნი, უმეტეს შემთხვევაში, მშვიდობისმოყვარე მწყემსები რჩებოდნენ. საქონელთან ერთად დამრბეველებს ხშირად მწყემსებიც მიჰყავდათ ტყვედ. დღეს კი სამურზაყანოს მთებზე მეცხვარენი იმასდა ცდილობენ თავიანთ საქონელს კარგი საძოვარი ადგილები აურჩიონ და ეს საძოვარი ადგილები სვანეთის საზღვარზე ახლოს იქნება თუ შორს, ამის დარდი არ აწუხებთ.

– – –

მერძეობა აქ მამა-პაპური წესითა სწარმოებს. ამ მხრივ სამურზაყანოს მწყემსებს არავითარი წინსვლა და წარმატება არ ეტყობათ. ისევ ის იარაღები, ისევ ის უანგარიშობა, რაც 30-50 წლისა და იმის იქით იყო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

აფხაზ დეპუტატებს სურთ, რომ ბავშვებისათვის შეზღუდონ ინტერნეტით სარგებლობა

ქალაქ სოხუმის სათათბიროში განიხილეს ბავშვებისათვის ინტერნეტით სარგებლობის დროს შეზღუდვის საკითხი, რაც დღეს ანგარიშგასაწევ პრობლემად მიიჩნევა არა მხოლოდ აფხაზეთის რესპუბლიკაში. ამის თაობაზე ინფორმაციას აქვეყნებს სააგენტო **"აფსნიპრესი"**.

აღნიშნული ინიციატივით გამოვიდა სოხუმის სათათბიროს თავმჯდომარე კონსტანტინე ფილია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მართალია, დღეს ინტერნეტში ქვეყნდება უამრავი საინტერესო ინფორმაცია, თუმცა ხშირია არასასურველი და მავნებლური ინფორმაციების ნაკადის მოზღვავებაც, რაც უაღრესად უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. გარდა ამისა, ინფორმაციის მრავალფეროვნება ბავშვს კი ხდის ინფორმირებულს, მაგრამ ეს არ გახლავთ ისეთი სრულყოფილი განათლება, რაც ბავშვს შეიძლება წიგნმა მოუტანოს. სწორედ წიგნის მეშვეობით იძენს მოზარდი ანალიზის უნარს, ინტერნეტით მიღებული **"განათლება"** კი მას მხოლოდ კროსვორდის შესავსებად თუ გამოადგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზ დეპუტატებს აუცილებლად მიაჩნიათ, რომ ინტერნეტპროვაიდერებმა მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ მოზარდების დაშვება **"არასასურველ"** საიტებთან.

კონსტანტინე ფილიას ამ ინიციატივას ერთხმად დაუჭირეს მხარი კოლეგა-დეპუტატებმა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პროვაიდერებმა შეიმუშაონ სპეციალური პროგრამა, რაც შეუზღუდავს ბავშვებს ინტერნეტით სარგებლობის დროს. თუმცა, აზრები გაიყო იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას დადგენილი ამა თუ იმ საიტის **"მავნებლობის"** პარამეტრი.

აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატებმა 2013 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი განიხილეს

აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატებმა მეორე, უკანასკნელი წაკითხვით დაამტკიცეს კანონპროექტი **"აფხაზეთის რესპუბლიკის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"**.

2013 წლისათვის აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი შეადგენს 5 მილიარდ 29 მილიონ 437 ათას რუბლს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი განსაზღვრულია 5 მილიარდ 363 მილიონ 913 ათასი რუბლით. ამრიგად, ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 334 მილიონ 476 ათას რუბლს. ბიუჯეტში ასევე სრულადაა გათვალისწინებული ის თანხა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია უანგაროდ, დახმარების სახით გადასცემს აფხაზეთის რესპუბლიკას, საკუთარი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც ჯამში შეადგენს ერთი მილიარდ 839 მილიონ 540 ათას რუბლს.

ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 106 მილიონი რუბლით (რაც თავისთავად მიანიშნებს მზარდ ეკონომიკურ პროცესებზე), რომელიც ბიუჯეტის სრული რაოდენობის 3,6 პროცენტს შეადგენს. ფისკალური პოლიტიკის კუთხით საბიუჯეტო შემოსავალი განსაზღვრულია 2 მილიარდ 114 მილიონი რუბლით. ამ კუთხით მიღებული შემოსავლების ძირითადი წყაროებია მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

2013 წელს აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მოხმარდება ერთი მილიარდ 443 მილიონ 208 ათასი რუბლი, მათ შორის საინვესტიციო პროექტებისათვის გამიზნულია 840 მილიონი რუბლი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის – ერთი მილიარდ 464 მილიონ 208 ათასი რუბლი, მეცნიერების განვითარებისათვის – 103,33 მილიონი რუბლი, საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად – 64,36 მილიონი რუბლი, სახელისუფლებო ორგანოების დასაფინანსებლად – 102,58 მილიონი რუბლი, სახელმწიფო დაწესებულებების დასაფინანსებლად – 488,49 მილიონი რუბლი, სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოების დასაფინანსებლად – 975,327 მილიონი რუბლი.

აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მთავრობის, ქალაქ სოხუმის ადმინისტრაციისა და რესპუბლიკის რაიონების სარეზერვო ფონდებიდან ხარჯებისათვის გამოყოფილი იქნება 194,2 მილიონი რუბლი, ხოლო სხვა ხარჯებისათვის გამიზნული იქნება 121 მილიონ 65 ათასი რუბლი. სახელმწიფო საგარეო ვალების დაფარვას 2013 წელს მოხმარდება 50 მილიონი რუბლი, ხოლო ქალაქ სოხუმისა და აფხაზეთის რაიონების ბიუჯეტთა შიდა ვალების გადაფარვაზე გამოიყოფა 43,5 მილიონი რუბლი.

აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას აფხაზეთის სახელმწიფო ბანკში 1992 წლის 14 აგვისტომდე შეტანილი ანაბრების საკომპენსაციოდ მოხმარდება 30 მილიონი რუბლი. და ეს მაშინ, როცა არც შევარდნაძისა და არც სააკაშვილის ხელისუფლებას თითიც კი არ გაუნძრევია, ამ კუთხით დაზარალებული, საქართველოს მოსახლეობის კომპენსირებისათვის.

დეპუტატები საკმაოდ დიდ ხანს განიხილავდნენ საინვესტიციო პროექტების დაფინანსების საკითხს, რომელმაც აზრთა დიდი სხვაობა გამოიწვია, თუმცა, საბოლოოდ მაინც შეთანხმდნენ, რომ ბიუჯეტის ამ სტატიას ეტაპობრივად მოხმარდება 840 მილიონი რუბლი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲠᲥᲕᲐᲡ

2012 წლის 21 დეკემბერს, 1991-1992 წლების შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების 21-ე წლისთავზე, რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა პუტჩის ერთ-ერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი თენგიზ კიტოვანი. ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გადატრიალების დაწყების დღეს კიტოვანის თბილისში ჩამოსვლა სხვა არაფერია თუ არა ზღვარგადასული ცინიზმი და ქართველი საზოგადოების აბუჩად აგდება. კიტოვანისეული ურცხვობისა და უტიფრობის კლასიკური ნიმუშია ასევე 2012 წლის 24 დეკემბრის გაზეთ „პრაიმტაიმი“-ს ჟურნალისტის მარიამ ნადირაძისთვის მიცემული ინტერვიუ, სადაც ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევის, კონსტიტუციის მოქმედების შეჩერების, ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური განადგურების ერთ-ერთი შემოქმედი ქვეყნის მოწყობის ხედვებზე საუბრობს და ბრიყვული პატივმოყვარეობისა და თავდაჯერებულობით აცხადებს, რომ 1991-1992 წლებში მისი ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი ის იყო, რომ თურმე "მრავალ დანაშაულს სჩადიოდა გამსახურდია". მსგავსი თავგასულობა და უპასუხისმგებლობა შედეგია იმ შერჩევითი სამართლისა და სახელმწიფო დამნაშავეების დაუსჯელობისა, რასაც საქართველოში ადგილი აქვს ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე. კიტოვანის ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე თბილისში ჩამოსვლა გახდა იმის საფუძველი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა გადავწყვიტეთ 25 დეკემბერს, 14 საათზე, პროკურატურის წინ გაგვემართა საპროტესტო აქცია (რომელსაც შემოუერთდა პარტიები: "თავისუფალი საქართველო“ და „პარტია-თავისუფლება-ზვიადის გზა“), რათა მთავარი პროკურორისთვის არჩილ კბილაშვილისთვის წაგვეყენებია შემდეგი მოთხოვნები: 1) მიეცეს სამართლებრივი შეფასება 1991-1992 წლების შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას; 2) აღიძრას სისხლის სამართლის საქმე პუტჩის ორგანიზატორების, სამხედრო საბჭოს წევრებისა და 1992 წლის 3,7 იანვრისა და თებერვლის მშვიდობიანი მიტინგებისა და მანიფესტაციების დახვრეტების დამკვეთებისა და შემსრულებლების წინააღმდეგ.

ამ დღეებში, საინიციატივო ჯგუფი, ზემოთ აღნიშნული სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ვაპირებთ წერილობითი განცხადებით მივმართოთ მთავარ პროკურორს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ყველას და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი.

ᲔᲗᲔᲠ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲗᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ

კიდევ ერთი დიდებული წიგნი გამოვიდა ქართველი მკითხველის სამსჯავროზე – მართალია ეს წიგნფურცელა მცირეტანიანი ბროშურაა, მაგრამ მასში ჩატეული ინფორმაცია ფასდაუდებელია და მისი აზრობრივი განვრცობა საკმაოდ დიდ ფოლიანტსაც კი შეავსებდა.

სასიქადულო მეცნიერმა და მამულიშვილმა კლიმენტი შელიამ გამოსცა წიგნი სათაურით **"კოლხეთი (საქართველო) – მსოფლიოს პირველი ქვეყანა, კოლხური ენა (ქართული ენა) – მსოფლიოს პირველი ენა. სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები, ადამიანები – საქართველოში გაჩნდა."**

ეჭვსგარეშეა, მკითხველთა ცხოველ ინტერესს გამოიწვევს აღნიშნული ბროშურის ქვესათაურები: **"იაპონელი აიანები – უძველესი კოლხური ტომები", "კოლხი თათუ-ნეფერტიტი და აიე – ეგვიპტის ფარაონები", "კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი კოლხი (ქართველი) იყო", "ჰოტუ (ხოტუ) მატუა – აღდგომის კუნძულის პირველი მეფე", "უნაჩები (გუნაჩები) – მეგრული (ქართული) ტომები", "აფრიკაში "მეგრელი ზანგები" ცხოვრობდნენ"** და სხვა.

რომ არა ბატონი კლიმენტის შეუვალი ავტორიტეტი მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში, ავტორის ზოგიერთი თვალსაზრისი შეიძლება ფანტასტიკის სფეროს მივაკუთვნოთ, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ავტორის მიერ მოყვანილი ყოველი ფაქტი თუ შეხედულება ხანგრძლივი მეცნიერული კვლევისა და მეცნიერული მიკროსკოპული დაკვირვების შედეგი გახლავთ, რაც თავისთავად უაღრესად დამაჯერებელს ხდის ნებისმიერ ავტორისეულ მტკიცებულებას კოლხური ცივილიზაციის თვალუწვდენ არეალთან დაკავშირებით. თითქოსდა რა უნდა ჰქონდეთ საერთო კოლხეთიდან ათიათასობით კილომეტრით დაშორებულ აღდგომის კუნძულის, ეგვიპტის ან იაპონიის მცხოვრებლებს, მაგრამ მორფოლოგიის, სინტაქსისის, ეროვნული ტრადიციებისა თუ სხვა წეს-ჩვეულებების გამოწვლილვითი ანალიზით ბატონი კლიმენტი იმის უტყუარ დასკვნებს აწვდის მკითხველ საზოგადოებას, რომ ამ შორეთის ცივილიზაციის საწყისი ფორმები სწორედ კოლხეთიდან იღებენ სათავეს.

ავიღოთ თუნდაც წიგნის ქვეთავი **"ნაბუქალდე – ნაცერი (მენცარი – მეცნიერი – წინასწარმეტყველი) – საქართველოს მეფე"**, სადაც ავტორი გვაწვდის სოტყვა **"კოლხას"** წარმომავლობის მისეულ ვერსიას. ავტორი წერს: **"საიდან მომდინარეობს სიტყვა "კოლხა", რომელიც საქართველოს მეფე ანმარემ დაარქვა თავის სახელმწიფოს – ენგურის დედაქალაქს, სად მდებარეობდა ძველი კოლხა?**

ხელმწიფე ანმარემ დედაქალაქი კოლხა დააარსა თავისი ვრცელი სახელმწიფოს შუაგულში, მდინარე იდიგნასა და მდინარე "ძაბ"-ის შესართავთან, ანუ ხერთვისში. არის სხვა თვალსაზრისები. დედაქალაქი კოლხა რამდენჯერმე ნახსენებია ყურანშიც. ათასწლეულების შემდეგაც ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო, კერძოდ, ნაბუქალდე – ნეცარის მეფობისას, რომელსაც უცხოელები მცდარად "ნაბუქოდონოსორად" მოიხსენიებდნენ – მან წლების განმავლობაში შეძლო თავისი სამშობლოს დამპყრობლებისაგან განთავისუფლება – ეს თავისი ქვეყნის თავდადებული და ერთგული მეფე, მტრებმა მტარვალად წარმოაჩინეს. ამ მეფეზე, ხელისუფლების დაკვეთით, ჯუზეპე ვერდიმ ოპერა დაწერა და შემოკლებით "ნაბუქო" დაარქვა...

თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოს – ბაბილონის, ასურეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ როგორც ითქვა, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ პროტო-ქართველები – კოლხ-კარდუხები და სხვა ქართველური ტომები, სადაც კაცობრიობის განვითარების პირველი აკვანი დაირწა. სწორედ ეს ტომები – ეს ხალხები მსოფლიო ცივილიზაციის სათავეში იდგნენ. სწორედ აქვე მდებარეობს ძველი წელთაღრიცხვის 5.200 წელზე ადრე დაარსებული ქალაქი კულხა (კოლხა, კოლხუა)..."

ასევე ძალზე საინტერესოა ავტორის ვერსია იმის თაობაზე, რომ კონტინენტის სახელწოდება **"ევროპა"** იწარმოება მეგრული სიტყვისაგან **"ოროფა"**, რაც სიყვარულს ნიშნავს და ისიც, რომ ლაზმეგრელებს უძველეს დროში **"ეფუთი"** – სიბრძნის წყარო ჰქონდათ, რომლის ასაკიც დღეის გათვლებით 7.000 წელი იქნება, რაც თავისთავად მიანიშნებს, რომ კოლხური ცივილიზაცია ლამის სამყაროს დასაბამიდან იღებს სათავეს...

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბატონმა კლიმენტი შელიამ თავს იდო დიდი მამულიშვილური მისია, წყარომასალებზე დაყრდნობით მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ საქართველო არის მსოფლიოს პირველი ქვეყანა, საქართველოში გაჩნდა პირველი გონიერი არსება – ადამიანი. თუმცა, თავად ბატონი კლიმენტი ჩვეული კოლხური თავმდაბლობით აღნიშნავს: **"არ მსურს, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ჩემი შეხედულებების, ჩემი მოსაზრებების, ჩემი შრომების ასეთი მაღალი შეფასება, რადგან, არავითარი აღმოჩენა არ გამიკეთებია, მხოლოდ არსებული მასალები შევკრიბე".**

დანარჩენი თავად მკითხველმა შეაფასოს!

წიგნის ფასია 6 ლარი და 30 თეთრი და იგი იყიდება შემდეგ მაღაზიებში:

"ბუკინისტი" – ჭავჭავაძის გამზირი №19-21 (არკაში);

რუსთაველის გამზირი №24 (ეზოში);

რუსთაველის გამზირი №40 (ეზოში).

გაზეთ "ᲘᲚᲝᲠᲘᲡ" რედაქცია



ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲝᲚᲘᲐ ᲝᲙᲣᲯᲐᲕᲐᲡ

ოლია!

მას შემდეგ, რაც შენ წადი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა ჩემი არსება სიცარიელემ, რომლის განადგურებას არ ვიცი რანაირი მდგომარეობა შეძლებს და რა არის მისი წამალი? როდესაც შენ აქ იყავი, მე შემეძლო დამენახე შენ ჩემთვის უბრალოდ შენს ახლოს ყოფნა საკმარისი იყო, რომ შენს გარდა არაფერზე არ მეფიქრა. როდესაც მწარე ფიქრები, სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობდა, მე მოვქროდი შენსკენ, თუმცა არც შენგან მესმოდა დამამშვიდებელი საუბარი, მაგრამ უბრალო სიახლოვე საკმარისი იყო ჩემთვის, ვიმეორებ ჩემს გულს საშინლად სწამლავდა შენიანების იქ ყოფნა. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უცხო, ძალიან უცხო და არასასიამოვნო პირი ვიყავი დედაშენისთვის, მე ვგრძნობდი, რომ ყველა გულში ან დამცინოდა, ანდა კვირობდა ჩემს ხშირ სტუმრობას მე ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირი სიცივე შემქონდა თქვენს სახლში და მინდოდა მეყვირა, რომ არავინ არ მინდა შევაწუხო, რომ მხოლოდ ოლიასთან ყოფნა მინდა-მეთქი.

მართლაც, რა საკვირველი რამაა, მთელ შენ კომპანიასთან, მხიარულ კომპანიასთან, მხოლოდ მაშინ ვგრძნობ კავშირს, როდესაც ხარ ქუთაისში როდესაც შენ წახვალ, მე მათ ვავიწყდები და ისინი მე მავიწყდებიან თითქო არაფერიც არ მომხდარა, თითქო არაფერი საერთო ერთმანეთთან არ გვაქვს.

აი, მაგალითად, შენი ორჯერ გამგზავრების ამბავი:

ოკტომბერში მატარებელზე ყველანი შევიკრიბეთ, რადგან შენ მიდიოდი ჭიათურაში. რაღაც ნაღვლიანი გაცილება იყო. შენ სიკვდილმისჯილი დამნაშავის სახე გქონდა, ჩვენ კიდევ მოწყენილი. აი, დაიძრა მატარებელი, შენ წადი მე ერთი გადავხედე ყველას ყველა ჩუმად, უსიტყვოდ იდგა, უსიტყვოდ დავიძარით სადგურიდან, უსიტყვოდ დავესალმეთ ერთმანეთს და შემდეგ არსად არ შევხვედრივარ არც ერთს, შენს ხელახლა ჩამოსვლამდე.

შენ ჩამოდი და მე ისევ არ მინდოდა დავახლოვებოდი ამ ჯგუფს, რადგან არავითარ სულიერ ნათესაობას არ ვგრძნობდი მათთან, მხოლოდ შენმა მათში ყოფნამ მაიძულა სახეზე ნიღაბი ამეფარებია, თითქო მართლაც უკანასკნელად, როცა შენ მიემგზავრებოდი, ეს **"ჩატეხილი ხიდი"** უფრო საგრძნობი და თვალსაჩინო გახდა ჩემთვის.

როგორც კი მატარებელი დაიძრა, იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ გადამთიელი ხალხი მერტყა ირგვლივ, მათ სახეზე შევამჩნიე ამგვარივე გამომეტყველება, რომ მეც გადამთიელი ვიყავი მათთვის.

რა არის, უკანასკნელად, ამის მიზეზი? ჩემი გულდახურულობა? იქნებ ასეა?

სადგურიდან წამოვედით მთელი ეს კომპანია სადღაცა მიეშურებოდა. კუზიანმა გაკვრით სთქვა, რომ ამედამ კოლიასთან იკრიბებიან (ჯაფარიძესთან). მე ვიგრძენი, რომ ზედმეტი კაცი ვიყავი მათში და საჩქაროდ დავშორდი მათ; დავშორდი მათ, მე მგონია, დიდი ხნით, როდესაც შენ ჩამოხვალ, შეიძლება ისევ შევუერთდე შენს მეგობრებს მანამდე არ ვიცი, როგორ მოხდება.

ოლია, როგორ ფიქრობ შენ ამ ამბავზე? შენ იქნება გადამეტებულად მიიჩნიო ყველაფერი ეს, იქნება უბრალო განმარტოების სიყვარულს და სხვა ასეთებს დააბრალო, მაგრამ ეს ასეა მე ვიცი, ისინი ყოველთვის ისე მიმიღებენ, როგორც მიღებდნენ. ისიც ვიცი, რომ ისინი მე მიცოდებენ, მაგრამ რად, რისთვის?

დღეს დედაჩემისაგან მივიღე წერილი. საწყალი დედა! იგი შერიგებას მთხოვს, იგი ნანობს, რომ დამღუპა და ნამდვილ გზას ამაცდინა. დედაჩემი მევედრება, რომ ყველაფერი ვაპატივო და დავივიწყო რამდენი ხანია კარგ განწყობილებაში არ ვყოფილვარ დედასთან და ძმასთან თითქმის ოთხი წელიწადნახევარია.

ამ ხნის განმავლობაში მე არ მქონდა მყუდრო ბინა, ამ ხნის განმავლობაში საშინელი გაჭირვება გამოვიარე. ეგ კი იცოდა საწყალმა დედაჩემმა. რამდენი გაჭირვება, ღმერთო ჩემო, რამდენი გაჭირვება! თუ როდესმე ბედნიერ ცხოვრებას ვეღირსე, ჩემს მოგონებებში წითელ ასოებით დაიწერება უკანასკნელი ოთხი წელიწადი! უკანასკნელმა ოთხმა წელიწადმა დამღუპა

რა უნდა ვქნა ეხლა?

სადაა საშველი გზა?

მაგრამ დღეს ყველაფერი ერთია! ოცნებებისა და სიზმრების დრო წავიდა! აღარაფერი არ გამახარებს, თვით ტკბილი სინამდვილეც კი! მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე და რაც ოცნებებში განგიცდია მთელი არსებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი?

ასეა საქმეები, ჩემო ოლია.

იყავი კარგად,

მშვიდობით,

მარადის შენი
გ. ᲢᲐᲑᲘᲫᲔ.
ქ. ქუთაისი
6 იანვარი, 1914 წ.

ᲩᲥᲘᲜᲘ ᲪᲝᲓᲐ ᲣᲦᲣᲓᲐᲡ!

რინა ვემურს შურო ჯგირო,
ენა მუჭო იფულუ?
ხალხ გილეფაფ უმინჯურო,
დღალეფცალო ითირუ.
გინაღურა მუნაწის,
დამორჩილშა ვემიართ,
ჯვეშით ვადოფსკილადუნა,
იბჭუთ დაჩხირ-გენიათ.
ჩქინი ცოდა უღუდას
ეშმაკებს დო მოცილეფს...
ალბათ დორონთ გომრჩქინანა
ინეფწკუმა მორკინეფს!
კოჩ კოჩიშო გერ რენ თენა
მითინიშო ახალ ვარე,
მარა ამდღა თიშნერს ვორწყექ,
ე წუთსოფელს ჯგირ ვამარე.
ვარა მუშ მენდ მიღუდან
თე "ხემანჯღვერეფიშ" ხეს?
სიტყვას სკვამს თქუანა მარა
საქმე შხვანერ მოყუნს ფერს;
თიჯგუემს ათმომქიმინანა,
ჯალეფს მახუმუანს ნერს!

ᲑᲝᲙᲣᲠᲪᲮ, ᲯᲐᲠᲒᲐ!

ქიანა გვალო "მორძგუშე ვერთუნ"
ირ დღაშ რინას მიოხე.
შარას კოჩ ვეშერხვად
დონწყილ აზრიშ დინოხლე.
ჩქინ ზისხირ-ხორც შხვადო მეურს,
შხვადო წენს დო იფაჩუ,
აქ რენ ის, ბრელს ეშ ჭარ ვაჭ,
ფარას ხუშანს "იქვაჩუ".
ბორო მეტ ვარჩქილენ ფერ
ხორხუნს გილახენ თი ყას,
იშო ართ რე, თე ქიანას
მიდგაქ გოკონ, უმინჯას!
გოკურცხ ჯარგა! ვარა ქოძირ,
სკან ნახანდ შხვებს მეუღუდას,
უჩეფ, ჭიფე თოლამეფ
ართო გუგაფაფუდას!

ᲐᲜᲝᲜ ᲑᲘᲠᲐᲕᲐ

„მგელი არ მოდის!“ და... „დავმლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!“

სწორედაც ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომებისავის, პირადად მე, რომელიც სპეციალობით აგრონომი და ეკონომისტი ვარ (სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის დარგში გამაჩნია) ენათმეცნიერებაში კი თვითნასწავლი მკვლევარი ვარ), 7 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, მათ შორის ერთ-ერთის პრეზიდენტი და 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი გახლავართ, ხოლო ჩემი თანაავტორი ქალიშვილი ცირა ძაძამია, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, 5 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, მათ შორის ერთ-ერთის ვიცე-პრეზიდენტი და 2 უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ.

ამ ნაშრომების შესახებ უამრავი კორესპონდენცია არის გამოქვეყნებული ჟურნალებსა და გაზეთებში სხვადასხვა ავტორების მიერ. ცალკეულმა გაზეთებმა კი სპეციალური ნომრებიც მიუძღვნეს მათ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაზეთების: **„ასავალ-დასავალი“, „დიოსკურია“, „ამაღლება“,„რაეო“, „ილორი“,„თავისუფალი გაზეთი“, „კოლხური ვერსია“, „ეგრისის მაცნე“, „საქართველოს რესპუბლიკა“... ჟურნალების: „აია“, „ცოტნეიდელი“, „ზუგდიდელები“...** ათეულობით ათას ტირაჟებში გამოქვეყნებულ მონაცემებს ჩვენი ნაშრომების შესახებ, ასევე მრავალი ავტორის რეცეზია-შეფასებებს გაეცნო ასეულათასობით ქართველი მკითხველი, და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ უკლებლივ ყველამ დადებითად შეაფასა ისინი; მრავალზე მრავალმა ადამიანმა აღტაცებაც კი გამოხატა მათდამი, რაც გამოვლინდა უამრავ სატელეფონო ზარებში (მათგან, 300-მდე პროფესორისა და აკადემიკოსის სატელეფონო მილოცვაში), ხალხმრავალ თუ ინდივიდუალურ შეხვედრებში ავტორებთან (ქუჩაშიაც კი, ნაცნობ-უცნობებთან შემთხვევითი შეხვედრების პირობებშიც) და ა. შ.

ასეთ პირობებში, ნუთუ, ვერაფერი გაუგეს, ამ ნაშრომებს, „ოფიციოზის“ იმ, ასე ვთქვათ, „თავანკარა სპეციალისტებმა“, რომლებიც საფლავის უწარწერებო ქვასავით სდუმან? ნუთუ ვერაფერი დაინახეს, მათში, მოსაწონი ან დასაწუნი? ანდა, როგორ უნდა გავიგოთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ცალკეული მუშაკების ამგვარი გამონათქვამები?: 1) „ამ შვიდტომეულის რეცენზიის დაწერა ძალიან მინდა, მაგრამ სამსახურში მისვლა არ გინდა, მერე?“; 2) **„ამ წიგნის რეცენზიის დაწერაზე თავი უნდა შევიკავო, ვინაიდან იგი წმინდა მეგრული საქმეა“;** ანდა, როგორ გავიგოთ ის ფაქტი, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაღალი თანამდებობის მუშაკი პროფესორი კოტე კაკიტაძე, როცა კ. ფიფიასაგან შეიტყობს, რომ ჩვენს შვიდტომეულში მეგრულის მილიონობით სიტყვა არის დაფიქსირებულ, ისტერიკულად აყვირდება: **„მოღალატეა შენი მამანტი!“, „არ გაეკაროთ მაგ წიგნებს!“**-ო, – გააფრთხილებს იქვე მყოფ სტუდენტებს ბოლოს **„პროფესიულადაც“** შეიგინებს: **„მაგის გამომცემლის...“**-ო? (გაზ. **„ილორი“** № 67, 18 მაისი, 2010 წ.).

თუმცა ასეთების ახსნა და შეფასებაც წინასწარვეა მოცემული აწნეტარხსენებული ჭეშმარიტი ენათნეცნიერის, პროფესორისა და აკადემიკოსის ოთარ მიქიაშვილის მიერ შვიდტომეულის გამოცემისთანავე დაწერილ რეზენზიაში, და კერძოდ, მის ბოლო ნაწილში, სადაც სიტყვა-სიტყვით წერია:

„შემიძლია მოკრძალებით ვთქვა, რომ მეცნიერთა წინაშე დევს მეგრული ენის შესახებ სამი მეცნიერის მიერ დიდი რუდუნებით შექმნილი შვიდტომეული. დღეს მისი მოწონებაც ადვილია და დაწუნებაც. მთავარია, მისი შეფასება-დაფასების მსურველს ჰქონდეს ჭეშმარიტი დაინტერესება და, რაც მთავარია, ობიექტური მიდგომა ნიჭისა და სათანადო ცოდნის მიმართ, რომელიც ჩადებულია მის შექმნაში და, რომელიც ნებისმიერ კეთილმოსურნე მკითხველს, მით უმეტეს, მეცნიერს, შრომის შემქმნელთადმი უდიდესი პატივისცემით განაწყობს მათი ღვაწლის გამო. ღვაწლისა, რომელიც ნებისმიერ სოლიდურ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა.

აღნიშნული ნაშრომი, მისი ავ-კარგი, ვერ შეფასდება მისი რამდენიმედღიანი გაცნობის შედეგად. შესასწავლია ყველა დასკვნა, რომელთა მიღებასაც, უნდა ვივარაუდოთ, წლები დასჭირდა.

ნაშრომი (ტ. VII, გვ. 518) შეიცავს მტკიცებებს, რომ თანამედროვე მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს 102 747 879 სიტყვას, პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, ხოლო უამათოდ, სულ მცირე 20 მილიონამდე (შესაძლოა მეტსაც) სიტყვას. ეს კოლოსალური ციფრია. თუმცა ეს ყველაფერი შემოწმებადია. დაეჭვებულ მკითხველს ამ ფაქტმა უნდა გაუჩინოს სურვილი დარწმუნდეს მის ჭეშმარიტებაში და არამცდაარამც არ განეწყოს შრომისადმი ნიჰილისტურად, ამას მეცნიერების, ჩვენი ენებისადმი ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სიყვარული მოითხოვს.

არ არის გამორიცხული, რომ იმ თავისებურებათა, იმ დირსებათა შეფასებისას, რომლებსაც ხედავენ და აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, ვინმემ სცადოს იხელმძღვანელოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და რომლის რეციდივები, თავს იჩენენ დღესაც. განსახილველი ნაშრომის ობიექტი ენაა, ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს. მეცნიერთა და მკითხველთა მიერ დანახული უნდა შეფასდეს ობიექტურად და არ იქნეს შეფასებული, როგორც მათთან დაპირისპირება, რამეთუ ყველა ენას, მითუმეტეს არასამწერლობო და, მაშასადამე, დიდი ისტორიის მქონეს, როგორიც მეგრულია, განვითარების საკუთარი გზა აქვს გავლილი და ამ გზის შესწავლა-ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ენის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, პირობებზე, რომლებშიც ჩამოყალიბდა აღნიშნული ენის დღევანდელი სახე მეზობელ ენებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების შედეგად.“

დაისმის კითხვა: როგორ შეიძლება, ერთი და იმავე სამეცნიერო ნაშრომის ადვილად მოწონებაც და დაწუნებაც? რა თქვა ამით, რეცენზენტმა? – ჭეშმარიტი და კეთილსინდისიერი ენათმეცნიერისთვის ამ ნაშრომის მოწონება ადვილია, მაგრამ არაჭეშმარიტი, არაკეთილსინდისიერი, პოლიტიკანი ან სულაც ბოროტი კვაზიენათმეცნიერისათვის მისი დაწუნებაც კი ადვილიაო, – ბრძანა მან და გააფრთხილა კიდეც, ასეთები, რომ მსგავსი რამ არ დაეშვათ; ცალსახად მიუთითა და მოუწოდა კიდეც, რომ „ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს“... „ამას მეცნიერების, ჩვენი ენებისადმი ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სიყვარული მოითხოვს“-ო.

მაგრამ მისი და სხვების ამგვარ (ერთობ მრავალრიცხოვან) შეფასებას, მოწოდებასა თუ გაფრთხილებას, აბა რა ზემოქმედება შეიძლება მოეხდინა მეგრელთმოძულეობით გონებადაკარგული და ყოველგვარი მეგრულის (მთლიანობაში კოლხურის) იგნორირება-დისკრიმინაციისა და მეგრელთა, სვანთა და ლაზთა სრულიად გადაშენებისათვის თავგამეტებით მებრძოლ შოვინისტებსა და ფაშისტებზე? – არც არაფერი!

პირადად მე, აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ, თანამედროვე ეპოქაში ქვეყნად იქნებოდა თუნდაც ერთი მეცნიერი, და კერძოდ, დარგის კვლევითი ინსტიტუტის მაღალ თანამდებობაზე მომუშავე ენათმეცნიერი, – რომელიც, ჭეშმარიტ ენათმეცნიერულ, თანაც, ფრიად დიდმნიშვნელოვან აღმოჩენას აგრერიგად ზურგს შეაქცევდა, მით უმეტეს, – მტრობად და ღალატად შეაფასებდა მას! აქ კომენტარები ზედმეტია.

მეცნიერული აღმოჩენების. მათ შორის დიდი აღმოჩენების უარყოფისა და დაგმობის ფაქტებს, ცხადია, ადგილი ჰქონდა ადრეულ პერიოდში, ადამიანთა სათანადო გონებაგანუვითარებლობის ეპოქებში, რისი მსხვერპლი გახდა, თავის დროზე, მაგალითად, მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენის ავტორი ჯორდანო ბრუნო. გასაკვირად განა ის არ კმაროდა, რომ კათოლიკური ეკლესიის მამამთავარმა XXI საუკუნეშიც კი უარი თქვა მის რეაბილიტაციაზე? მაგრამ, თურმე, თანამედროვე კვაზიმეცნიერთაგანაც არ ყოფილა გასაკვირი, ამგვარი დამოკიდებულება მეცნიერული აღმოჩენების, ჭეშმარიტების წარმოჩენის მიმართ!

ღმერთია მოწამე: ზოგიერთებივით, ჩვენ არ გვახასიათებს, როგორც იტყვიან ხოლმე, ქათმისებრი ქცევა: „კვერცხს დადებს და ქვეყანას რომ აიკლებს, თითქოსდა დედამიწა დაედოს“. ამიტომაც, გადაჭარბებული თვითრეკლამირებისთვის არასოდეს მიგვიმართავს. მთელი 15 წლის მანძილზე საყვედურიც კი არ გამოგვიხატავს იმ ე. წ. „ოფიციოზის“ წარმომადგენელი ენათმეცნიერების მიმართ, ვინც ჩვენს ნაშრომებთან დაკავშირებით აქამდე დუმილის პოზიციაზე დგანან და ისე იქცევიან, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს. მაგრამ, რა მოიგო ამით ქართულმა (და არა ჩვენმა პირადმა) საქმემ?

იქნებ, მართლაც არაფერი მომხდარა საყურადღებო, მით უმეტეს, განსაკუთრებული?

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: ხომ შეიძლება, რომ ამ სტატიის ყველა წამკითხველი არც კი იცნობდეს ჩვენს ნაშრომებს. ამიტომაც საჭიროა, აქვე, ძალიან მოკლედ აღინიშნოს ჩვენი კვლევა-ძიებების ცალკეული შედეგების შესახებ, და შემდგომ ამისა, დავსვათ სათანადო კითხვები ზოგიერთი ენათმეცნიერის მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია, განვითარების თუ რა დონესაც მიაღწია კაცობრიობამ, და, რომ ასეთ პირობებშიც, ადამიანმა ვერა და ვერა შეძლო ამოეხსნა ენის წარმოშობის საფუძვლები; მეტიც კიდევ: ამ საკითხის შესწავლა ენათმეცნიერებამ საერთოდ შეუძლებლად გამოაცხადა.

ამასთან, სხვა თეორიებთან ერთად, უარყოფილიქნა ენის წარმოშობის ბუნებითობის, კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორია შემდეგი მოტივებით: 1) ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული. იგი შემთხვევითია და ნებისმიერი; 2) ხმაბაძვითი სიტყვები ენის ლექსიკაში შეადგენს მცირედ და პერიფერიულ ნაწილს და მათ ენის წარმოშობის საქმეში არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა მივანიჭოთ.

ენათმეცნიერებაში გაბატონდა ასეთი შეხედულებაც: თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი, მის შესახებ არავითარი ჩანაწერი არ არსებობს და ამიტომაც ენის წარმოშობის საკითხი კაცობრიობისათვის სამუდამოდ დაკარგულია. მისი შესწავლა შეუძლებელია.

ასეთ პირობებში, ჩვენ (მამა და შვილმა თანაავტორებმა, მ. ძაძამიამ და ც. ძაძამიამ), ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემულ ნაშრომში **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“**, წარმოვაჩინეთ, რომ გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის ლექსიკის 95 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა. მარტო ეს ფაქტი, ყოველგვარი სხვა საბუთ-მტკიცებულებების გარეშეც, ცალსახად ადასტურებდა, რომ საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული, ანუ, ბუნების საგანთა მიერ გაღებული ბგერებისადმი ხმაბაძვითობა. მაგრამ ჩვენ ამით არ დავკმაყოფილებულვართ და სავსებით ნათლად წარმოვაჩინეთ მიზეზები და პირობები, ანუ საფუძვლები ენის წარმოშობისა.

ახალი, დამატებითი არგუმენტებით სრულად წარმოვაჩინეთ ენის წარმოშობის საფუძვლები ჩვენი მორიგი ნაშრომით **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი“** (2003 წ.).

სრული საბუთიანობით, – გამოკვლევის ობიექტის, მეგრული ენის ლექსიკის მთელი შემადგენლობის სიტყვათწარმომავლობის შესწავლით, წარმოვაჩინეთ ენის წარმოშობის საფუძვლები 2007 წელს გამოცემული შვიდტომეულით **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“.** მასშიევე დავადგინეთ, რომ მეგრული ენის ლექსიკის 99,2 პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისაა. ამასთან, ამ ნაშრომში, ჩვენ, სათანადო ხერხის გამოყენებით წარმოვადგინეთ 103 მილიონამდე სიტყვა მეგრულის ლექსიკიდან.

ამ უკანასკნელად, ოჯახის მთელი შემადგენლობის ერთობლივი მუშაობით დავამთავრეთ რა შედგენა ოცტომეულისა: **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“**, მის 16 ტომში (კერძოდ, II–XVII ტომებში) წარმოვადგინეთ მეგრული ენის მთელი ლექსიკა და წარმოვაჩინეთ ამ ლექსიკის სიტყვათა წარმომავლობა (მათი ხმაბაძვითობა-არახმაბაძვითობის დადგენით).

აღმოჩნდა, რომ **მეგრული ენა სულ ითვლის 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია დაახლოებით 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა**. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს ენებს შორის ყველაზე უმდიდრესი ლექსიკის მქონედ მიჩნეულ და ამის გამო გინესის წიგნში შეტანილ ინგლისურ ენაში 490 000-მდე სიტყვას ითვლიან.

მეგრულის მთელი ლექსიკა (1 410 145 286 სიტყვა) ოცტომეულში წარმოდგენილია ორი სახით: 1. ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) წარმოდგენილია ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით (II–XVI ტ.) და მასში მოცემულია (იკითხება) 1 410 119 286 სიტყვა; 2. სახელები და სხვა მეტყველების ნაწილები წარმოდგენილია ჩვეულებრივი მეგრულ-ქართული ლექსიკონის სახით (XVI ტ.) და მასში მოცემულია 26 000-მდე სიტყვა.

დადგენილია, რომ მეგრულის მთელი ლექსიკა 1 410 145 286 სიტყვა) ემყარება სულ რადაც 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმას ანუ მიღებულია ამათი აფიქსაციაგრამატიზაციის შედეგად. აღნიშნული 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან კი, ზმნური ფონდი (1 410 119 286 სიტყვა, ანუ მეგრულის მთელი ლექსიკის 99,999 პროცენტი) ემყარება სულ რადაც 2202 ძირისეულ ფორმას. მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენი 2202 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან (ასევე, თვით მეგრულის მთელი ლექსიკის წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან) ხმაბაძვითი წარმომავლობისაა 1869 ფორმა ანუ დაახლოებით 25 პროცენტი, მაგრამ იმის გამო, რომ ხმაბაძვითი ფორმები ხასიათდებიან მაღალი პროდუქტიულობით, მათზე დამყარებით მიღებულია 1 409 917 122 სიტყვა ანუ მეგრულის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტი და ზმნური ფონდის 99,8 პროცენტი. დადგენილია თითოეულ ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე დამყარებით მიღებული ლექსიკების (სიტყვების) რაოდენობები. ამრიგად, მეგრულის მთელი ლექსიკის წარმომდგენი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმის წარმომავლობის დადგენით, პრაქტიკულად, დადგენილი იქნა მეგრულის მთელი ლექსიკის – 1 410 145 286 სიტყვის – წარმომავლობაც.

ოცტომეულში წარმოდგენილი მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის ყოველ ერთ გვერდზე საშუალოდ დაფიქსირებულია (იკითხება) დაახლოებით 200 500 სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარებადია 720 000-მდე სიტყვა, ანუ 230 000 სიტყვით მეტი ვიდრე მთლიანად ინგლისურ ენაში.

წარმოჩნდა შემდეგი დიახ გასაოცარი რეალობებიც:

მეგრულის მთელი ლექსიკის 99,999 პროცენტი განეკუთვნება ზმნურ ფონდს – ზმნებსა და სახელზმნებს და მხოლოდ დანარჩენი შეადგენს სხვა მეტყველების ნაწილებს. მსგავსი რამ, ცხადია, ენათმეცნიერებისათვის უცნობია.

მეგრულის ზმნური ფონდის წარმომდგენ ყოველ ერთ ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე საშუალოდ მოდის 640 963 სიტყვა, ხოლო ყოველ ერთ უზმნისწინო-უპრეფიქსებოდ (ანუ მხოლოდ სუფიქსითურთ) წარმოდგენილ ფორმაზე (როგორებითაც არის შედგენილი მეგრულის ჩვენმიერი ზმნურ ფუძეთა ლექსიკონი), მოდის 573 ზმნისწინიან-პრეფიქსიანი ფორმა (სიტყვა).

მამანტი ძაძამია,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 7 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იყო ერთი კაცი...



და ეს კაცი გახლდათ აბესალომ ტუღუში, სიტყვაძუნწი მაგრამ საქმეხვავრიელი ადამიანი, რომელმაც თავისი არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლე ქვეყნისა და მისი მშობლიური ზუგდიდის ისტორიული ფუნქციის წარმოჩენის საქმეს შეალია.

ამის თვალნათელი დასტური გახლავთ აბესალომ ტუღუშის წიგნი "ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან", რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან მესამე წელს გამოიცა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორისა და მისი ნაშრომის სულისკვეთების უნაკლოდ წარმოსაჩენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ წიგნის წინასიტყვაობა, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, **აკადემიკოსი როინ მეტრეველი.**

წინამდებარე **"ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან"** შეიცავს საინტერესო მასალას საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის – სამეგრელოს მნიშვნელოვანი ქალაქის ზუგდიდის შესახებ. ავტორი აწ განსვენებული ისტორიკოსი, არაერთი სამეცნიერო შრომის შემქმნელი აბესალომ ტუღუშია. ამ ნარკვევის ზოგიერთი მონაკვეთი გაზეთ **"მებრძოლში"** დაიბეჭდა.

წიგნი გვაძლევს ინფორმაციას ზუგდიდის ეტიმოლოგიის შესახებ, განიხილავს რა სხვადასხვა მოსაზრებებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ა. ტუღუში მიიჩნევს, რომ სახელწოდება იმ ადგილის გამო უნდა მიეღო, სადაც თავდაპირველად იყო გაშენებული. ავტორი ასკვნის, რომ ძველი ზუგდიდის მაცხოვრის (მაცხვარკარის) გორაზე მდებარეობდა.

"ნარკვევებში" მიმოხილულია ვაჭრობა და ხელოსნობა 1804-1867 წლების ზუგდიდში. ხაზია გასმული იმ გარემოებაზე, რომ ქალაქის ირგვლივ სავაჭრო ცენტრები შეიქმნა. მნიშვნელოვანი იყო, რომ სამეგრელოს სამთავროში განვითარების მიზნით 1818 წელს შეიქმნა **"სამეგრელოს სავაჭრო კომპანია"**. ვაჭრობა გამოცოცხლდა ყულევსა და ანაკლიაში, რამაც დადებითად იმოქმედა ვაჭრობის განვითარებაზე მთელ სამეგრელოში, განსაკუთრებით ზუგდიდში. აქ საკუთარი დუქნები ჰქონდა სამეგრელოს მთავარს. 1820 წელს ზუგდიდში 20 ვაჭარი და ხელოსანი იყო. ქალაქში ვაჭრობის დაწინაურებას XX საუკუნის 30-იან წლებში ხელი შეუწყო ყულევ-ზუგდიდის, ზუგდიდ-სვანეთის, ზუგდიდ-სოხუმისა და ზუგდიდ-ანაკლიის გზების შეკეთებამ.

ზუგდიდელ ვაჭრებს XX საუკუნეში ურთიერთობა ჰქონდათ სტამბოლის, ტრაპიზონისა და ყირიმის კოლეგებთან. ვაჭართა ნაწილი საგრძნობლად გამდიდრდა. ზუგდიდში ებრაელი ვაჭრებიც იყვნენ. ირკვევა, რომ 1840 წელს ზუგდიდში, გარდა ადგილობრივებისა (ასეთი 120 იყო) 20 თურქი და 15 ბერძენი ვაჭარი იყო. ნიშანდობლივია, რომ ზუგდიდში ხელოსნობის დარგებიც (ოქრომჭედლობა, მეუნაგირეობა და სხვ.) განვითარდა.

"ნარკვევებში" ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ იყო ცდა ზუგდიდისათვის გრიგორიოპოლისის დარქმევისა. თუმცა შემოთავაზებული სახელწოდება ვერ დამკვიდრდა. ოფიციალურად ზუგდიდი ქალაქად 1917 წელს აღიარეს.

აბესალომ ტუღუში გვაძლევს მასალას ზუგდიდისა და ზუგდიდის მაზრის მართვის შესახებ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს, აზუსტებს ზუგდიდის მდივანბეგთა (თეიმურაზ აღიაშვილი, კაცია ჩიჩუა, დუტუ დადიანი, ნიკო დადიანი) სიას. ცალკე ჩერდება ზუგდიდის ოლქისა და მაზრის უფროსებზე. აზუსტებს ოლქის მმართველებისა (რაფიელ ერისთავი, იოსებ მიქაბერიძე, ფელიქს კოლვანოვი, ნიკო დადიანი) და მაზრის უფროსების (ივან ვახრამოვი, პიოტრ გერარდი, იოსებ მიქაბერიძე, ნიკოლაი სპილობორგი, ლევან ჯაყელი, ნიკოლაი ხიბელინი, ზურაბ ყიფიანი, გიორგი დადეშქელიანი, ვასილ კეღამოვი, ნიკოლოზ ტატიშვილი, ევგენი ლავროვი, ნიკოლაი ჩერნოვი, ვლადიმერ გამყრელიძე) ვინაობას.

ავტორი აღგვიწერს ზუგდიდის იერსახეს XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. იყენებს ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა ცნობებს. განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს ინფორმაციას, რომელიც კმაყოფილი იყო დავით დადიანის სტუმართმოყვარეობით და აღმატებული ფორმით წარმოგვიდგენს როგორც ზოგადად ქალაქს, ისე დადიანის სასახლეს (ნიშანდობლივია, რომ მარი ბროსემ დაგვიტოვა უცნობი მხატვრის შესრულებული მთავრის ჯვარედინი სასახლის ხედი და გეგმა).

წინამდებარე წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ზუგდიდის ხუროთმოძღვრულო ძეგლებს (მანცხვარკარი, დედოფლის სასახლე და სხვა). შთამბეჭდავია ინფორმაცია ზუგდიდში მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ. აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, აგურის ქარხანა, არყის სახდელი ქარხანა – ეს ის წარმოებებია, რომლებიც მთელი სისრულით მუშაობდნენ.

"ნარკვევებში" მოთხრობილია ზუგდიდის მოსახლეობის შესახებ XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. საინტერესოა ცნობა, რომ ზუგდიდში 1840 წელს 912 კაცი ცხოვრობდა, 1850 წელს – 1570 კაცი, 1854 წელს – 2000 კაცამდე. საყურადღებოა, რომ ზუგდიდის თემის (სასოფლო საზოგადოება) მოსახლეობა 1886 წელს ერთფეროვანი იყო – 3092 მცხოვრებიდან ყველა ქართველი იყო. 1908 წელს ზუგდიდში 5052 კაცი ცხოვრობდა. 1912 წელს ოფიციალურად გაქალაქებული ზუგდიდის მოსახლეობა 4000 კაცამდე იყო. 1929 წელს ზუგდიდის თემში შემავალი სოფლები ზუგდიდის სასოფლო საბჭოში გაერთიანდნენ.

"ნარკვევებში" ცალკეა გამოყოფილი ვაჭრობა და ხელოსნობა 1867-1921 წლებში. 1866 წელს სამეგრელოში ბატონ-ყმობა გაუქმდა. სწორედ ამ ფონზეა მოცემული ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება. 1907 წელს ზუგდიდში იყო 87 მკერავი, 103 მჭედელი, 112 მეჩექმე, 77 დურგალი, 64 მეუნაგირე, 11 ოქრომჭედელი, 4 მესაათე, 21 მეწაღე, 9 დალაქი და სხვა. სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულია გამოთქმა: **"უზანგები – კვარაცხელიასი, ქამარ-ხანჯალი – ძაძამიასი, ყალიონი – ლომაიასი, უნაგირი – რაფავასი, მათრახი – აჩიგვარული"**. ზუგდიდში განვითარებული ყოფილა ავეჯის წარმოებაც.

აბესალომ ტუღუში აღწერს ზუგდიდის კულტურას XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. აქ ძველთაგანვე არსებობდა თეატრი (1868 წ.), წიგნთსაცავ-სამკითხველოები (1884 წ.); იმართებოდა გასართობი ღონისძიებები, ტარდებოდა შეჯიბრებები. ზუგდიდის მაზრაში არსებობდა რამდენიმე სკოლა (ზუგდიდი, ანაკლია, დარჩელი, კორცხელი, აბასთუმანი, კახათი, ჭკადუაში, ცაიში, რუხი და სხვა). იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლებიც. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იხსნება საკვირაო სკოლები. ზუგდიდის მაზრაში ყურადღება ექცეოდა პროფესიულ განათლებასაც.

წიგნში გარკვეული ყურადღება ექცევა XX საუკუნის ისტორიის საკითხებსაც (1905-1907 წლების რევოლუცია, ბოლშევიკური ამბოხი ზუგდიდში, ზუგდიდის პოლიტიკური ცხოვრება 1917-1921 წლებში). მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ზუგდიდის ტოპონიმია-ერგონიმიის საკითხებს. წიგნს გააჩნია დანართი, სადაც სხვადასხვა მასალაა გამოქვეყნებული.

გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორის ზოგიერთი მოსაზრება სადავოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ აქვთ არსებობის უფლება.

"ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან" უხვი მასალით, საინტერესო საკითხების წამოწევითა და გაშუქებით, წყაროების კეთილსინდისიერი გამოყენებითა და ისტორიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, უთუოდ საინტერესოა და, ვფიქრობ, ქართველ მკითხველს რეალურად გამოადგება იგი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის – ზუგდიდის ისტორიის გასაცნობად.

გაზეთი "ილორი" მადლიერებას გამოხატავს წიგნის გამოცემის ორგანიზატორების მიმართ, რომელთაც კიდევ ერთხელ გაგვახსენეს ღვაწლმოსილი ადამიანი, მოკრძალებულად, რუდუნებით რომ შეჰქონდა თავისი წვლილი ქვეყნის საქმეში.

ნათელში იყოს აბესალომ ტუღუშის სული!

"რუსეთს ვერაფერს ვაიძულებთ"

ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ კონსტანტინე ჩიკვილაძესთან

– ბატონო კონსტანტინე, ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის შეცვლაზე. თქვენ როგორ ფიქრობთ რამდენად არის ნიშნები და საიდან უნდა დაიწყოს ურთიერთობის ახალი ეტაპი საქართველომ?

– ჩვენ ვართ რუსეთის მეზობელი ქვეყანა და უახლოეს პერიოდში კი არა და, საერთოდ, ეს საკითხი არ გადაიხედება, შეიძლება მივიღოთ კონსტანტად, აქსიომად და რაც გინდათ, ის დავარქვათ, ამაში ვთანხმდებით ხომ? მაშინ უნდა ვიმოქმედოთ სწორედ აქედან გამომდინარე. როდესაც ჩვენ წინასწარ ვითხოვთ რუსეთისგან გარანტიებს – **"აი, ჩვენ კი დაგიდგებით გვერდში და თქვენ რას გვთავაზობთ?.. დაგვიბრუნებთ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს?"** – ეს უკვე თავშივე არასწორია.

– რატომ არის არასწორი?

– ჩვენ არა ვართ რუსეთთან ურთიერთობებში პრივილიგირებულ მდგომარეობაში, რომ რამე მოვითხოვოთ ან ვაიძულოთ, რომ გააკეთოს. რუსეთი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი ქვეყანა თავისი გავლენით, რესურსებით, ტერიტორიით და ასე შემდეგ. შევედაროთ რუსეთს, ვინ ვართ ჩვენ? ჩვენ ვართ დიდ გულზე მყოფი მცირე ერი, რომლის ამბიციებიც აშკარად სჭარბობს მის შესაძლებლობებს, ჩვენი გავლენა თუ სიძლიერე მსოფლიოში, თუ გნებავთ რეგიონში, ნულს უახლოვდება. აქედან გამომდინარე, როდესაც ასეთ უკიდეგანო იმპერიას ვესაუბრებით თუ მივმართავთ, ტონიც უნდა გვქონდე შესაბამისი. ჩვენ ვერაფერს მოვთხოვთ რუსეთს, ვერაფრით დავაძალებთ თუ ვაიძულებთ: ერთადერთი რაც ჩვენ ძალგვიძს, ეს არის ის, რასაც ბალანსის პოლიტიკა ჰქვია, რუსეთთან საუბარში სწორი ტონის შერჩევა და თუნდაც დაყვავება, რასაც ასეთი წარმატებით ართმევდნენ თავს ჩვენი დიდი წინაპრები, მეფრე ერეკლე, პატარა კახად წოდებული თუ ილია ჭავჭავაძე, წმინდა ილია მართლად აღიარებული... ისინი და სხვები რეალურად აფასებდნენ ვითარებას და ცდილობდნენ, რომ მხოლოდ გამჭრიახობით, ჭკუით, გარკვეული დათმობების საშუალებით მაქსიმალური სარგებელი მიეღოთ, რაც იმაში გამოიხატა, რომ გასახლეჩად და გასაძარცვად განწირული ქვეყანა, ასე თუ ისე, 1990-იან წლებამდე შემორჩა მეტნაკლებად მისაღებ ტერიტორიულ ფარგლებში და ეკონომიკურ მდგომარეობაში. ამასთან ერთად გაიხსენეთ, რა გარემოცვაში უწევდა საქართველოს თავის გატანა და მუსულმანების რა სიჭარბე იყო და არის კავკასიის რეგიონში, რუსეთი კი ჩვენს რეგიონში ერთადერთი მართლმადიდებელი ერია, ყველაფერთან ერთად. სსრკ-ის რესპუბლიკებს შორის საქართველო და მისი მოსახლეობა ერთ-ერთ პრივილიგირებულ მდგომარეობაში გახლდათ რეალურად, რისიც საშინლად შურდათ სხვებს, განსაკუთრებით ეს იწვევდა ისევ და ისევ, თავად რუსეთის გარკვეული წრეების გაღიზიანებას, თუმცა დანარჩენი რუსეთი, ამას საკმაოდ გაგებით ეკიდებოდა. ნელ-ნელა ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ამა თუ იმ ფორმით სსრკ დაიშლებოდა და ისევე როგორც სხვა დანარჩენი რესპუბლიკები, ჩვენც მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ შევეგუებოდით ახალ **"ამპლუაში"** ყოფნას, რისი გარანტიც კვლავ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან ნორმალური, კეთილმეზობლური და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე აგებული ურთიერთობები უნდა ყოფილიყო. ზემოთ აღნიშნულის გაკეთება, ამა თუ იმ ფორმით, ჩვენზე უკეთესად და ბევრად ნაკლები ტერიტორიული თუ სხვა დანაკარგებით შეძლო ყველა დანარჩენმა რესპუბლიკამ, საქართველოს გარდა.

"ოლიმპიური სოფელი" შესაძლოა, ჩინელების ნაცვლად, დევნილებს გადაეცეთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **"ოლიმპიური სოფლის"** მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ ობიექტის დევნილებისთვის გადაცემას არ გამორიცხავს. ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

"ამ პროექტთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს. გვინდა, რომ ობიექტი აშენდეს, მაგრამ მას განსაზღვრული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. თუ "ოლიმპიური სოფლის" მშენებლობა წარმატებით დასრულდება, არის იდეა, რომ იგი დევნილებს გადაეცეს, რათა დევნილთა მოთხოვნები მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ" – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რის საფუძველზე წარმოიშვა ეს იდეა, არ დაზუსტებულა, თუმცა მისი განხორციელების შემთხვევაში თბილისის მერიის მიერ თავის დროზრ ჩინურ მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულება დაირღვევა.

ჟურნალისტი ამ თემაზე სასაუბროდ დედაქალაქის მერიას დაუკავშირდა, თუმცა უწყებაში დღეს კომენტარს არ აკეთებენ. კომენტარისგან თავი შეიკავეს სავაჭრო-სამრეწველო პალატაშიც.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 30 მარტს თბილისის მერიასა და სამ ჩინურ კომპანიას შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ჩინურმა კომპანიებმა **JSC "HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE" , JSC "RUILONG INDUSTRIAL INVESTMENT", JSC "FUND INVESTMENT** თბილისის ზღვის ტერიტორიაზე 150 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განახორციელონ და ოლიმპიური სოფელი ააშენონ.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ინვესტორი 2015 წლის 1 მარტამდე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიურ სოფელს ააშენებს, რომლის ინფრასტრუქტურა 3 800 სტუმარზე უნდა იყოს გათვლილი, საცხოვრებელი პირობები კი მინიმუმ, 3-ვარსკვლავიანი სასტუმროს მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. სოფელს უნდა გააჩნდეს მინიმუმ, სამი საკონფერენციო დარბაზი, 50 კაცზე გათვლილი მედიაცენტრი, მინიმუმ, ორი სასადილო დარბაზი, ინტერნეტ-კაფეები, სამედიცინო ცენტრი და სხვა. ავტოსადგომი გათვლილი უნდა იყოს მინიმუმ, 50 ავტობუსსა და 215 მანქანაზე.

მშენებლობა უკვე დაწყებულია. ამ დროისთვის დამთავრებულია გზების შიდა დაქსელვა და ასფალტის დაგება მიმდინარეობს. ასევე აშენებულია 4 სავაჭრო ცენტრი.

"ახალგაზრდული ოლიმპიადა საქართველოში 2015 წლის 15 მაისიდან 15 აგვისტომდე ჩატარდება. ამ პერიოდში ოლიმიური სოფელი უსასყიდლოდ გადმოეცემა ქართულ მხარეს. ამ დროისთვის ოლიმპიური სოფელი ინვესტორის მიერ სრულად უნდა იყოს აღჭურვილი სათანადო ინვენტარით" – ნათქვამია ხელშეკრულებაში.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-202

რუსეთი და ოსმალეთი, როგორც ადრე, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ხელებს აფათურებდნენ აფხაზეთისა და აჭარის საქმეებში და ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობა განეწყოთ რუსული სულისკვეთებით. ამოეძირკვათ ქართველი ხალხის ისტორიული ურთიერთმეგობრობა და კულტურული ურთიერთობა. აჭარის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ჰაიდარ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიჟარაძე, სახიფ ეფენდი მეხეშიძე, რ. დიასამიძე, ო. გურგენიძე, ა. მიქელაძე და სხვები ენერგიულად იბრძოდნენ, რომ მოსახლეობაში გაექარწყლებინათ ხოჯებისა და მოლების ისლამისტური საქმიანობა. **„თურქი დამპყრობლები თავის მხრივ სისტემატურად აწყობდნენ თავდასხმებს მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის მიწა-წყალზე. ულტდნენ მოსახლეობას, ანგრევდნენ, აპარტახებდნენ სოფლებს... რუს შოვინისტებს აფხაზეთი გამიზნული ჰქონდათ კოლონისტთა დასასახლებლად.“** (**აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე**, საქართველოს ისტორია, 1783-1990, თბ., 1991, გვ. 13. 172.)

რუსიფიკატორულ პოლიტიკაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსული კლერიკალური წრეები, რომლებიც ცდილობდნენ სოხუმის ეპარქია მიეერთებინათ ყუბანისათვის.

თურქეთის ხელისუფლება აგენტებს გზავნიდა აფხაზეთში, შეძლებულ ფენებს – მემამულეებს აღუთქვამდა დიდ პრივილეგიებს, თუ ისინი დაეხმარებოდნენ აფხაზეთიდან რუსეთის გამოდევნასა და ამ მხარის თურქეთისათვის მიერთებაში. ზოგი აფხაზი ნაციონალისტი აჰყვა კიდეც პანთურქისტულ პროპაგანდას. მაგრამ აფხაზეთში მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობაზე რუსული შოვინისტური და პანთურქული ხასიათის მცდელობანი გავლენას ვერ ახდენდა. აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიული ერთობის ძმური ურთიერთობის გაფართოებისათვის თავგამოდებით იბრძოდა ინტელიგენცია, განსაკუთრებით სახალხო მასწავლებლები ა. ლოგუა, პ. ძიგუა, ს. ქარდავა, ი. ჩამადუა, პ. გეგელია, ა. ჩოჩუა და სხვები.

ჟურნალისტი ლელა ჯიყაშვილი წერს: **„საუკუნის წინ, 1915 წელს როცა რუსთ ხელმწიფემ განიზრახა აფხაზეთი ჩამოეშორებინა დედასაქართველოსათვის და შავი ზღვის ოლქისათვის მიეკუთვნებინა, აფხაზები ჯერ კიდევ თავისუფალი იყვნენ, შეშფოთდნენ და ჩამოვიდნენ თბილისში, რომ მეფისნაცვლისათვის ეთხოვათ, საქართველო არ გაეწიაწებინა, ხელი არ ეხლო აფხაზეთის მიწისათვის, არ მოეგლიჯა საქართველოს მათი სათაყვანებელი მამული.“** (**ლელა ჯიყაშვილი,** ძირძველმა აფხაზებმა ითხოვეს, არ მოეგლიჯათ საქართველოსთვის მათი სათაყვანებელი მამული. გაზ. **„კვირის პალიტრა“**, 2008, 29 დეკემბერი-2009, 4 იანვარი, №52, გვ 13.)

მართლაც ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტი: 1916 წლის ბოლოს თბილისს ეწვია და კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგა აფხაზეთის დეპუტაცია, რომელშიც შედიოდნენ აფხაზი ინტელიგენციისა და გლეხობის წარმომადგენლები: მ. შარვაშიძე, ა. შარვაშიძე, მ. ემხვარი, ა. ინალიფა, პ. ანჩაბაძე, ბ. ეზუხბაია, ა. ჩუკბარი და სხვები. დეპუტაციის მოთხოვნები ითვალისწინებდა აფხაზეთის კეთილმოწყობას, სწავლების შემოღებას ქართულ და აფხაზურ ენებზე, სოხუმის ცალკე გუბერნიის შექმნას და თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მის შეყვანას ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმის ეპარქიის საქართველოს ეკლესიასთან შესისხლხორცებას და სხვ. ეს მოთხოვნები რუს შოვინისტთა ღონისძიებებს უპირისპირდებოდა. თბილისის ინტელიგენციამ სასურველ სტუმრებს გულთბილი საზეიმო შეხვედრა მოუწყო. (**აკაკი სურგულაძე,** პაატა სურგულაძე, საქართველოს ისტორია... გვ. 173.)

ლელა ჯიყაშვილს მოტანილი აქვს ასეთი მაგალითები: ბოლშევიკები მუსრს ავლებდნენ ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო ქრისტიანობასთან. დაიწყეს ეკლესიების დაწვა-განადგურებაც. ცნობილი ბედიის ტაძარი XVII საუკუნემდე სამეგრელოს სამთავროში შედიოდა. პირველი დადიანები სწორედ ბედიანები იყვნენ. დავით ემხვარმა, მელიტონ ემუხვარის შვილმა, როგორც ძირძველმა აფხაზმა, კარგად იცოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, რომ ბედიის ბარძიმი იმ დროს ილორის ტაძარში ინახებოდა და საფრთხე ახლოს იყო. ილორის ტაძარსაც ისევე დაარბევდნენ, როგორც ყველა სხვას და დავით ემხვარმა მალულად წამოიღო ყაბალახში გახვეული ბარძიმი თბილისში. ბარძიმი საქართველოს მუზეუმს, მის მაშინდელ დირექტორს – დიმიტრი შევარდნაძეს ჩაბარა... 1946 წელს დავით ემუხვარიც იმავე საქმისათვის დაიჭირეს, რისთვისაც ლევან გოთუა, გრიგოლ კოსტავა და სხვები.

ეს არის ქართველი და აფხაზი ხალხის ერთიანობის, ურთიერთთანადგომის, მეგობრობის სხვა მრავალთან ერთად კიდევ ერთი მაგალითი.

მეცნიერებაში კამათია, თუ როდის მოექცა ჰერეთი ქართულ სივრცეში. ზოგიერთი ვარაუდობს ეს მოხდა ძვ. წ. I საუკუნეში, სხვები კი ფიქრობენ არაბების მიერ ალბანეთის დაპყრობის პერიოდში (VIIს.). პროფ. ნოდარ ასათიანი **„საქართველოს ისტორიაში“** (1999წ.) წერს, რომ ირანის შაჰს ხანგრძლივი ბრძოლის (459-463 წ.წ.) შემდეგ ვახტანგ გორგასლის მეოხებით დაუმარცხებია ალბანეთის მეფე ვაჩე და ალბანეთში გაუუქმებია სამეფო ხელისუფლება (463 წ.) რითაც უსარგებლია იბერიის (ქართლის) მეფეს ვახტანგ გორგასალს და შემოუერთებია ჰერეთი – დასავლეთი ალბანეთი. გამოდის, რომ ვახტანგ გორგასალს ჰერეთი მიუდია ირანის შაჰის ერთგულებისათვის.

ამის თაობაზე ა. შონია ამბობს: უცნობია თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა ნ. ასათიანი, მაგრამ თუ უაღრესად სარწმუნო მასალები არ ჰქონდა, ამის თქმა გაუმართლებელია, ვინაიდან ეს ერთგვარ ჩრდილს აყენებს ვახტანგ გორგასლის პიროვნებას (რასაც ნ. ასათიანი ამბობს სრული ჭეშმარიტებაა, ამიტომ ამაში შეურაცხმყოფელი არაფერი არ არის).

ა. შონია წერს: წყაროებისა და ქართველი მეცნიერების მიხედვით ვახტანგ გორგასალი იყო უაღრესად მორწმუნე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქრისტიანობას. მას მიეწერება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება, მრავალი ქრისტიანული ძეგლის მშენებლობა. მით უფრო მოულოდნელია, რომ ის შეეკრა მაჰმადიანურ სპარსეთს ერთმორწმუნე მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ.

ეს ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ის სპარსული ორიენტაციის მეფე ყოფილიყო. მით უმეტეს, ვახტანგ გორგასალი იბერიის (ქართლის) **„სპარსი“ მეფის მირიანის შთამომავალია და დედაც სპარსი ჰყავდა. შესაძლებელია, მისი სპარსული ორიენტაცია ყოფილიყო მიზეზი იმ კონფლიქტური სიტუაციისა, როდესაც კათალიკოსმა მას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა. ასეა თუ ისე, ვახტანგ გორგასალი იმდენად დიდი მეფეა და იმდენად პოპულარულია ხალხში, რომ ნებისმიერი ქართველი მეცნიერი მოვალეა, ძალიან ფრთხილად იყოს, როდესაც ასეთ მოსაზრებას გვთავაზობს.“** (**ანზორ შონია,** ეგრისის სამეფო... გვ. 48.)

თითქმის შვიდი საუკუნის – კონსტანტინოპოლის დაცემის (1453წ.) შემდეგ, მუსულმანებმა 1461 წელს დაიპყრეს ლაზების დედაქალაქი ტრაპიზონი, საიდანაც დაიწყო ბედის ანაბარა მიტოვებულ მეგრელ-ლაზების მასობრივი გამუსლიმება, რომელიც განაპირობა იმან, რომ ადრე შუაში გახლეჩილმა მეგრელებმა და ჭანებმა მტერს შესაფერისი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ამით ჭანები (ლაზები) მუსლიმთა გავლენის ქვეშ მოექცნენ და დასაბამიდან დამოუკიდებლობისათვის შეუდრეკლად მებრძოლი ტომები, მაინც დამპყრობელთა მსხვერპლი გახდნენ, (**ამბროსი კილასონია**, კოლხები სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს, – ჟურნ.: **„აია“,** 2001, №9-10, გვ. 67-68.) თითქმის დაკარგეს ენა, სარწმუნოება, ეროვნული კულტურა და გადაშენება-გადაგვარების გზაზე დადგნენ.

გამოჩენილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890), ი. ჭავჭავაძის მეგობარი, იმ პერიოდში სათავეში ედგა საქართველოს ისტორიის წარსულის კვლევას – ის ბევრს მოგზაურობდა საქართველოში, რაც ასახული აქვს ნაშრომებში: **„არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, „ყარსის ოლქის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები“.** მეტად მნიშვნელოვანია მისი **„ისტორია საქართველოსი“** და სხვ. 1879 წელს იგი აირჩიეს პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მის მიერ შექმნილი სამეცნიერო სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ა. ფრონელი (ყიფშიძე) და სხვ. დ. ბაქრაძე წერს: **„ჯერ კიდევ ჰეროდოტეს და სტრაბონის (აქვე გვინდა ვთქვათ, რომ სტრაბონი ელინთა ენაზე ელამს, ბრუციანს ნიშნავს და შესაძლოა ეს სახელი ზეწოდებად დამკვიდრდა (ნ. ფოფხაძე) დროს ლაზები იყვნენ შორს დასავლეთით, ტრაპიზონიდან მდინარე ლაღისამდე ანუ ახლანდელ ყიზილ-ირმაკამდე. ქსენოფონტის მიხედვით ტრაპიზონი მდებარეობდა კოლხეთის ლაზთა ქვეყანაში“.** თავის მხრივ, ქართველი მემატიანეები ტრაპიზონს უწოდებდნენ ეგრისის **„სოფელს“**. შემდეგ დ. ბაქრაძე დასძენს: „ლაზები მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შეადგენდნენ და რომ ამ ტომებს, ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო (მიჯრით) ეკავათ. ქემირიდან ბიჭვინთამდე და რომ რომელიღაც ქართველი მეფე ჯარით თავს დაესხა ლაზებს, გაყო ისინი და შუაში ქართველები ჩაუსახლა.“ (**დიმიტრი ბაქრაძე,** არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 311.) დ. ბაქრაძე ამბობს: **„ლაზთა ტომებს მეგრელებთან ერთად ეკავათ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მეტი ნაწილი... რომ ქართველები ძალად შეიჭრნენ სოლივით მათ მხარეში და ერთმანეთისაგან განაცალკევეს ისინი, მაგრამ როდის, რა ვითარებაში, აი, რა არის ფარული, განუჭრეტელი წყვდიადით.“**

დიმიტრი ბაქრაძეს ნათქვამი ზუსტად ემთხვევა ლაზი მოდვაწის ხასან-აღას ნათქვამს: „ჩვენ ლაზები, მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შევადგენდით, რომ ამ ტომს ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო (მიჯრით) ეკავათ... და რომ რომელიღაც ქართველი მეფე თავს დასხმია ლაზებს, გაყო ისინი და შუაში ქართველები ჩაუსახლაო“.

კოლხეთის შუაგულში ერთ-ერთი ქართული ტომის შეჭრამ, არა მარტო მეგრელ-ჭანების ერთმანეთისაგან დაცილება და მეგრულ-ჭანური ენის დიფერენციაცია გამოიწვია, არამედ ჭანეთის (ლაზეთის) მთელი ტერიტორია თურქეთმა მიიტაცა და საქართველოსათვის სამუდამოდ დაკარგული აღმოჩნდა (**იხ. კ. შელია:** კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კაიბჭე, 2008, გვ. 169-175.).

მოგვყავს ვრცელი ამონაწერი დიდი ივანე ჯავახიშვილის შრომიდან **„ქართველების სამი შტო“.** (ამ საკითხზე ორიოდე სიტყვით ზევითაც ვილაპარაკეთ). ივანე ჯავახიშვილი წერს: **„ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართლურად მოსაუბრენი შეადგენენ (ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი იმერლები და გურულები); მეორეს იბერელნი ეკუთვნიან, ანუ მეგრელ-ლაზ-ჭანები; ხოლო მესამეს სვანები.**

ქართული ენის სამ შტოდ დანაწილებისა და თითოეული შტოს დამახასიათებელი თვისებების გამორკვევას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია. ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველს ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ, შესაძლებელია, შემდეგ გაირკვეს, რომ ამ მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნის, არამედ მეგრულ-ლაზურსა, ან სვანურ შტოს“. (**ივანე ჯავახიშვილი,** ქართველების სამი შტო, ჟურნ. **„აია“,** 2001, №9-10, გვ. 4. ან მისივე **„ქართველი ერის ისტორია“,** წიგნი პირველი, 2011, გვ. 18.)

მომავალმა მეცნიერულმა კვლევებმა დაადასტურეს ივანე ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება: გია კვაშილავამ გაშიფრა (წაიკითხა) 4 ათასი წლის წინანდელი **„კოლხური ოქროს დამწერლობა“,** რომელიც კუნძულ კრეტაზე 1909 წელს იტალიელი არქეოლოგის მიერაა აღმოჩენილი და **„ფესტოს დისკოზეა“** ასახული; აგრეთვე, გამოვიდა მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას, ვ. ვახანიას შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** (იხ. **მამანტი ძაძამია, ცირა ძაძამია, ვლადიმერ ვახანია,** მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა, თბ., 2007, შვიდტომეული.), რომელშიც გარკვევითაა გადმოცემული, რომ მეგრული ენა მსოფლიოს უძველესი ენაა და რომ ამ ენას ყველაზე მრავალრიცხოვანი ლექსიკური მარაგი აქვს (100 მილიონზე მეტი); ასევე, ჩვენს მიერ ბოლო დროს (2009 წ. დასაწყისი) მოკვლეული წყაროებიდან ჩანს, რომ, ერაყის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალების მიხედვით დასტურდება, რომ **„კასიტური ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ენათა ოჯახისა და ამ ენის, მის მატარებელთა დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუაწლებიდან XII საუკუნის შუაწლებამდე ძველი წელთაღრიცხვით“** (ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკისი).

ივანე ჯავახიშვილი ამბობს: ერთი სიტყვით, ქართველი ერის სამ უმთავრეს შტოდ დაყოფა მტკიცე ენათმეცნიერების კანონებზეა დამყარებული (ამ პრობლემაზე ზემოთაც ვისაუბრეთ – კ. შ.).

ამ სამ უმთავრეს შტოს მრავალი სხვა და სხვა წვრილი ტომები ეკუთვნოდნენ...

ქართველი ტომების სახელებს ერთი საზოგადო დამახასიათებელი საკვეცი უზით ხოლმე ბოლოში. ეს საკვეცი არის მარცვალი **„ხი“,** მაგ., კოლ**ხი,** მეს**ხი,** კა**ხი,** ტაო**ხი,** ჰენიო**ხი**.

„იგივე დაბოლოება“ გვიჩვენებს, რომ კარდუ**ხი** და „სომე**ხი**“-ც ქართველი ტომების სახელებია. ამის დამადასტურებელი საბუთები სხვაც მოიპოვება. რაკი ქართველი ტომების შესახებ უძველესი ცნობები მხოლოდ უცხო მწერლობაში მოიპოვება...

ებრაელი მეცნიერი იოსებ ფლავიოსი (ფლავიუსი) ამბობდა, რომ **„იბერი“** თუბალებისაგან არის წარმომდგარიო; ამავე აზრს იმეორებდა ესტატე ანტიოქიელი არქიეპისკოპოსი (IV საუკ. I ნახევარი) და თეოდორიტე კვიპრიელი ეპისკოპოსი (IV საუკ.), რომელნიც ამტკიცებდნენ **„თუბალი ეხლა იბერებად იწოდებაო“. „იბერი“**-სგან არის წარმომდგარი **„ივერი“,** რომლის ნაშთად ქართველების სახელი **„ვირქ“** უნდა ჩაითვალოს.

სწორედ ამ ფორმებისაგან არის ნაწარმოები მეგრელების სახელი **„ეგვერ“,„ეგერ“,** წინ მხოლოდ თავსართი **„ე“**-ნი აქვს მიმატებული; იგი შენახულია სომხურად – **„ეგერ“,„ეერცი“,** ქართულად **„ეგრისი“,„მეგრელი“, „მარგალი“,** ბერძნულად **„მაკრონეს“ „he frektive sora“** (პტოლემე).... მაშასადამე, ტაბალი ანუ თუბალი და იბერი მეგრულ-ლაზურ ჯგუფთა სახელწოდება ყოფილა... ევსტათი თესალონიკელი ამბობს... მაკრონები (მეგრელები) – მათ ჩვენ ეხლა სანნებს, ან მდაბიურად ტძანებს ვეძახით. სანნების ქვეყანასაც ტძანნიკებს ვეძახითო. **„ზან“** ეხლა ამ ფორმას მხოლოდ ქვეყნის მნიშვნელობა აქვს მითვისებული, მაგრამ ძველად სიტყვა **„ზანი“** უეჭველია მეგრელსა ნიშნავდა. ეს სტრაბონის სიტყვითაც მტკიცდება: იგი ამბობს, რომ ხალიბებს და სანებს (ანუ ზანებს) წინათ მაკრონებს (ე.ი. მეგრელებს) ეძახოდნენო. ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრელებს **„სანი“ „ზანი“** ჰრქმევია. თვით სახელი ლაზიკა ლაზინიკის მაგიერ (სრული ფორმა იქნებოდა ლაზანიკა) სწორედ **„ზანი“** ანუ **„ზანიკი“**-საგან უნდა იყოს ნაწარმოები; მხოლოდ თავში სანური ქვეყნიერების აღმნიშვნელი თავსართი **„ლა“** უზის; მაშასადამე, ლაზიკას **„საზანოს“** ანუ სამეგრელოს ნიშნავს. ამგვარად ბერძნული **„მოსინიკი“** ადგილობრივი ქართველი ტომის სახელი ყოფილა, ეს ტომი მეგრელ-ლაზთა შტოს ეკუთვნოდა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ხალხის სამსჯავროსაკენ მიმავალთა ყაყანი

მსოფლიოს ხალხთა ისტორიას სიძულვილით, მუხთლობითა და ბოროტებით თავისი ხალხის მოსასპობად შემართული ისეთ არსებათა ბანდა არ ახსოვს, როგორიც ნაციონალთა სახით მოევლინა მრავალტანჯულ ქართველ ერს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უბედურებად, დაქცევად და დაქუცმაცებად რომ უქციეს.

რომელი მბრძანებელიც გაძლიერდა, მაშინვე მეზობელი ხალხების დაპყრობას, დამონებას, ძარცვას მიჰყო ხელი.

რა ბედნიერია ვინც სიკეთით და სიყვარულით ცხოვრობს ამ მოკლე წუთისოფელში და რა უბედურია სიძულვილით და ბოროტებით სიცოცხლის მწამლავი არსება. ამქვეყნიურობა ისეთი მოკლეა, რომ უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე წამოეგები მიქელგაბრიელის ცელს. მხოლოდ გავლილი გზის ავკარგიანობის კვალი რჩება. სასაცილოა მოხვეჭის ბაცილით პირუტყვის დონემდე დაცემული ადამიანის გზა და ფინიში.

განგება კი ფრთხილობს და მუხთალთ ხელს უშლის, რათა მათი სულის სიმახინჯე პანდემიად არ იქცეს და სულით მახინჯი ადამიანების ხელისუფლებაში გაძრომით თვითონ ადამიანს, ბუნების ამ ულამაზეს ქმნილებას, გადაგვარების საფრთხე არ შეექმნას.

რომელი ქვეყნის მოამაგე ადამიანი გაყიდდა მიწებს უცხოელებზე?! აბა, სცადე ინდოეთში მიწის ყიდვა, თუ გინდა ჩინეთში, ან რუსეთში. ამ ერთ ციცქნა საქართველოში შენი ხალხი უმიწობით ხელებს რომ იჭამს, რა მუხთლობის ბაცილა გვკარნახობს ქართველობის ამოგდებით ამგვარად თავის მოწონებას ევროატლანტიკურ სივრცეში. პარლამენტარები და სახელმწიფო ჩინოვნიკები, ვინც ეს გველისკბილა კანონი მიიღეს და საქმედ აქციეს, დიდი პატივით დაბრძანდებიან მათივე მუხთლობით დაშხამულ მიწაზე.

ადამიანთა პირველყოფილი თემებიდან იქმნებოდა მათივე კანონებიც, მაგრამ დღემდე ვერსად მოძებნით ისეთ კანონს, რომელიც საკუთარი თემის, ერის და ქვეყნის გადაშენება, დაქცევა-მოსპობას ემსახურებოდეს. აი, რა დაგვმართა ევროპელობამონატრებულ, ნატოს კვალს აყოლილ ვაიხელისუფლების ხელში.

ქართველ კაცს ყოველთვის ეროვნული სიამაყე ამშვენებდა. რომელიც გნებავთ დიდი, ბევრი და აღზევებული ერის წინაშე ამაყი და თავაწეულია, რამეთუ მსოფლიოს ხალხთა შორის იმ პატარა მარგალიტთა წარმომადგენელია, რომელსაც, მიუხედავად საშინელ ქარტეხილებში გამოვლისა, აქვს უაღრესად ბრწყინვალე დამწერლობა, ენა, კულტურა, ტრადიციები; ძალიან ბევრისთვის სასწავლებელი კაცთმოყვარეობით, სიკეთით და ადამიანში ადამიანობის თაყვანისცემით გავლილი, მუხთლობის ეკლით მოფენილი, ცრემლით და სისხლით მორწყული გზა.

რა იქნებოდა კაცობრიობა ამგვარი მარგალიტების გარეშე, ერთფეროვანი, უზნეო, გარყვნილი, უხეში და თავხედი ძალის გნიასის პირობებში? დღეს საქართველოს დასეული ჰყავს მისი ფსევდოსტრატეგიული პარტნიორები, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის გაშიშვლებული მახვილით მოჯირითე ნატოელი მშვიდობის მაძიებელნი.

ამერიკა როგორ შეიძლება შენი სტრატეგიული პარტნიორი იყოს, როცა, სადაც კი ვინმე მის დაუკითხავად გაფაჩუნდება, ან დამოუკიდებლად ამოსუნთქვას გაბედავს, კეტით და მათრახით ისე უქეიავს გვერდებს, რომ საუკუნეების განმავლობაში წელგამართული გავლა ვეღარ შეძლოს.

თუ საკუთარი მიწების უცხოელებზე გაყიდვით, უზნეობის, გარყვნილობის, თავხედობის, აღვირახსნილობის ჩამოთესლებით, ქართველების თავისი გაყიდული სამშობლოდან გაძევებით სტრატეგიული პარტნიორობის და ნატოს წევრობის მოხვეჭა გსურს, ფრთხილად იყავი, ამერიკა შენი სახით პარტნიორის გარეშე არ დატოვო, თორემ ქართველი ხალხის სტრატეგიული პარტნიორი და ბედნიერი ცხოვრების გარანტი ხალხთა შორის სიყვარული, ძმობა და მეგობრობაა.

ნაციონალთა ბანდამ კი ნატოში შესვლისათვის რასმუსენს აულოკავი ადგილი ადარ დაუტოვა. არადა, რასმუსენი, ეტყობა ფორნის მეხუთე თვალიც არ არის, თორემ ერთ-ერთ ძირითად ნატოელ საფრანგეთს ავღანეთიდან თავისი ჯარი გამოჰყავს, იმისათვის ვერაფერი უთქვია და ნაციონალებს ქებით იკლებს, ჯარი კიდევ გაგზავნეთ ავღანეთში და ნატოში თუ ვერ შეგიყვანეთ, ნატოს მაინც მოვიყვან თქვენთან და აქედან ავიკლებ ქვეყნებსო.

ნატოში შესვლა კი არა, ნორმალურმა მშვიდობისმოყვარე ხელისუფლებამ ამ აგრესიული ბლოკის სასწრაფოდ დაშლა უნდა მოითხოვოს, რომელსაც დღეს სხვა არავითარი ფუნქცია აღარ დარჩა, გარდა ურჩი ქვეყნების ცხვირპირის დაუჟეჟისა.

ნაციონალთა ახირება რომ არ იყოს, ნატოში შესასვლელად სახვეწი რა გვაქვს, როცა აქეთ უნდა იხვეწებოდეს. სამიოდე ჩვენისთანა მოხალისე და რასმუსენს ავღანეთში ჯარის გასაგზავნად ნატოს წევრ ქვეყნებთან სახვეწად საქმე აღარ ექნებოდა; სულ ლიწინ-ლიწინით გააგზავნიდნენ ავღანეთში თავიანთ საზარბაზნე ხორცს. მაგრამ რა ვუთხარ ბედის ტრიალს. სამიოდე კი არა, მათი ლაქია ნაციონალებიც ხელიდან ეცლებათ. ამ დამნაშავეთა ხროვას ისე ექომაგებიან, რომ დემოკრატიისათვის თავდადებულთა ნიღაბი სახეზე აღარ უჩერდებათ. შეშფოთებულები ბუდემოშლილ კრაზანებივით აიშალნენ და ჩოქბჯენით ჩაყენებულ ნაციონალების წამოყენების მცდელობით აბრმავებენ დემოკრატიას.

როგორი მოსათმენია პატარა ქვეყანაში საკუთარი ძაღლისშვილი გყავდეს პრეზიდენტად და ყველაფერს ისე ანადგურებდეს, საზარელ დამპყრობელს რომ შეშურდება. სწორედ ამ დროს გამოჩნდება ერისშვილი, ხალხს იმედის სხივით გაათბობს, მოღალატე ხელისუფლებას არჩევნების გზით დაამხობს და ჩადენილ დანაშაულობებზე მწარედ ააცრემლებს. ხომ შეიძლება ყველაზე დიდი დამნაშავე – მათი ლაქის პრეზიდენტიც შეაგდონ ვირის აბანოში და გაშიშვლებული ცოდვებით თავიდი მფარვერლებიანად ამხილონ. ამგვარ საბედისწერო ვითარებაში როგორ არ უნდა გამოექომაგო შენს კუდამოძუებულ ძაღლისშვილს. ბრალდებები კი იმდენია, რამდენი ნაბიჯიც აქვთ გადადგმული მორიელის ჭკუისკარნახით მავალ ნაციონალებს. ყველა მათ მიერ ჩადენილი დანაშაული სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

ნაციონალების ეზოს მოძღვარმა, **“თეთრ მელად”** მონათლულმა ახლანდელმა ბებერმა კინტომ შევარდნაძემ კომუნისტობის დროს ქართველებს იმდენი უბედურება დაატეხა თავს, რომ ყველა ქართველთმოძულე ბღენძის კერპად იქცა. დაიშალა ის ქვეყანა, **“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო”,** გადავწყვიტეთ და ისევ ეს ბოროტი მელა წამოგვაჯდა თავზე. სხვა ბევრ ბოროტებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქართველთა სისტემატური აწიოკებით, სამეგრელოს მრავალგზის დარბევით და აფხაზეთში ომით შეჭრით სცადა საქართველოს ხერხემალში გადატეხა. ახლა სინანულით აცხადებს, აფხაზეთიდან სამარცხვინოდ გამოქცევის შემდეგ თავი უნდა მომეკლა, მაგრამ ჯაბა იოსელიანმა არ გამიშვაო. თუ ასე ხვდებოდა თავის დანაშაულს, ჯაბა ხომ აღარ არის და ხელს აღარ შეუშლის, ახლა რატომ არ იკლავს თავს?! ისე კი, მაშინ რომ მოეკლა თავი, ნაციონალების გამოჩეკვა-დაბუმბვლას და საქართველოს უბედურებად დაფრენას ავცდებოდით.

ქართველთა ბედის ბორბალი კი ნაციონალთა ხელით უცხოეთის საამებლად ბრუნავს. ამათ კიდევ სალაფავი, ჯილდო, წაქეზება და თავზე ხელის გადასმა არ მოჰკლებიათ, ერთგული ნაგაზივით სიამოვნებთ ყოველივე ეს და ქართველი ხალხის საბოლოო ამოგდებისკენ მოუწოდებს.

რა უნდა ეწოდოს სარკოზისთან სამარცხვინო პომპეზური შეხვედრის მოწყობის შემდეგ მიშას საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოებას? ისე გამოდის, თითქოს ნაპოლეონმა ეს ორდენი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სამარცხვინო ომის დაწყებისათვის და შემდეგ ლაჩრულად გამოქცევისათვის დააწესა. სხვაგვარად როგორ უნდა იფიქრო, როცა სარკოზიმ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამერიკული პამპერსდადებული, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ყველაფრის მკადრებელი გიჟის გონზე მოსაყვანად სტრასბურგის მწარე აბები იყო საჭირო და არა თავზე ხელის გადასმა.

ნამამაძაღლარი, ნაძარცვი და ნაოხრალი მომხვეჭელს, ერის და ქვეყნის უბედურებაზე გაზულუქებულ ადამიანის ფორმის ცხოველს თავისი ჰგონია და ამგვარ ილუზიაში ისე იძირება, როგორც ღორი ტალახში, სანამ იქიდან არ ამოაძრობენ სამართლის სუსხიანი განაჩენით; გასუქებულს გისოსებიან გალიაში ჩასვამენ გასარეცხად და სხვების ჭკუის სასწავლებლად. თუ გინდა, ამერიკას და ნატოელ ევროპას ემსახურო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მაგრამ თუ მაგ სამსახურით საქართველოს დაკნინება, დაბეჩავება, დაქუცმაცება და ბოლოს ქართველთა გადაშენების ხარჯზე თავზე ხელის გადასმით გარყვნა გახარებს, მაშინ ნურც ის გეწყინება, თუ ქართველი ერი ყველა მუხთლობით დამძიმებულს ვირთხების გალიაში შეგაძვრენს, რათა სოფლის წარმომავლობას ცხარე სინანულით შეუერთდე.

არადა, ხელისუფლებით განებივრებულებმა რბევის, ნგრევის და ერის სათაყვანებელი სიწმინდეების განადგურებით ვანდალებს ვანდალიზმით გაასწრეს. იმათ სხვა ტომის სიწმინდეები დაარბიეს. ნაციონალებმა კი საკუთარი ერის სამამულო ომში დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნის წმიდათაწმიდა ობელისკები მოსპეს.

კაცობრიობა დიდი პატივით ეთაყვანება ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას. ნეოფაშისტებიც ვერ ბედავენ მათი წმინდა ადგილების ხელყოფას. ბერლინში სტრეპტოვ პარკში მდგარი უზარმაზარი საბჭოთა მეომრის ძეგლის შეკეთებას მილიონობით მარკა მოახმარეს. იქ, სადაც ფაშიზმი ყვაოდა, საბჭოთა მეომრების ძეგლები დაცული და მოვლილია. ხალხი პატივით და სიყვარულით მოსავს ფაშიზმისაგან მის მხსნელს. ნატოელი პარტნიორების და ამერიკელი ზეპარტნიორების ისეთ რა საიდუმლო დავალებას ასრულებენ ეს ნაციონალები, რომ ამგვარ საზარელ დანაშაულს პატიობენ და აჯილდოებენ კიდეც. საქართველოს მთელი პოლიტიკური სამსახური ამერიკელებისათვის იწყალებს თვალებს, აქ რა ძალადობის, უკანონობის, თავხედობის და სიმართლის მოხრჩობის სისხლიანი ბორბალი ააბრუნეს ნაციონალებმა არ იციან? ეს ჩრდილდაკარგულებიც ისე ასრულებენ მათ დავალებებს, რომ ამგვარ ერთგულ ლაქიებს ჯერ არ მოსწრებიან. ამიტომ ნებაზე მიშვებულები ასე დაუზოგავად წეწავენ და გლეჯენ ქართველ ერს. აბა, საკუთარი ხალხის ხოცვა-ჟლეტის, ძარცვა-რბევა-წამებისათვის, ქვეყნის დაქუცმაცებისა და დემოკრატიის მოხრჩობის გამო ამგვარ ერთგულ მსახურს შეელევიან? ამერიკელთა დავალებები შეასრულე და დემოკრატია კი არა, თუ გინდა პირველყოფილი თემის საყასბოში შეგირეკია მთელი ერი. ამერიკელები ამასაც დემოკრატიისათვის მებრძოლის რომელიმე მუხლს მიუსადაგებენ. ჰოდა, ამგვარი აღვირახსნილობით და ყვარყვარეს უტიფრობით დათარეშობდა და არბევდა საქართველოს ნაციონალთა პრეზიდენტი. ამ არჩევნებზეც მთელი მათი მუხთლობის, ძალადობის, თვალთმაქცობის, მოსყიდვის და დაშინების არსენალის გამოყენების მიუხედავად ქართველმა ხალხმა პირველი პანღური უთავაზა და ისეთი მაგარი გამოდგა, რომ ამერიკელ და ნატოელ სტრატეგიულ პარტნიორებსაც მისწვდა. შეშფოთებულები აღავღავდნენ, მაღალჩინოსნებს პოლიტიკური ნიშნით იჭერენო. მაშ რა ქნან, როცა ყველა მაღალჩინოსანი დამნაშავე ნაციონალია. ამათი მეთოდით ხომ არ იმოქმედებენ, როგორც ანეკდოტშია: დამნაშავე მჭედლის ნაცვლად, უდანაშაულო დურგლებს რომ სჯიდნენ.

ხალხი ელოდება ნაციონალთა ღალატის და მისი დამღუპველი შედეგების გამოძიებას, რათა ეს ხელისუფლებაში გამძვრალი კრიმინალური ბანდა მკაცრი სამსჯავროს წინაშე წარსდგეს და მათი არსებობა აიკრძალოს. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლების თუ პოლიტიკური პარტიების უპირველესი მოვალეობა ქვეყნის და ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა და ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის თავდადებაა, რაც სიყვარულით და პატივისცემით ამკობს მათ. უცხოელმა ლაქიად ყოფნას და მათ საამებლად საკუთარი ერის დაქცევით გაპაპაჯორებას ხალხის მკაცრი სამსჯავროს წინაშე სამარცხვინო დასასრული ახლავს.

ვისი ბრალია, რომ ამ ნაძირალებმა გაბედეს, ხელი აღემართათ ქართველი ხალხის უსპეტაკესი ხსოვნის ობელისკების მოსასპობად? ამათ მიერ ჩადენილ უამრავ ღალატთან წილნაყარ დანაშაულთან ერტად განა შეიძლება ამ ვანდალიზმის მიტევება?! მაშ, რატომ ცდილობენ გადაგვარებულ ნაციონალთა სიბინძურეში ფართხალისათვის დემოკრატიის ნიღბის წამოცმას?! თაობებს სინანულად, სირცხვილად და გაფრთხილებად შემორჩებათ ერის მიერ დაწყევლილი, უმანკო სისხლით მორწყული, ქვეყნის დაქცევა-დაქუცმაცებად აგებული, ნაციონალთა მუხთლობის ძეგლი პარლამენტის შენობა, საიდანაც ასე უტიფრად და უსირცხვილოდ ყაშყაშებენ თავიანთ გედის ამოთქმას ნაციონალი ძალად-პარლამენტარები.

არსება, რომელიც საქართველოში ფაშიზმის წინააღმდეგ დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის ობელისკებს ანგრევს, პოლონეთში ფაშიზმის მსხვერპლი ქართველი გრიგოლ ფერაძის საფლავზე ყვავილები მიაქვს. ეგაც მიშას ქამელეონის ტყავიანი შინა და გარეთა პოლიტიკა. რა ეშველება ახლა ამას? ამგვარი პაციენტისათვის ყველაზე კარგი წამალია პანღური, რომელიც უკვე მიიღო ამ პრეზიდენტად გასაღებულმა არარაობამ. უკეთეს შემთხვევაში მკურნალობის ეს დოზა ეყოფოდა და უმტკივნეულოდ გადადგებოდა. რადგან ეს არ ყოფნის, საჭიროა ჭიტლაყი, თუ ამანაც შედეგი ვერ გამოიღო და ყვარყვარეს ბოდვები გააგრძელა, მაშინ მუსოლინის, ან ნიურნბერგის ქართულად შენელებული აბები დაუმშვიდებს თავქარქაშა ამბიციებს.

რამხელა ბედნიერებაა, როცა იცი ხელისუფლება იმდენად ერთგულია თავისი ქვეყნის, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ: **“დაიღლება საქართველოს სიყვარულით, სასთუმალზე ერთხელაც არ დაიძინებს”.** ერთგული ხელისუფლების პირობებში ხალხი შვებით და ნაყოფიერად შრომობს.

სამშობლოს გიყიდიან, ფეხქვეშ მიწას გაცლიან, უცხოელების დაქირავებული მუშა ხდები, რომელიც, როცა მოეპრიანება, გამოგაგდებს. ასე მიუსაფარი, რომელიც გნებავს, უცხო ქვეყანაშიც ხარ. მაშ რას გიტოვებს ნაციონალთა თავხედობა? მათ დამხობას, ხელისუფლების ხალხის რჩეულისათვის ჩაბარებას. ასეც მოხდა. მაგრამ ეს საცოდავი პრეზიდენტი ისევ დაბოდიალობს ყვარყვარეს ილუზიებში და მკაცრი რეალობის შეგნებით რომ გადადგეს, სამარცხვინო დასასრულისაკენ მიმავალი რევანშზე ოცნებობს და თავის შემორჩენილ ცოდვისშვილთან ერთად ღვარძლის ბუშტად გაჩრია ყელში მისგანვე აოხრებულ ხალხს და მის სასიკეთოდ ამოძრავებულ ოცნებას. ამაზე ითქმის:

უკუღმართი ტვინი თავში
ფეხებისთვის ავდარია,
ამ ცოდვილი ტვირთის ზიდვამ
პრეზიდენტი გადარია.
განგებამ ხომ ცალტვინათა
ტახტზე ჯდომა არ დალია,
ფსიქიატრის პაციენტი
ქვეყნის მთავარსარდალია.

ნაციონალთა დამარცხება მისი მფარველი ბუშმანებისათვის კატასტროფის ტოლფასია. მათი ლაქია სტრატეგიული პარტნიორი პრეზიდენტი ნაცემი გოშიასავით წკავწკავებს და თითის ქნევის გარდა ვერაფრით შველიან. არადა, როგორი ასატანია: უკვე ლაყუჩებით დაჭერილი თევზივით დაბეჩავებული ქვეყანა ისე შეფართხალდა, რომ ხელიდან ეშვებათ და მათი სატყუარა ნაციონალურ მოძრაობას წუთისოფლის დინებას მყრალ მოგონებად გაატანს.

კახეთში შაჰის მიერ ჩამოსახლებული ოთხმოცი ათასი ელის ტომის თურქმანი აჯანყებულმა ქართველებმა ისე დაუბრუნეს იმავე შაჰს, რომ აქ მათი ავი ხსენებაღა დარჩა. ამგვარად გაყიდული მიწები ისევ დაუბრუნდება შრომით გაუძღებ ქართველ გლეხს; ისევ მძლავრად იგუგუნებს უკვდავი მრავალჟამიერი. ნაციონალთა მუხთლობა კი თავის საპატიო ადგილს დაიკავებს ისტორიის სანაგვეზე, გახსენების მწარე სინანულთან ერთად.

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი

კანონიერი ქურდების თავყრილობა

“მთავრობა ხშირად შედგება ბანდიტებისაგან,
ხალხი კი – არასოდეს”
ვ. ჰიუგო

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ 2012 წლის 23 დეკემბერს ჩატარდა ნაციონალური მოძრაობის ნარჩენების თავყრილობა, რომლის მიზანი იყო ახალი გადაწყვეტილებების მიღება პარტიის შესაქმნელად. თითოეულ გამომსვლელს ტაშის გრიალით აწყვეტინებდნენ უხამსი არქაიზმებით გამოთქმულ შეფასებებს დღევანდელი მთავრობის მიმართ. არ მეგონა, ასეთი დაბალი აზროვნებისანი თუ იყვნენ **“ნაცები”** – მთლად დავიწყნიათ საკუთარი წარსული და **“ახალი იდეებით”** აპირებენ პარტიის რეანიმირებას. პარტიის ლიდერს ვანო მერაბიშვილს ბევრი რამ დავიწყებია!

შეგახსენებთ, ბატონო ვანო, ახალ-ახალ იდეებს რომ ქადაგებ ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსასვლელად! იცით, რომ ქართველი საზოგადოება შენ მიგიჩნევს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის მონაწილედ, შენ და შენ მეუღლეს მონაწილეობა გაქვს მიღებული გვირგვლიანის მკვლელობაში, შენი მითითებით ჩაიხოცა ქუჩებში უამრავი ახალგაზრდა (პარლამენტის ტრიბუნიდან გაეცი ბრძანება). თქვენს გარეშე არ მოხდებოდა ციხეებში წამებები, გაუპატიურებები და სიკვდილიანობა. თქვენი განკარგულებით ჩატარდა 7 ნოემბრის და 26 მაისის სისხლიანი დარბევა.

იქნებ თქვენს მიერ ჩადენილი ეს, და სხვა მრავალი დანაშაული, ბუნებრივ მოვლენად მიგაჩნიათ, მაგრამ ქართველი საზოგადოება ასე არ ფიქრობს, რაც გამოიხატა საპარლამენტო არჩევნებში. ნაციონალებს რომ არ გაგეყალბებინათ არჩევნები, თქვენი შედეგი 2%-ს არ ასცდებოდა. ყოველი ამის შემდეგ ხალხის დარწმუნება თქვენს ვარგისიანობასა და პატრიოტიზმში, რბილად რომ ვთქვათ, უსირცხვილობაა! სწორედ თქვენზე უთქვამს ხალხს: **“ნამუსიც კარგი საქონელიაო”,** მაგრამ, როგორც ჩანს, ნამუსი წვიმად რომ წამოვიდეს, **“ნაცმოძრაობას”** და მის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს ერთი წვეთი არ დაეცემა.

პრეზიდენტს, რომელსაც მთელი ქართველი საზოგადოების ღირსეული ნაწილი, გაბრალებს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას საკუთარი ხელით მკვლელობას და, ამ დროს, გამოდიხარ და საზოგადოებას ნაცარს აყრი თვალებში, ეს მეტი არაფერია თუ არა ერთი რამ: ან თქვენ ხართ შეურაცხადი, ან ჩვენ, ქართველი საზოგადოება არის ბრმა (ამ შედარებისთვის ბოდიშს მოვუხდი ქართველ საზოგადოებას). თქვენ კი გეტყვით: საქართველოში რომ კანონი კანონობდეს, დიდი ხნის წინათ გახდებოდით თქვენს მიერ აშენებული ციხეების ერთ-ერთი საკანის ბინადარი. არც ახლაა გვიან. ეს, რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესია. უნდა იცოდეთ, რომ პრეზიდენტი ერის სიმბოლოა, მაგრამ დღეს თქვენი ამ პოსტზე ყოფნა ერის სირცხვილია. ამის დაწერის უფლებას მაძლევს თქვენი გამოსვლა ჯოგური პრინციპით შეერილ თქვენს თავყრილობაზე.

ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ნაცარს გვაყრი თვალებში. ნუ გავიწყდებათ – თქვენი მმართველობის 9 წლის განმავლობაში საქართველო საკონცენტრაციო ბანაკს დაემსგავსა. გარდა **“ნაცმოძრაობის”** წევრებისა, ადამიანებად არ თვლიდი არავის, ქვეყანა ნაჭერ-ნაჭერ გაყიდეთ, მოსახლეობა დაამშიეთ, სოფლები დააცარიელეთ, რომლის უმრავლესობა ლუკმა-პურის საშოვნელად წასულია საზღვარგარეთ და იქ მონურ შრომას ეწევა. ჩვენი ახალგაზრდობა საზარბაზნე ხორცად აქციე და ტერიტორიები დაკარგე ცხინვალთან უაზრო ომის დაწყებით (დოკუმენტალურად დადასტურებულია, რომ პირველი ტყვია თქვენ გაისროლეთ, 2008 წლის 7 აგვისტოს). დღეს თქვენ ქართველი ხალხი გოვლით გამოკვეთილ მტრად, ასეთი კაცი კი ქვეყნის მთავარსარდლად ითვლებით.

ეს ხომ ნონსენსია?

სად გაგონილა – ქვეყნის მტერი მისი მთავარსარდალი იყოს?!

თქვენ და **“ნაცმოძრაობა”** სისხლის სამართლის დამნაშავეები ხართ, უნდა გასამართლდეთ და აიკრძალოს **“ნაცმოძრაობა”** როგორც საქართველოს მოღალატე ძალა. თქვენ ბიუჯეტის კანონიერი ქურდები ხართ – უკანონობა დააკანონეთ პრემიების სახით და წლების განმავლობაში ძარცვეთ ბიუჯეტი! სად გაგონილა, ხელფასის დანამატად ყოველ თვეში პრემია მიიღოთ. თუ არ იცით მე შეგახსენებთ რა არის პრემია – **“პრემია არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს ჯილდოს. ფულად ან ნივთიერ ჯილდოს რაიმე დარგში წარმატებისათვის. დამატებითი ფულადი ანაზღაურება (ხელფასის ზევით) საწარმოო ნორმების გადაჭარბებისათვის”** და სხვა (ქართ. ორატორული ხელოვნების ლექსიკონი, გვ. 160, 2000წ).

ასეთივე განმარტება არის უცხო სიტყვების ლექსიკონში, ქართული ენის განმარტებათა ლექსიკონში. პრემია არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 40-60 პროცენტს. ჩვენთან კი, სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი კვეზერელი ხელფასთან შედარებით ორჯერ მეტ პრემიას იწერდა, იმ დროს, როცა სოფელი დაღუპვის გზაზე დგას. ეკოლოგიის ყოფილი მინისტრი ხაჩიძე ასევე გაზრდილ პრემიას იწერდა, იმ დროს, როცა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე – ტყეები, მისი მისი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, განადგურებულია. ყოფილი გუბერნატორი და ყოფილი კულტურის და სპორტის მინისტრი ვარძელაშვილი ურცხვად გაზრდილ პრემიებს იღებდა. სამივე დასახელებულმა ყოფილმა მინისტრმა სახელმწიფო მართველობის იერარქიული წესის უცოდინარობა გამოავლინეს: თავად აწერდნენ საკუთარ პრემიების ბრძანებას ხელს.

ბატონო პრეზიდენტო, დასასჯელია ყველა ეს პირი. ასევე, დასასჯელი არიან ის პარლამენტარები, რომელმაც მხარი დაუჭირეს დანაშაულის შემცველ კანონს, რომლის მეშვეობითაც მილიონობით გაედინებოდა ბიუჯეტიდან თანხები. ეს იყო ქურდული კანონი რომელიც მიიღო საკანონმდებლო ორგანომ. ამიტომ, თქვენ და თქვენი **“ნაცმოძრაობა”** ბრძანდებით კანონიერი ქურდები. ამ ფაქტს იურიდიულ ენაზე ეწოდება ორგანიზაციული დანაშაული, რომლის სათავეში დგას ქვეყნის პრეზიდენტი. მაგალითები საკმარისად მოგიყვანეთ, რომელმაც თქვენ უნდა დაგაფიქროთ თუ საერთოდ შეგრჩათ ფიქრისა და განსჯის უნარი!

საქართველოს ისტორიას, ქართველი ხალხის მეხსიერებას, როგორც შავი ლაქა, ისე გაჰყვება თქვენი მოღვაწეობა. ის ქადაგება, რომ ნათელი გზით მივდიოდით, ბლეფია – დაიფერფლა თქვენი ტყუილების გუდა: კორუფცია გავანადგურეთო...

მთავარი კორუფციონერი თქვენ ბრძანდებით, როგორც ბატონმა ჯონდი ბაღათურიამ გითხრათ საქართველოს პარლამენტში, რამაც შოკში ჩაგაგდოთ. ჯონდის სიტყვები კი მთელი საღად მოაზროვნე ქართველი ხალხის გულისთქმა გახლდათ.

ბოდიშს მოვუხდი მკითხველს უდანაშაულობის პრეზუმცია რომ დავარღვიე მაგრამ სხვაგვარად აღარ შეიძლება, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, რადგან წაყრუებებმა და შიშმა მთელი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა, როგორც სოფლის მეურნეობაში ისე მრეწველობაში.

ქვეყანაში ყვავის ელიტარული მექრთამეობა და მძვინვარებს მაფია. საქართველოს მოსახლეობა გაღატაკდა. ამის დასტური გახლავთ თუნდაც ცნობილი ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის, ქალბატონ ნანა დევდარიანის სტატია, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში **“საქართველო და მსოფლიო”** (№48/, 5-11 დეკემბერი 2012წ). სტატიის ავტორის მონაცემებით კახეთში იტალიელებს შეძენილი აქვთ 17 ჰექტარი ვენახი. 290 ჰექტარი სახნავ-საძოვარი, 30 ჰექტარი ზეთისხილის გასაშენებლად. ყვარელში 20 ჰექტარი სახნავი და 2 ჰექტარი ტბორებისთვის. ბრიტანელებს ორმუღალოში 5 500 ჰექტარი მიწა აქვთ ნაყიდი, ინდოელებს დედოფლისწყაროში 1645 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აქვთ ნაყიდი, სოფელ ხაშმში კი 110 ჰექტარი. კახეთში სულ არასრული მონაცემებით გაყიდულია 11 ათასი ჰექტარი მიწა უცხოელებზე. იმერეთში 650 ჰექტარი შეძენილი აქვთ ჩეხებს, ჩინელებს, ინდოელებს, ირანელებს, ამერიკელებს და ებრაელებს (ვაი ჩემო იმერეთო სად გქონდა გასაყიდი მიწა). შიდა ქართლში: ხაშურის რაიონში 513,7 ჰექტარი, გორსა და ქარელში 330 ჰექტარი შესყიდული აქვთ ინდოელებს. სულ შიდა ქართლში 840,7 ჰექტარი მიწა გაყიდულია უცხოელებზე. სამეგრელო-ზემო სვანეთში უცხოელებზე გაყიდულია 15.555 მიწის სავარგულები და ამასთან ერთად 12 ჰექტარი ტყის მასივები, სულ გაყიდულია საქართველოს მიწის 29.432.6 ჰექტარი სავარგული მიწები უცხოელებზე. ეს მცირე ამონარიდიც საკმარისია იმისათვის, რომ დასკვნა გამოვიტანოთ და განვაცხადოთ – **“ნაცმოძრაობის” ეს ძმედება არის დივერსია**. ამიტომ, პასუხისგებაში უნდა მიეცეს ქვეყნის პირველი პირი, რომელიც პირდაპირი მიყიდვით ასხვისებდა სახელმწიფო ქონებას. საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ (ისევ ქალბტ. ნანა დევდარიანის მონაცემებს მოვიშველიებ) რუსეთში 380 ტერიტორიულ წარმონაქმნში მიწა არ იყიდება. ინდოეთში ვერც მიწას იყიდი და ვერც მანქანას. ფულს გადაიხდი მაგრამ ყველაფერი ინდოეთის საკუთრებაში რჩება. ჩინეთში მიწის გარდა ყველაფერი იყიდება. თურქეთში შავი ზღვის ნაპირზე რუსებზე მიწების გაყიდვა აკრძალულია. საუდის არაბეთსა და არგენტინაში უცხოელზე მიწა არ იყიდება, აფხაზეთში არც მიწა და არც უძრავი ქონება არ იყიდება უცხოელზე. მაშ ჩვენ მცირემიწიან ქართველებს რა მოგვივდა, ხელგაშლილები რომ გავხდით და მთელ მსოფლიოს გავუდეთ კარები და ავავსეთ საქართველო ათასნაირი ჯიშისა და გვარის გადამთიელებისგან. თბილისის ზღვის ტერიტორია ჩინელებს და არაბებს აქვს ნაყიდი და იქ ჩინური და არაბული სოფლების გაშენებას აპირებენ. საქართველოდან მილიონ ნახევარი ადამიანია გასული. ისინი, რომ დაგვიბრუნდნენ და მოითხოვონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სად უნდა დავასახლოთ?! – საქართველო ხომ მცირემიწიანი ქვეყანაა. ამას არავინ არ ფიქრობს! აქედან გამომდინარე, სანამ გვიანი არ არის, საქართველოს პარლამენტმა უნდა გააუქმოს მზაკვრული კანონი მიწის გაყიდვის შესახებ რომელიც შევardნაძის დროს არის მიღებული და **“შესანიშნავად”** გამოიყენა მისმა მემკვიდრემ და მოწაფემ მიხეილ სააკაშვილმა. თუ აღნიშნულ კანონს არ გავაუქმებთ ჩვენს წინა ხელისუფლების კურსის გამგრძელებელი ვიქნებით, დავფიქრდეთ, რა ფასი ექნება მიწის გარეშე საქართველოს?

ჩვენი გამარჯვება სახეზეა – ახლა, ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოვისხათ, რათა შევინარჩუნოთ მოპოვებული გამარჯვება. ვისაც საკუთარი თავის იმედი აქვს და სჯერა ხალხს ცოცხალი შემოქმედების, ის ყოველთვის გაიმარჯვებს.

როგორც თომას ჯეფერსონი ამბობდა: **“არ ვშობილვართ ზურგზე უნაგირდადგმული, რათა მცირერიცხოვანმა პრივილეგირებულმა დეზის კვრით გვმართონ”.**

ხალხის აზრი და ძალა დიდია, და **”არავითარი სიძულვილი, არავითარი ზიზღი არ იქნება გადაჭარბებული იმ ადამიანების მიმართ ვინც ამდენი ბოროტების მიზეზია”** (ჟ. მელიე).

დაუმარცხებელია ის ხალხი, რომელმაც გაიგო და იგრძნო, რომ ის არის ბატონ-პატრონი თავის ქვეყნისა, დაიცვას იგი და თავის შვილებს და შვილიშვილებს შეუქმნას წყნარი, სიკეთით სავსე ჰარმონიული ცხოვრება. უნდა ვიცოდეთ: **“...ხალხი ენერგიის დაუშრეტელი წყაროა, მას ერთადერთს შესწევს უნარი ყოველი შესაძლებელი აუცილებელი გახადოს, ყველა ოცნება სინამდვილედ აქციოს”** (მ. გორკი).

მთავრობა მაშინ არის საყვარელი ხალხისთვის თუ ის დაავადებულია ხალხის სიყვარულით, იტანჯება მათი ტანჯვით, ხარობს მათი სიხარულით, შრომობს და იღვწის მათი კეთილდღეობისათვის!

“შესწირე სამშობლოს სიცოცხლის დღენი, თუ გსურს ცოცხლობდეს სახელი შენი” (დ. ფონვიზინი)...

ლეონტი ბიწაძე,
ინჟინერ-ეკონომისტი

რა ინახებოდა სუბელიანის ”საიდუმლო” საწყობებში?

ხუთი არალეგალური საწყობის ინვენტარიზაციის ყველა მასალა დევნილთა და განსახლების სამინისტრომ პროკურატურას გადასცა, რაც პირდაპირ საფუძველს იძლევა ყოფილი მინისტრის – კობა სუბელიანის დაკავებისა. შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 5 არალეგალური საწყობი აღმოაჩინა, სადაც 2008-2009 წლებში დევნილებისათვის გამოყოფილი, რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების სურსათი და ინვენტარი იყო გადამალული. სამინისტროს ხსენებული საქმე დიდ პლიუსად ჩაეთვალა, თუმცა როგორც ჟურნალისტებმა დაადგინეს, ხსენებული **”აღმოჩენა”** ეკუთვნის არა დევნილთა სამინისტროს, არამედ ლაშა ჩხარტიშვილს, რომელიც ჯერ კიდევ ორი წლის წინ სამინისტროს სარდაფებში ე.წ. **”საიდუმლო”** საწყობების ადგილმდებარეობას მიაგნო, ფანჯრებიდან გადაძვრა და ფოტოაპარატით დააფიქსირა, თუ რა ინახებოდა ამ საწყობებში. მოპოვებული მასალის საფუძველზე კი, 2010 წელს სასამართლოში შეიტანა სარჩელი. თუმცა, ადვილი საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი საქართველოსთვის ჩვეული ამერიგო ვესპუჩის სცენარით წარიმართება და ქულებს **”დახმარებიჭამია”** მინისტრის გამოაშკარავებისთვის სწორედ ლტოლვილთა სამინისტრო დაიწერს.

ლაშა ჩხარტიშვილი (უფლებადამცველი):

– ეს საწყობები პირველად ჩვენ აღმოვაჩინეთ 2010 წელს და მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, ჩვენს მიერ მაშინ დაფიქსირებული ფაქტი, რატომ არ იქნა ახლა აღნიშნული. ამასთან დაკავშირებიტ, ჩვენ მაშინ ჯერ აქცია გავმართეთ გაეროს ოფისის წინ, შემდეგ კი სარჩელი შევიტანე პირადად მე სასამართლოში.

– ეს ის საწყობებია, ახლა რომ აღმოაჩინა დევნილთა სამინისტრომ?

– დიახ. ინფორმაცია ამის შესახებ მივიღეთ ორი წლის წინ დევნილებისგან. ჩვენ დავიწყეთ მოკვლევა და ერთ-ერთი საწყობი მართლაც აღმოვაჩინეთ პირდაპირ სამინისტროს ეზოს სარდაფში. ჩვენ ამ საწყობში ფანჯრიდან შევძვერით და იქიდან გადავიღეთ ფოტოები. იქ ნათლად გამოჩნდა, რომ დევნილთათვის განკუთვნილი პროდუქტები იყო ვადაგასული. როგორც ჩანს, ისინი ან იყიდებოდა ან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს შორის ნაწილდებოდა. რაც ვერ მოასწრეს, იმათ ვადა გაუვიდა. მერე გადააკეთებდნენ ამ ვადებს და როგორც ვარგისს, ისე დაურიგებდნენ ლტოლვილებს. გახსოვთ ალბათ, წინასაარჩევნოდ მატლიანი მაკარონი რომ დაურიგეს დევნილებს. მოკლედ, ფაქტები დოკუმენტურად დავასაბუთეთ და სასამართლოს მივმართეთ. ანუ უმალავდნენ იმ დევნილებს, რომლებიც ნახევრად მშივრები მათხოვრებად იდგნენ სამინისტროს ეზოში. აქვე მინდა გავიხსენო, ნანა ფიფიას მიერ ლტოლვილთა სამინისტროს წინ თავის დაწვის ფაქტი, როდესაც მას მინისტრის მოადგილემ ტუღუშმა უთხრა, ადექი და თივა ჭამეო. სწორედ მის ნათქვამზე გადაისხა ბენზინი და თავი დაიწვა. მის ცხვირწინ კი ეზოს საწყობებში ტონობით საკვები ლპებოდა. სხვათაშორის, ცალკე გამოსაძიებელია, თუ რამდენი დევნილია მძიმედ დაავადებული, გნებავთ გარდაცვლილი არასრულფასოვანი კვების გამო.

კობა სუბელიანი ჟურნალისტების ზარებს არ პასუხობდა. ერთადერთხელ გამოჩნდა იგი, სულ რაღაც წამით ტელევიზიით და მაშინაც მის განცხადებას აბსურდის ელფერი დაჰკრავდა. კერძოდ, როგორც ყოფილმა სტიქაროსანმა დაღადეო: **”დევნილთათვის შეძენილი ინვენტარი მათ სრულად დაურიგდათ, საწყობებში კი ინვენტარის ის ნაწილი ინახებოდა, რომლის დევნილებისთვის დარიგებაც არ გახდა საჭიროო.”** ანუ ზედმეტი ყოფილა და იმიტომ არ დაურიგებიათ. ასე მაგალითად, მაკარონი 2009 წლის შემდეგ დევნილებს რომ არ დარიგებიათ, ეს იმიტომ, რომ ჭარბი რაოდენობის მაკარონის ჭამა მავნებელია მათი ჯანმრთელობისთვის.

იმდენად, რამდენადაც საქმე ძიებაშია, ხოლო ყველა მასალა პროკურატურისთვის არის გადაცემული, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამ ეტაპზე მხოლოდ ოფიციალური ანუ წერილობითი კომენტარით შემოიისაზღვრება. ჩვენც ახალი მინისტრის დავით დარახველიძის პასუხი მივიღეთ ჩვენს წერილობით კითხვაზე. კერძოდ, როგორც მინისტრის ოფიციალურ კომენტარშია დაფიქსირებული:

”ხუთ საწყობში აღმოჩენილია 2008-2009 წელს დასარიგებელი, დევნილებისათის განკუთვნილი საყოფაცხოვრებო ნივთები, სამუშაო იარაღები, საკვები პროდუქტები. აღნიშნული ქონება უკვე დაზიანებულია და გამოსაყენებლად უვარგისი. გამოუსადეგ და დაზიანებულ ნივთებს შორისაა – მაცივრები, საწოლები, ჭურჭელი, თეთრეული, საბნები, ლეიბები, ხალიჩები, ტელევიზორები, 2009 წელს შეძენილი გაზის बალონები, რომელიც გაზითაა დატენილი, 300 ათასი ლარის ღირებულების შეშის ღუმელი. აგრეთვე, პროდუქტი – მაკარონი, მარილი, წიწიბურა. დევნილებისთვის განკუთვნილი ნივთებისა და პროდუქტის შესაძენად თანხები გამოყოფილი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. ყველა მასალა პროკურატურას გადაეცა. 2008 -2009 წლებში დევნილთა სამინისტროს მიერ აღნიშნული ქონების არგადაცემით და დაზიანებით სახელმწიფოს და დევნილებს ზარალი მიადგა”

თამარ როსტიაშვილი

ევრაზიის ინსტიტუტის „მრგვალი მაგიდა“ ნატოსადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ

თბილისის სასტუმრო **„ვერე პალასში“**, შედგა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ამავე წლის აგვისტოს ბოლო-სექტემბრის დასაწყისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების საექსპერტო განხილვა. გამოკითხვა სხვა პუნქტებთან ერთად მოიცავდა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ჩრდილოატლანტიკური ბლოკის – ნატოს, მიმართ. სულ ხუთი კითხვა იყო ამ საკითხთან დაკავშირებით (დეტალური შედეგების ნახვა შეიძლება ევრაზიის ინსტიტუტის საიტზე).

სხდომა გახსნა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **გულბაათ რცხილაძემ,** რომელმაც შეკრებილ ექსპერტებს, ჟურნალისტებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს ევრაზიის ინსტიტუტის **„მრგვალი მაგიდა“** ნატოსადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ გამოკითხვის ძირითადი შედეგები გააცნო. მან გამოჰყო რამდენიმე მომენტი: შედეგების მიხედვით გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ვერ პასუხობს დასმულ კითხვებს ან უარს ამბობს საკუთარი პოზიციის გამოხატვაზე. ამგვარ ადამიანთა პროცენტი განსაკუთრებით მაღალია, როდესაც მათ თავიანთი პოლიტიკური სიმპატიების შესახებ ეკითხებიან, მაგრამ ასევე საკმაოდ მაღალია ნატოს საკითხთან მიმართებით გაურკვეველთა ან პასუხისგან თავისამრიდებელთა.

ეს ფაქტორი გ.რცხილაძემ დაუკავშირა იმას, რომ მოსახლეობას ძალზე ზერელე წარმოდგენები აქვს ნატოს როლზე მსოფლიოში, იმაზე, თუ ზოგადად რას წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაციაა. გარდა ამისა, მისი აზრით, გარკვეულწილად მოქმედებდა შიშის ან სიფრთხილის ელემენტიც, რადგან წინა ხელისუფლება ამ საკითხის პოლიტიზაციას ახდენდა და აქცია კიდეც იგი პოლიტიკური კონიუნქტურის ნაწილად.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იმ გამოკითხულთა შორის, ვინც თავს **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** მომხრედ მოიაზრებს, უმეტესობა სიმპათიას გამოხატავს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მიმართ. მაგალითად, აღნიშნული კატეგორიის გამოკითხულთა 67% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნატოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. მხოლოდ 2%-ს მიაჩნია ნატო აგრესიულ ბლოკად. ამავე დროს, კოალიცია **„ქართული ოცნების“** ამომრჩეველთა უმრავლესობა ნატოს მიმართ უნდობლობას გამოხატავს. მათგან მხოლოდ 10% მიიჩნევს, რომ ნატოსა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო 53% პირიქით ფიქრობს. მაშინდელი ოპოზიციური კოალიციის ამომრჩეველთა 32%-მა დადებითი პასუხი გასცა კითხვას, რომ ნატო აგრესიული სამხედრო ბლოკია, 30% ფიქრობს, რომ ნატო – თავდაცვითი სამხედრო ბლოკს წარმოადგენს. მხოლოდ ერთ საკითხშია თანხვედრა **„ნაციონალებისა“** და **„ოცნების“** მომხრეებს შორის – თუკი საქართველოს მოუწევს არჩევანი საქართველოს ნატოში წევრობასა და ტერიტორიულ მთლიანობას შორის, ორივე ამ პარტიის (ისევე როგორც დანარჩენი პარტიების) მომხრეთა უდიდესი უმრავლესობა ტერიტორიულ მთლიანობას არჩევს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, **„ნაცმოძრაობის”** ამომრჩეველთა 11% ნატოში წევრობას ანიჭებს უპირატესობას, და ეს ციფრი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა პარტიების მომხრეთა შემთხვევაში.

ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობაში არაპოპულარულია ნატოს ეგიდით ქართული ჯარის გაგზავნა ცხელ წერტილებში (ავდანეთი და სხვ.). გამოკითხვამ აჩვენა, რომ გარდა **„ნაციონალური მოძრაობის“** მომხრეებისა, ყველა დანარჩენი ელექტორატი ამ საკითხში უარყოფითადაა განწყობილი.

მკაფიოდ უარყოფითი განწყობა აქვთ, ისევ **„ნაცმოძრაობის“** მომხრეთა გარდა, დანარჩენ ამომრჩევლებს, საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზების შესაძლო განლაგებასთან მიმართებით. როგორც გულბაათ რცხილაძემ აღნიშნა, სახელისუფლებო პროპაგანდა მოსახლეობას არ უხსნის, რომ ნატოში წევრობა, შესაძლოა, დიდი ალბათობით, უცხო სახელმწიფოთა საჯარისო კონტინგენტის განთავსებას ნიშნავდეს ჩვენს მიწაზე. მოსახლეობას რომ ეს ჰქონდეს გათვითცნობიერებული, სავარაუდოდ, იგი საქართველოს ნატოში შესვლის წინააღმდეგ განეწყობა.

კონფლიქტოლოგმა გოგი ხუციშვილმა აღნიშნა ამგვარი გამოკვლევების მნიშვნელობა. მან გაამახვილა ყურადღება გარემოებაზე, რომ ოქტომბრამდე (ე.ი. არჩევნებამდე) მოსახლეობაში გავრცელებული იყო ისეთი მოქცევის სტერეოტიპი, როდესაც ადამიანებს ეშინოდათ ან თავს იკავებდნენ არაპოპულარული ან ასეთად მიჩნეული აზრის გამოთქმისაგან. ამიტომ საინტერესო იქნებოდა ამგვარი გამოკვლევების გაგრძელება მომავალ წელს და დაკვირვება, შეიცვალა თუ არა ვითარება. ექსპერტმა გამოთქვა შეშფოთება, რომ გამოკითხვაში დაფიქსირებული ფაქტი, რომლის მიხედვითაც **„ნაციონალური მოძრაობის“** მომხრეები მთლიანობაში დადებითად უყურებდნენ ნატოს როლს, მაშინ, როდესაც **„ქართული ოცნების“** ამომრჩევლები სკეპტიკურ პოზიციას გამოხატავდნენ, არ იქნას ვინმეს მიერ გამოყენებული, ვინც ფაქტის ამგვარი ინტერპრეტირებით არის დაინტერესებული.

ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის აზრით, ამგვარი გამოკითხვების შედეგებით შეიძლება ისარგებლოს **„ნაცმოძრაობამ“**, რომელიც ესწრაფის, დაარწმუნოს საქართველოს დასავლელი პარტნიორები იმაში, რომ მხოლოდ იგი წარმოადგენს ჭეშმარიტად **„პროდასავლურ“** და საქართველოს ნატოში შესვლაზე ორიენტირებულ ძალას. ცისკარიშვილმა აღნიშნა, რომ ნატოში წევრობის იდეამ და თავად ამ ორგანიზაციამ დისკრედიტაცია განიცადა ყოფილი მმართველი პარტიის მხრიდან, რომელიც აცხადებდა, რომ თავის პოლიტიკაში ნატოს ეყრდნობა და სულაც დასავლელი პარტნიორების დახმარებით ინარჩუნებს ძალაუფლებას. თუკი ნატო იგივეა, რაც **„ნაციონალური მოძრაობა“**, მაშინ არ ვარგა ნატოც – ასეთი სტერეოტიპი, შესაძლოა, ჩამოყალიბდა, ბევრ ქართველ ამომრჩეველს შორის.

ი. ცისკარიშვილმა, ისევე როგორც გ. ხუციშვილმა, სურვილი გამოთქვა, რომ იხილოს ახალი კვლევების შედეგები, უკვე არჩევნების შემდგომ პერიოდში. ექსპერტის თქმით, დრო, რომელიც გავიდა არჩევნების შემდეგ, საკმარისი უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ გააცნობიეროს: ნატო არ არის სახელმწიფოსთვის საფრთხე და არ არის **„ნაციონალური მოძრაობა“.** თუმცა, აღნიშნა ექსპერტმა, გვაქვს საპირისპირო ინფორმაციაც, როდესაც ნატოს ხელმძღვანელები, ეყრდნობიან რა ცალმხრივ მონაცემებს, გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. თუმცა ეს ტენდენცია არ არის საბოლოო, აღნიშნა ცისკარიშვილმა.

პროფესორმა ომარ გოგიაშვილმა გაკვირვება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი სხვაობა გამოიკვეთა **„ქართული ოცნებისა“** და **„ნაციონალური მოძრაობის“** მომხრეებს შორის. მისი თქმით, იგი ელოდა, რომ ორივე პარტიის ამომრჩევლები ორიენტირებულნი იქნებოდნენ დასავლურ ფასეულობებზე.

ო.გოგიაშვილი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ყოფილმა მმართველმა პარტიამ მოახდინა ნატოს იდეისა და საერთოდ, დასავლური ფასეულობების დევალვაცია მოსახლეობაში. მან ბრალი დასდო **„ნაციონალურ მოძრაობას“,** რომ ყოფილი მმართველი პარტია ატყუებდა ხალხს, იგონებდა ყალბ ინფორმაციებს, მაგალითად, საქართველოს მიერ **„ასპირანტის“** სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი სტატუსი არ არის დაფიქსირებული ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ოფიციალურ დოკუმენტებში. ერთადერთი პოზიტიური ამ მხრივ, რაც მოხდა ბოლო დროს, მისი აზრით, არის ის, რომ საქართველო აღმოჩნდა ბალკანეთის ქვეყნებს შორის, რომელთა ნაწილმა უკვე მიიღო **„მაპი“**, მეორე ნაწილი კი უფრო ახლოს დგას მის მიღებასთან, ვიდრე საქართველო.

პოლიტიკურმა ექსპერტმა და ჟურნალისტმა ნანა დევდარიანმა წაიკითხა მოხსენება საქართველოში ნატოს საკითხის განხილვის პრეისტორიის შესახებ. მისი თქმით, პირველმა პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ არც ერთხელ არ განაცხადა სურვილის შესახებ, საქართველო შესულიყო ნატოში. ხელისუფლებაში ე.შევარდნაძის მოსვლის შემდეგ, 1992 წელს საქართველო შევიდა ნატოს თანამშრომლობის საბჭოში, ხოლო 1994 წელს გახდა ნატოს პროგრამის **„თანამშრომლობა მშვიდობისათვის“** მონაწილე. ამ ორ თარიღს შორის დაიკარგა აფხაზეთი და დაიმარხა იმედი, რომ საქართველოს **„დასავლელი მეგობრები“** და პირადად შევარდნაძე, დახმარებას გაწევდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ნ.დევდარიანის აზრით, ერთადერთი, რასაც შეუძლია, საქართველოს უბიძგოს ნატოსთან **„ჩასახუტებლად“,** ესაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარების გაწევა, რასაც, ნატო არასოდეს იზამს.

სასაზღვრო დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, გენერალმა ვალერი ჩხეიძემ ხაზი გაუსვა საქართველოს მოსახლეობისთვის ნატოს საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მოწოდების აუცილებლობას. მისი სიტყვებით, ინფორმაციას, რომელიც მოდის საქართველოში, ცალმხრივი ხასიათი აქვს. მან მაგალითად ავღანეთი მოიყვანა, სადაც, ნატოს ჯარების შესვლის შემდეგ, ნარკოტიკების წარმოება ათეულობით გაიზარდა.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების სპეციალისტმა არჩილ გამზარდიამ თავის მოხსენებაში ყურადღება საქართველოსთან უცხო სახელმწიფოთა მოკავშირეობის პრობლემაზე შეაჩერა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: გეოპოლიტიკური ინტერესები, ფასეულობათა სიახლოვე, ეკონომიკური ფაქტორები და რელიგიური მომენტები. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ურთიერთობებს ევროპასთან მუდამ ჰქონდა და ახლაც აქვს ზედაპირული ხასიათი, მხოლოდ ეტიკეტის დონეზე, და ევროპისთვის საქართველო რჩება იმპულსურ ქვეყნად, რომელიც უფრო პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე საიმედო პარტნიორს. ამიტომ საქართველოსთვის ორგანული ურთიერთობების თვალსაწიერში ორი პარტნიორი რჩება: აშშ და რუსეთი. ამავე დროს, ორივე ეს ძალა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის.

2008 წლის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში გამოიკვეთა შეერთებული შტატებით იმედგაცრუება, რადგან ხალხი მოელოდა აფხაზური და ოსური კონფლიქტების გადაწყვეტაში მხარდაჭერას. საქართველო ამჟამად კვლავ იმყოფება იმ ეტაპზე, როდესაც საჭიროა საგარეოპოლიტიკური ორიენტირების არჩევა. შეერთებულ შტატებთან **„მოკავშირეობის“** არჩევანის სასარგებლოდ თავისუფლების ფასეულობის ფაქტორი მეტყველებს: ე.წ. ამერიკული ცხოვრების წესში ქართველებს მოსწონთ თავისუფლების იდეა, რომელიც არანაირად არ ასოცირდება რუსეთთან. აშშ, განსხვავებით რუსეთისაგან, იყენებს ზეწოლის ირიბ მეთოდებს, თითქოს აძლევს საქართველოსმაგვარ პატარა ქვეყნებს თავისუფალი არჩევანის საშუალებას.

ნატოს საკითხს რაც შეეხება, ექსპერტმა თავის მხრივაც აღნიშნა ქართული საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, ამ საკითხთან დაკავშირებით. საამისო მაგალითად გამოდგება ფაქტი, რომ ბევრი მათგანი, ვინც გამოკითხვებში ნატოსადმი დადებით განწყობას აფიქსირებს, ამავდროულად წინააღმდეგია ამ ორგანიზაციის საჯარისო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებისა. გამოდის, რომ საზოგადოებრივი განწყობა საქართველოში დადებითად აღიქვამს ნატოს, პროპაგანდისტული სტერეოტიპების დონეზე, რომელთაც ნერგავდა წინა ხელისუფლება. ეს არ არის საკმარისი, გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად. მთლიანობაში, ა. გამზარდიას აზრით, საქართველოს აქვს არჩევანი არა ორ შესაძლებლობას, არამედ ორ საფრთხეს შორის. მოცემულ ეტაპზე, მისი აზრით, შეუძლებელია ითქვას, რომელი ამ საფრთხეთაგანი – ამერიკული თუ რუსული უფრო მეტად საშიშია საქართველოსთვის. გამოსავალი მდგომარეობს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის მკვეთრ ამაღლებაში.

პროფესორმა ლევან ოსიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მოცემულ ეტაპზე არასასურველია საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილება და დასავლეთიდან მთლიანად რუსეთზე გადართვა. უფრო მისაღებია დაბალანსებული პოზიციის დაკავება, რათა არსებობდეს რუსეთის ფედერაციასთან პოლიტიკური ვაჭრობის წარმოების საშუალება, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების პროცესის პარალელურად. ამავე დროს მან გამოთქვა ვარაუდი, რომ იმ რესპონდენთა უმრავლესობა, რომლებმაც გამოკითხვის დროს არ დააფიქსირეს საკუთარი აზრი, ნატოს წინააღმდეგ იქნებიან განწყობილნი.

პროფესორი ხათუნა ჩაფიჩაძე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მათი უმრავლესობა, ვინც გამოკითხვის დროს პასუხს არ იძლეოდა, ნატოს მიმართ უფრო სკეპტიკურ პოზიციაზე დგას. მან აღნიშნა, რომ ქართული საზოგადოება მთლიანობაში კონსერვატულია, პატრიარქალურიც კი, ამიტომ ეს საზოგადოება ფრთხილად ეკიდება ყოველგვარ სიახლეს. ნატოს იდეა დაკავშირებულია ე.წ. დასავლურ ფასეულობებთან, ამიტომ საკითხი ისმის ასე: რამდენად არის ქართული საზოგადოება ამ ფასეულობების მისაღებად? მისი აზრით, ქართველ საზოგადოებაში ღრმავდება ნატოსა და მთლიანობაში დასავლური ფასეულობებისადმი გაუცხოება, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია წინა ხელისუფლების მიერ გატარებული სარეკლამო კამპანიით, რადგან ხელისუფლებით უკმაყოფილება დასავლეთით უკმაყოფილებაში გადაიზარდა.

ნანა დევდარიანმა შენიშნა, რომ ქართველი საზოგადოების კონსერვატულობა პარადოქსულადაა გადაჯაჭვული ამავე საზოგადოების მისწრაფებასთან, მიიღოს ყველაფერი უცხოური. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ გარე გამოვლინებებს, ხოლო შიდა კონსტრუქცია უცვლელი რჩება. თუკი ქართველები სიტუაციას ისე აღიქვამენ, რომ ნატო მათი ცხოვრების მომწესრიგებელი ფაქტორია, ეხმარება რადაც რეფორმების გატარებაში, მაგრამ ამავე დროს, არ ეხება სიღრმისეულ ასპექტებს, მაშინ ისინი მიიღებენ მას. მაგრამ, ნ.დევდარიანის აზრით, ეს გამორიცხულია, ვინაიდან საქართველოს ამ შემთხვევაში მოუწევს ყველა დასავლური ფასეულობის მიღება.

ბლოგერი, იურისტი კონსტანტინე ჩიკვილაძე არ დაეთანხმა ლევან ოსიძეს და გამოთქვა აზრი, რომ საქართველო იმ მდგომარეობაში არ იმყოფება, რომ თავს პოზაში ჩადგომისა და პოლიტიკური ვაჭრობის უფლება მისცეს. სინამდვილეში ქართულმა მხარემ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი, რომელიც მას დაუბრუნებს რუსეთის პატივისცემასა და ადექვატურობის დაფასებას. ამ ნაბიჯად შეიძლება, მოვიაზროთ ნატოში შესვლაზე უარის თქმა. ამის შემდეგ, ბურთი უკვე ნამდვილად რუსეთის მხარეს იქნება. ანალოგიური მოსაზრებები გამოითქვა ანალიტიკოს დავით ფურცხვანიძის მიერაც.

პროფესორ გვანცა კოპლატაძის თქმით, საქართველოს და რუსეთს ერთი და იგივე ფასეულობები აქვთ, რაც საერთო მართლმადიდებელი რწმენიდან გამომდინარეობს. საქართველოს დიდი ნაწილი – ტაო და კლარჯეთი, სადაც არანაკლებ დიდი კულტურის და რელიგიის კერები იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, დღეს იდენტობადაკარგულია, იგი ვერ გადარჩა თურქული იმპერიის შემადგენლობაში. სამაგიეროდ, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არა მხოლოდ გადარჩა, არამედ გაერთიანდა და გაძლიერდა. ცალკეული რთული ეპიზოდები რუსულ-ქართული ურთიერთობების ისტორიიდან ამ უმთავრეს ფაქტს ვერანაირად ვერ გადასწონის. აქედან გამომდინარე, შეიძლება და აუცილებელია სწორი დასკვნების გაკეთება მომავლისათვის.

რუსეთის ბაზარზე და ეკონომიურ შესაძლებლობებზე საქართველო ვერ იტყვის უარს

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (iri) მიერ უკანასკნელ ჟამს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 52 პროცენტს სჯერა, ახალი ხელისუფლება მოაგვარებს რუსეთთან ურთიერთობას, ხოლო რუსეთთან სამომავლო დიალოგს მხარს უჭერს 83 პროცენტი.

ეს ციფრები აშკარად აჩვენებს, რომ მოსახლეობას სურს და დაინტერესებულია ჩრდილოელ მეზობლებთან გარკვეული ურთიერთობის დამყარებით.

რუსეთის ბაზარზე დაბრუნების პირობა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს გააჟღერა ჯერ კიდევ აგვისტოში აჭარაში სიტყვით გამოსვლისას, რაც შემდგომ გაიმეორა კახეთსა დასხვა რეგიონებში სტუმრობისას.

საზოგადოებისთვის ცნობილია – 14 დეკემბერს ჟენევის გარეუბანში მოხდა შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ბატონ გრიგორი კარასინსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის რუსეთის საკითხებში წარმომადგენლის ბატონ ზურაბ აბაშიძეს შორის.

ადგილიდან დაიძრა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, ანუ გაჩნდა ნათელი წერტილი ბნელით მოცულ გვირაბის ბოლოს, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ უგუნური პოლიტიკით შექმნა.

რუსეთის ხელისუფლება საკუთარ ბაზარს პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად რომ იყენებს, ეს ახალი ამბავი არ არის. მსგავსი გადაწყვეტილებები რუსეთის მთავარი სანტარის გენადი ონიშენკოს ხელით ხორციელდებოდა.

მიუხედავად გარკვეული ბარიერებისა, ახალმა ხელისუფლებამ სცადა ნაბიჯების გადადგმა, რაც არა მხოლოდ ბაზარზე ემბარგოს მოხსნას, არამედ სატრანსპორტო მიმოსვლის, კულტურულ, ჰუმანიტარულ და სხვა ღონისძიებებს მოიცავს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

ჟენევის შეხვედრა თითქმის ოთხი საათი მიმდინარეობდა. ზ. აბაშიძის განმარტებით იქ არ თქმულა იმ საკითხებზე, რომელიც წითელ ზოლშია. აზრები გაცვალეს მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე. თუმცა მალევე გაირკვა, რომ ცოტა რამ არის საჭირო, უფრო სწორად, უნდა გაჩნდეს იმის სურვილი, რომ რიტორიკა შერბილდეს, რაც ყინულს გაალღობს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობაში.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ახალი ფურცელი იშლება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში? ამის ნიშნები უდაოდ სჩანს. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა: **„პოზიტიური სიგნალები ჯერჯერობით მოდის, ჩვენ მზად ვართ, მათ ვუპასუხოთ. ჩვენ უკვე ვპასუხობთ. მაგრამ შეხვედრები ძალიან კარგად უნდა იყოს მომზადებული და რაღაც პოზიტიურით უნდა დასრულდეს, მაგრამ მე ჯერჯერობით არც ისე კარგად მესმის, რა იქნება ჩვენი განხილვის საგანი. თუმცა ჩვენ ამისთვის დახურულები არ ვართ“.**

პოზიციები გაგებულია. გაჩნდა მესიჯები, ალბათ მოხდება ორი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა და განხილულ იქნება ყველა ის აქტუალური საკითხი, რაც ძალიან აწუხებს საქართველოს.

ორთა შეხვედრა არ ჩრდილავს ჟენევის მოლაპარაკებას, სადაც მონაწილეობენ სხვა მხარეები და დასმულია ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხები.

კარასინმა ორთა შეხვედრის შემდეგ ჟურნალ **„რია ნოვოსტისთვის“** მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **„ამ შეხვედრით არ უნდა დაზარალდეს რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობაო“**. ამ გამოთქმაში დიპლომატმა ალბათ იგულისხმა რუსეთის პროტექტორატის ქვეს მყოფი მხარეებს (აფხაზებსა და ოსებს) არ გასჩენოდათ ფორიაქის საბაბი.

ორმხრივი შეხვედრა თუ გასცდა ჟენევის ფორმატის ორბიტას, ის მაშინვე გამოიწვევს ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ეჭვებს. უმალვე გაჩნდება უნდობლობის საფუძველი. ამიტომ ორთა შეხვედრა უნდა იყოს მაქსიმალურად გახსნილი და დაუფარავი, სადაც უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკებები არა მხოლოდ ეკონომიურ საკითხებზე, არამედ უმაღლესი დონის შეხვედრის მოსამზადებლად.

არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება და სავსებით სამართლიანი, რომ რუსეთის გარეშე შეუძლებელია აფხაზეთისა და ოსეთის, ანუ ჩვენი ძირძველი ტერიტორიების დაბრუნება. თუმცა არიან მეორე თვალსაზრისის მომხრენიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რუსეთის გარეშეც შესაძლებელია აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი მოლაპარაკება, რომ თანამოძმეებთან უნდა გავაძლიეროთ სახალხო და დიპლომატიური ურთიერთობა, საქართველო მათთვის უნდა გახდეს მიმზიდველი, მოვუხმოთ ნდობის აღდგენის ნაცად ხერხებას, ინოვაციურ მეთოდებს და სხვა.

ერთი ცხადია, რუსეთის ხელისუფლებასა და დუმაში ჯერაც არიან ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა კავშირის ფორმატში მეზობლებთან ურთიერთობის აღდგენას.

საფრთხე მართლაც არსებობს.

თუმცა ეს თემა გაცვეთილია – მას მომავალი არ აქვს.

საქართველოს ჩათრევის, მისი იძულებითი მცდელობა გადაახვევინონ არჩეული გზიდან, ძნელია. თუმცა ყოფილი ხელისუფლების რიტორიკა და ყიჟინი, რომ ივანიშვილი რუსეთის პროექტია და საქართველოს ისევე რუსეთის გუბერნიად ყოფნა უქადის, მცდარია.

პოლიტიკის დამკვეთი ხალხია, მასა არასდროს ცდება, და ვინც მოინდომებს ფეხქვეშ გათელოს ეს ნება-სურვილი, მას მუდამ საკადრისი მიეზღვება.

„ნაცებმა“ თავად მოიჭრეს ყოველგვარი გზა ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობისა და დიალოგისა. მათ აკრძალეს რუსული სიმღერები და ფილმები, სკოლაში შეამცირეს რუსულის ენის სწავლების პროგრამული მასალა, ამოიღეს მსოფლო კლასიკოსთა ნაწარმოებები და ბიოგრაფიები. ეს მაშინ, როცა ყველა სხვა ენა დაწყებითი კლასებიდან ისწავლება.

ცალსახაა, რომ რუსეთის **„ორბიტაზე“** საქართველო არ დაბრუნდება. მიუხედავად ამისა ახალი ხელისუფლების ინიციატივას მოჰყვა მოსკოვის დადებითი გაგება, იგრძნობა დამოკიდებულების შერბილება. ეს ცუდი არ არის, თუმცა მათ კარგად იციან, რომ ჩვენი რადიკალურად შემობრუნება ზღაპარია. დუმის დეპუტატები ამბობენ, რომ თურქეთი და ინგლისი ვერ მოგვანიჭებს ბედნიერებას, ამიტომ საქართველომ უნდა იფიქროს რუსეთზე, რომ სწორედ რუსეთს შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი კავკასიაში.

ბელორუსიის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ, ისიც კი განაცხადა მე დაუჩოქებ ქართველებს, ოღონდაც ისინი **„დსთ“**-ში დაბრუნდნენო.

ისტერიის დრო დასრულდა, ახლო მეზობელთან მუდმივ მოძულეობასა და ქიშპს წერტილი უნდა დაესვას. იწყება ურთიერთობების ახალი ფურცელი. ეს რეალობაა, ეს გარდუვალობაა. ამას მოითხოვენ დასავლეთის პარტნიორები. ისიც ცხადია, რომ ძველმა ხელისუფლებამ თუ აირჩია **„გამდიდრების“** იოლი გზა, ტურიზმითა და ტაშ-ფანდურით გავაძლიეროთ ეკონომიკა, რაც კეთილ ზღაპარს გავს. ტურიზმი ისეთი რამ არის. მცირე რყევის შემთხვევაში ტურისტი არ ჩამოვა და დავრჩებით ხახამშრალი. ამიტომ, ახალი ხელისუფლების ინიციატივა და სურვილი – ყველა რაიონში აშენდეს საწარმო და მოვიპოვოთ ადგილი ყველაზე მახლობელ და ძლიერ რუსეთის ბაზარზე, გამართლებულია და ამ კარგ ინიციატივას, მოსახლეობასთან ერთად, გაგებით მოეკიდნენ ბიზნესის წარმომადგენლები.

27 დეკემბერს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით, შეიკრიბნენ ღვინის მწარმოებელი კომპანიები და გადაწყდა, რომ **„ღვინის ასოციაციის“** წარმომადგენლები გაემგზავრებიან მოსკოვში და ონიშენკოსთან დააზუსტებენ ყველა საურთიერთობო დეტალებს. ამას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დენისოვის ოპტიმისტური განმარტება: **„ქართული პროდუქციის საგანგებო მონიტორინგი რუსეთის მაკონტროლებელი ორგანოების გეგმებში არ შედის“**-ო.

რუსეთის ბაზარი ჩვენთვის ტრადიციულია, თუმცა მას არ უნდა მიებას ისეთი პოლიტიკური საკითხები, რომელიც დააზარალებს ეროვნულ ღირებულებებს.

დასავლეთი უნდა დარწმუნდეს, რომ **„დსთ“**-ს თემა საბოლოოდ მკვდარია. რუსეთის მარყუჟში ჩახვევა გამორიცხულია. მათ უნდა დაინახონ რა ლიმიტი არსებობს მორიგ მოლაპარაკებებში.

საზოგადოებამ უკვე მოისმინა რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ივანიშვილის ოპტიმისტური გამონათქვამები. საზოგადოებაში გაჩნდა იმედის ნაპერწკალი. რეალისტურია გალღვეს ყინული აფხაზეთისა და ოსეთის საკითხებთან დამოკიდებულებაშიც. როგორც ქართველი საკანონმდებლო და ხელისუფლების წარმომადგენლები გვარწმუნებენ, საქართველო არ გადავა ეროვნული პრიორიტეტებიდან. თუმცა საუბარი **„მძიმე“** თემაზე რუსეთთან გარდაუვალია.

ცხადია, რუსეთს ექნება მცდელობა ზეგავლენა მოახდინოს ქართულ **„ბარიკადზე“**. წინა ხელისუფლების პირობებში ადვილად გადასძლია ის **„ბაგირი“**, რომელსაც **„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“** შესვლა ქვია. ახლა პუტინი მზადაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები და საქართველოს მოუხსნა პროდუქტებზე ემბარგო. მან ბრძანა **„საქართველომ მართლაც მოხსნა თავისი საწინაღმდეგო მოსაზრებები რუსეთის მსოფლიო ორგანიზაციის გაწევრიანებასთან დაკავშირებით და ჩვენ თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ და ჩვენი ვალდებულებები შევასრულოთ. მე, სხვათა შორის, შევხედავ ამ პრობლემას. ისე, ალბათ, არსებობს და დეპოლიტიზირებული უნდა იქნას“.**

ამოცანა ის გახლავთ, ორმხრივი სურვილის აღსრულება უსასრულოდ არ უნდა გაიწელოს. ჩვენ არ უნდა აღმოვჩნდეთ მცოცავი ანექსიის ხიფათის ქვეშ, არ უნდა ავეკვეთ ცდუნებას.

საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენს ირგვლივ რადიკალურად შეიცვალა, ახლა სხვა საუკუნეა, სხვა სამყაროა. გლობალიზაციის ცეცხლი გიზგიზებს ირგვლივ, რაც არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა, ამის გამო უარის თქმა ახალი რეალობებისა და გამოწვევებისადმი შეუძლებელია.

არის კიდევ ერთი პრობლემა – თუ როგორ შეხედავს ჩვენსა და რუსეთის დაახლოებას ამერიკა. დრო დაგვანახებს, მომავალი დაგვანახებს რა **„ფრთებს“** შეისხამს საქართველოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა აკადემია, “აია“-ს ნამდვილი წევრი.

ნაგვიანევი (ხამუშ-ხამუშ) ბარათი მიხეილ სააკაშვილს

ცოტა ჭკუა რომ გქონოდა, დღესაც პრეზიდენტი იქნებოდი. იმის მაგივრად, რომ ბიუჯეტის ფულები პენსიონერებისთვისაც გაგენაწილებინა და მათი გულები მოგეგო, მარტო მაჭავარიანს, ოჩიაურს, გოგორიშვილს და მისთანა ქლესებსა და ორპირებს ტენიდი. ცხრა წლის წინ დაპირებული მინიმალური პენსია ახლა მაინც რომ გაგემეტებინა, მხარს შენ დაგიჭერდით და არა სხვას. პენსიონერები რამდენი ვართ, იცი? თითქმის მილიონი. ამომრჩეველი სულ ორი მილიონია. აქედან 50 პროცენტი შენი ვიქნებოდით. ახლა ამ 50 პროცენტს დაუმატე შენი ჩინოვნიკების, დაშინებულებისა და ტვინგამორეცხილების 10-15 პროცენტი. სულ 60-65 პროცენტია. ამდენი ხმის პატრონს, ბიძინა ივანიშვილი კი არა, მამაზეციერიც ვერ დაგამარცხებდა. არ გინდოდა პენსიონერების ხმა? გყავდეს ახლა მაჭავარიანი, ოჩიაური, გოგორიშვილი და მისთანები. თუ გინდა აწი მიშა თავ(თ)ხელიძე და თეა თუთბერიძეც გყავდეს, არავისზე ნაკლები ქლესები და მაიმუნები არ არიან.

გამკონტროლებელ სააკაშვილს

ჩვენ, ოპოზიციაში გადასული ნაციონალები, პარლამენტში ხელისუფლებას გავაკონტროლებთო, აცხადებ რიხით. თქვენი გაკონტროლებულისა რა ვთქვი თავად გაუკონტროლებულებო. გამკონტროლებელი პირველ რიგში თავს გაიკონტროლებდა. ისე უკონტროლოდ და უთავბოლოდ ხარჯავდით ბიუჯეტს, სხვა რანაირად უნდა გააკონტროლოთ?

მაშინ, როცა ბემი იძირებოდა

ის ნამდვილად გამიგონია: გემი რომ იძირება, ვირთხები გემბანიდან გარბიანო, მაგრამ მსგავსი რამ უკუღმა მომხდარიყო, ესე იგი, ჩასაძირად განწირულ გემს ვირთხები შესეოდნენ, ჯერ არ გამიგონია. ყველაფერი უცნაური ამ ნაციონალებისაგან უნდა გავიგოთ: სწორედ მაშინ, როცა მთელი საქართველო თვალნათლივ ხედავდა, რომ სააკაშვილი და მისი ძირგამომპალი გემის ეკიპაჟი პირველ ოქტომბერს წყალში უნდა ჩაძირულიყო, ამ დროს შეუხტნენ გემბანზე 85 წლის გადახჩუებული ბერიკაცი გოგი ოჩიაური, ნაპროკურორალი ყმაწვილი დავით საყვარელიძე, უსახური სერგო რატიანი, იუსტიციის გაქცეული მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი ვაშაძე, ნაგუბერნატორალი გიორგი ღვინიაშვილი, 22 წლის მარიამ საჯაია და ასე შემდეგ, რამდენიმე მათნაირი ცხვირკაუჭა და წინდაუხედავი კარიერისტი და ნასუფრალის მოყვარული. ეს მარიამ საჯაია, კარგი, ბატონო, პირზე რძეშეუმშრალი პატარა და ქვეშაფსია გოგო იყო და ჭკუა არ ჰქონდა, მაგრამ ეს 85 წლის გოგია ოჩიაური რამ ააცუნდრუკა: რომ მიძვრებოდა, სად მიძვრებოდა ამ სიბერეში?. ახლა უნუგეშოდ ფართხალებენ ჩაძირულ გემში. საბრალოები... აწი დმერთმაც რომ უკიჟინოს, ხელი გაანძრიეთ და გიშველითო, ტყუილია, ვერაფერი უშველით. მათი პრეზიდენტი, საცაა, დაჰკრავს ფეხს და ჰოლანდიაში დურთავს თავს ცოლეურებში...

ისტორია ჯერ არ დამთავრებულა...

ვტრაბახობთ: ბევრი ერი და სახელმწიფო გადაშენებულა პირისაგან მიწისა, საქართველო და ქართველი ერი კი გადარჩენილა და ფეხზე დგასო. მაგრამ გვავიწყდება, რომ ისტორია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და ამ უსამანო ისტორიის მანძილზე საქართველო და ქართველი ერი, სამწუხაროდ, შესამჩნევად მცირდება და ნადგურდება. გადავხედოთ ისტორიას: დავით აღმაშენებლის დროს ქართველი ერი თორმეტ მილიონს ითვლიდა, დღეს ოთხ მილიონს ძლივს აღწევს. დავით აღმაშენებლის დროს საქართველო კავკასიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული. ოთხმოცდაათი წლის წინათ, ბოლშევიკების შემოსვლამდე, საქართველოს ტერიტორია ასოცი ათას კვმ-ს ითვლიდა, დღეს ორმოცდაათს ითვლის და, აგერ, ზედ თბილისის კარიბჭესთან იზღუდება, სააკაშვილის ხისტი პოლიტიკის წყალობის შედეგად.. ესეც შენი კავკასიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველო, ან თორმეტმილიონიანი მოსახლეობა.. ნუ დავიმშვიდებთ თავს იმით, რომ ისტორიაში ბევრი ერი და სახელმწიფო გადაშენებულა, მაგრამ ჩვენ გადავრჩენილვართო. მოდით, ისტორია რომ დასრულდება, მერე ვიტრაბახოთ...

საწყალი ნაციონალები

ახლა, როცა ეს ბედოვლათი ნაციონალები ოპოზიციასა და უმცირესობაში გადავიდნენ, თურმე მთელი მათი შემდგომი პოლიტიკური და ოპოზიციური მოღვაწეობის მიზანი და ამოცანა ის ყოფილა, როგორმე კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ისე არ აგიდგეთ გვერდები, როგორც ამას ედუარდ შევარდნაძე იტყოდა, სანამ თქვენ ხელისუფლებაში არ დაბრუნდეთ. მე კი დავუმატებდი: მტერი დაბრუნდა ისე, როგორც თქვენ დაბრუნდებით. ანდა, ასეც: სანამ ბაყაყს არ ამოუვა კბილები, მანამ თქვენ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებით. ჰოდა, უცადეთ, როდის ამოუვა ბაყაყს კბილები.

სიტყვებს უმიზნოდ არ ისროდნენ

რუსებთან უაზრო და ჩვენთვის გამანადგურებელი ომი წავაგეთ. სისხლიც უაზროდ დაიღვარა. ეს ჩვენ ვწუხდით ამას, თორემ სააკაშვილის ეკა ხერხეულიძე და კობა ხაბაზი სიხარულით კანში ვერ ეტეოდნენ. ერთი (ეკაია) გვარწმუნებდა, ტერიტორიულ მთლიანობასთან ისე ახლოს არასოდეს ვყოფილვართ, როგორც ახლა ვართო. მეორემ (კობაიამ) უფრო შორს გაუტია: მალეო, მარტო აფხაზეთს და ცხინვალს კი არა, სოჭსაც დავიბრუნებთო. კინაღამ ვინატრე: თუ აგვისტოს წაგებული ომის შედეგად აფხაზეთს, ცხინვალს და სოჭს დავიბრუნებდით, ნეტავი ომი ადრე წამოგვწყო-მეთქი. თუმცა ორივემ კარგად იცოდა, ეს **“მალე”** სააკაშვილის ხელში არასოდეს დადგებოდა, მაგრამ უფროსის გული სხვა სიტყვებით რანაირად მოეგოთ? ნაციონალები სიტყვებს უმიზნოდ არასოდეს ისროდნენ...

გიგი უგულავას

ახლა რომ დაგეწვა გული, სოციალურად დაუცველები დამეჩაგრაო და, პრემიერ-მინისტრად გუშინ დანიშნულ კაცს დღეს რომ მიუვარდი კაბინეტში, მაშინ სად იყავი, ნაგავი დენს რომ მიაბი და, სამი ლარის ნაცვლად მარტოხელა პენსიონერს ოცდაცამეტი ლარი გადამახდევინე? ან მაშინ რატომ არ გაგახსენდით, როცა საკუთარი მეუღლე სამშობიაროდ უცხო ქვეყანაში წააბრძანე (წყალი არ გაუვა, თავის მოახლეებ-ახლობლებიანად)? ღმერთმა იმ ქალბატონს ჯანმრთელობა არ მოაკლოს, მაგრამ ბავშვის გაჩენა საქართველოშიც რა პრობლემა იყო, ბიუჯეტიდან ნაპარავი ფული ერთ ავსტრიულ მშობიარობაში რომ არ დაგეხარჯა?

რეზო ჩხარტიშვილი,
მწერალი

ქართული სულიერების კერები წმინდა მიწაზე

სწორედ ქტიტორთა სერიას შეესატყვისება სტილისტურად შოთა რუსთაველის პორტრეტიც. იგი გამოსახულია მუხლმოდრეკით იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფიგურებს შორის. მარცხნივ პორტრეტის ზემოთ მოთავსებულია წარწერა: **„უფალო, შეიწყალე შოთა, ამ ეკლესიის შემამკობელი ამინ. რუსთაველი“.** ეს პორტრეტი არაერთხელ გადაიღება და გაიწმინდა და შეცდომით ითვლებოდა რუსთველის ერთადერთ ნამდვილ გამოსახულებად. ქართველმა ექსპერტებმა 1959 წელს მონასტრის შესწავლისას, კვლავ აღმოაჩინეს ეს პორტრეტი, გადაღებილი შავი საღებავით. ფრესკა აღადგინეს მაგრამ ქართველი მეცნიერები არ იყვნენ კმაყოფილნი ფრესკის აღდგენის ხარისხითა და მეთოდით.

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, გია ბუღაძემ მაშინ განაცხადა, რომ მან, ვინც აღადგინა ეს ფრესკა, დაარღვია რესტავრაციის ტექნოლოგიური ნორმები, სამუშაო შესრულებულია უხეშად, არ არის დაცული საერთაშორისო კონვენციის შესაბამისი პრინციპები.

მეცნიერ-ისტორიკოსის, აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძის აზრით, **„სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება ბერძნულ მხარეს უნდა შეეთანხმებინა ქართულ მხარესთან და სპეციალისტებთან, მაშინ ადგილი არ ექნებოდა უარყოფით შედეგს“.**

2007 წლიდან ივლისში ფრესკა კვლავ დააზიანეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტა გაუგზავნა ისრაელის მხარეს, რომელშიც გამოთქვა პროტესტი მომხდართან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრესკის დაზიანების ფაქტი საგანგაშოა, რამეთუ **„არავის არ ჰქონდა ამ ეკლესიაში შესვლის უფლება შესაბამისი ნებართვის გარეშე“**. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ განაცხადა, რომ **„ფრესკა იმდენად ძლიერადაა დაზიანებული, რომ მისი აღდგენა ძალიან რთული იქნება“**. მან იმედი გამოთქვა, რომ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი ირენეოსი **„სათანადო ყურადღებას გამოიჩენს ამ ფაქტის მიმართ და ყოველ ღონეს მიმართავს მომხდარის გამოსაძიებლად“. „ეკლესიაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი ასეთ ფაქტებს“,** თქვა ილია II-მ. ამჟამად ფრესკა რესტავრირებულია.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ შოთა რუსთაველის ბიუსტის შესახებ, რომელიც 2005 წელს აღიმართა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე. სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ბიუსტი, რომელიც კურორტ წყალტუბოში ჩატანილი იქნა ბიზნესმენთა ფედერაციის პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის მიერ. ბარელიეფი დამზადდა ესთეტიკური ღირსებებითა და სიმტკიცით ცნობილი ბოლნური ქვისგან. მაშინ ბადრი პატარკაციშვილმა აღნიშნა, რომ ეს მოვლენა იძენს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, განსაკუთრებით რუსთაველის ფრესკასთან მიმართებაში ჩადენილი უპრეცედენტო ვანდალიზმის აქტის ფონზე, რომელიც პრაქტიკულად გაანადგურეს წმ. ჯვრის მონასტერში. **„თუ ვინმე გაბედავს ამ ბარელიეფის განადგურებას, მე დავდგამ ორჯერ უფრო დიდი ზომისას, თუ მასაც დააზიანებენ, დავდგამ კიდევ ორჯერ უფრო დიდს“**. მაგრამ ვანდალებმა ხელი აღმართეს ბიუსტზედაც, დაზიანეს მასზე თვალები. ამჟამად ბიუსტი აღდგენილია.

დავუბრუნდეთ წმ. ჯვრის მონასტრის ისტორიას. რესტავრაციის შემდგომ მონასტერში იბერიელი ბერების მხოლოდ მცირე რაოდენობა დარჩა, წინამძღოლი კი უმეტეს დროს იბერიაში ატარებდა.

მონასტრისათვის ამ შედარებით მშვიდ დროს განეკუთვნება სავანის ერთ-ერთი ბერის ნიკოლოზ დვალის მოწამებრივი აღსრულების ისტორია. ნიკოლოზი დაიბადა მორწმუნე მშობლების ოჯახში, 12 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. კლარჯეთის უდაბნოში მას გაუჩნდა იერუსალიმში წასვლის მწველი სურვილი, რათა თაყვანი ეცა უფლის საფლავისთვის და დამკვიდრებულიყო მონასტერში.

იერუსალიმში მას გაუჩნდა ქრისტესთვის წამების სურვილი. იგი დაჟინებით ეძებდა წამების გვირგვინს, მაგრამ ქრისტიანებმა ორჯერ მოახერხეს მისი სიკვდილისგან დახსნა. მაგალითად, დამასკოში, სადაც ის გააგზავნა მონასტრის იღუმენმა, ნიკოლოზი შევიდა მუსულმანთა სამლოცველო სახლში, ყველას წინაშე დაიწყო ქრისტეს სჯულის ქადაგება, ხოლო მუსულმანურ სარწმუნოებას კი ლანძღავდა. ამის გამო ის სასტიკად სცემეს და ჩაამწყვდიეს სიბნელეში. მიტროპოლიტისა და ქრისტიანების დახმარებით იგი ტყვეობიდან გაათავისუფლეს. მაგრამ შემდეგ ისევ წავიდა მუსულმანთა სამლოცველოში და კვლავ გაილახა: მიაყენეს 500-მდე დარტყმა ტყავის ფართო ქამრებით და კვლავ გამოამწყვდიეს, სადაც დაჰყო 2 თვის განმავლობაში. ქრისტიანებმა კვლავ გაათავისუფლეს და სურდათ, მისი იერუსალიმში დაბრუნება. მაგრამ წმინდა ქალაქისკენ მიმავალ გზაზე მას შეხვდა ემირი, რომელმაც იცნო. მან ნიკოლოზი შეიპყრო და მიჰგვარა **„ემირთ ემირ დენგიზს“,** რომელმაც ბრძანა მისთვის თავის მოკვეთა. ნიკოლოზმა სახე აღმოსავლეთს მიაპყრო და სიხარულით მიუშვირა ყელი დანას. **„დიდება შენ, უფალო ქრისტე, რომელმაც მაღირსე მე მოვმკვდარიყავი შენთვის!“. „ზუსტად იგივე შვიდჯერ გაიმეორა მოჭრილმა თავმა: „დიდება შენდა ქრისტე ღმერთო!“. ამან სპარსელების დიდი გაოცება გამოიწვია. მისი სხეული ცეცხლში დაწვეს, სამი დღის განმავლობაში სინათლის სვეტი იყო აღმართული იმ ადგილზე, სადაც ის ეწამა“**. წმ. ჯვრის მონასტრის მდგომარეობა ნამდვილად კატასტროფული იყო. გარეგან ფაქტორებთან (ოსმალთა ხელისუფლების ზეწოლა, გადასახადები, საქართველოდან საჭირო პოლიტიკური და მატერიალური მხარდაჭერის არ არსებობა) ერთად იგი მძიმდებოდა მოუქნელი ხელმძღვანელობით. XVII საუკუნის II ნახევრის განმავლობაში მონასტერს ჰყავდა მთელი წყება წარუმატებელი მონასტრის წინამძღოლებისა. ვალების გადასახდელად იბერიიდან გაგზავნილი თანხა გზაში დაიკარგა. მონასტერი ხელში ჩაიგდეს კრედიტორებმა.

ამ რთულ ვითარებებში მონასტერს დაეხმარა იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქო პატრიარქ დოსითეოს II-ის (1669-1707) მეთაურობით. ამ პერიოდის მოვლენები დაწვრილებითაა აღწერილი მისი ეპისტოლეების სერიაში. იმის გარკვევისას, თუ როგორ მოხვდა ქართული სამფლობელოები ესოდენ სავალალო მდგომარეობაში, დოსითეოსი წერს მთელი წყება **„უხეირო იღუმენების“** შესახებ: **„იღუმენთა პატივმოყვარეობამ და მფლანგველობამ მონასტერს უდიდესი ზიანი მიაყენა და აი, უკვე 37 წელიწადია, ჩვენ ვცდილობთ მათ გამოსწორებას. და არა მხოლოდ ჩვენ, არამედ თქვენი მამები და პაპები... ცდილობდნენ მონასტრის გათავისუფლებას ვალებისაგან და 50 წლის განმავლობაში ძლივს მოახერხეს მოეპოვებინათ მისთვის ეს თავისუფლება; და ეხლა ჩვენ და თქვენ გვმართებს მონასტრისადმი ყურადღება, რათა არ გაეხვეს კვლავ ვალებში, რადგან მეორედ მათ თავს ვეღარ დააღწევს.“**

ბერძნული და ქართული მხარეების ერთობლივი ძალისხმევა წარმატებით დაგვირგვინდა. ქართველმა მმართველებმა შეძლეს გარკვეული საშუალებების მოძიება. შეუშველებიათ მოსაკრებელიც, ორგანიზებული საქართველოს ქალაქებში იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ. კრედიტორების მიერ გადახდილი იქნა მონასტრის ვალები. ვალებისაგან გათავისუფლებული მონასტერი გადავიდა იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ. იერუსალიმში მცხოვრები რამდენიმე იბერიელი ბერი გადავიდა უფლის საფლავის საძმოში.

მონასტერი XVIII საუკუნიდან ჩვენს დრომდე

ამრიგად, იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა აღადგინა წმ. ჯვრის მონასტერი ისევე, როგორც მის იურისდიქციაში გადასული სხვა იბერიული (ქართული) მონასტრები. იგი შენარჩუნდა როგორც ქრისტიანული მონასტერი. ამასთან, XIV საუკუნიდან მოყოლებული მუსულმანებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მონასტერი მათ ეკუთვნის და ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ შესაბამის განკარგულებებს.

საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის შესდგა შეთანხმებები წმ. ჯვრის მონასტრის ირგვლივ მდებარე მიწებზე საკუთრების უფლებისა და მონასტრის უახლოესი სოფლის – მალხის თაობაზე. არსებობს წერილობითი მოწმობა იმისა, რომ თავდაპირველად ამ სოფლის მცხოვრებები, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას აყენებდნენ მონასტრის მიწებზე, იყვნენ იბერიელი ქრისტიანები, ანუ ისინი, რომელიც იბერიულმა თემმა დაასახლა აქ XIII საუკუნეში სამეურნეო საქმიანობის საწარმოებლად. მაგრამ დროთა განმავლობაში გლეხები გადავიდნენ ისლამის სჯულზე და სავანის დაშლის შემდეგ კი პრეტენზიას აყენებდნენ მონასტრის მიწებზე. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა მხოლოდ იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ მიწების შესყიდვის შემდეგ.

XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მონასტერი მოქმედი იყო. ბერების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მათ სიცოცხლეს და მონასტრის ქონებას მუდმივად ემუქრებოდნენ მუსულმანები.

1848 წელს რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იერუსალიმის საპატრიარქოს ნებართვა სთხოვა წმ. ჯვრის მონასტერში რუსული სულიერი მისიის დამკვიდრების შესახებ. მაგრამ პატრიარქმა ათანასემ ამ მიმართვამდე მიიღო გადაწყვეტილება მონასტრის საღვთისმეტყველო სკოლად გადაკეთების შესახებ.

1855 წელს დაიწყო მონასტრის ახალი აყვავება. გარემონტებული და გარდაქმნილი იქნა სამონასტრო ნაგებობების მთელი კომპლექსი, რის შედეგად მონასტრის გარეგნული მხარე შეიცვალა. ბერების კელიები გადაკეთდა სალექციო შენობებად, სატრაპეზო მოეწყო ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო ყოველდღიური ლოცვების აღსავლენად შეიქმნა კაპელა, მსგავსი წმ. იოანე დამასკელის კაპელისა. ძირითად შენობას დააშენეს სამი სართული, გაჩნდა სამრეკლო.

მონასტრის ბიბლიოთეკა შეივსო ასობით წიგნით მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან, მათ შორის ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით, საღვთისმეტყველო შრომებით. ამასთან მის შემადგენლობაში იყო დიდი რაოდენობით უძველესი ხელნაწერები.

მონასტრის ყველაზე დიდი ნაგებობა გადაკეთდა მუზეუმად. და ეს იყო პირველი მუზეუმი იერუსალიმში, სადაც სხვა ექსპონატებს შორის წარმოდგენილი იყო მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები და ძეგლები, რომლებიც შეეხებოდა პალესტინის ისტორიას.

საღვთისმეტყველო სკოლა მოქმედებდა მცირე შეწყვეტით 53 წლის განმავლობაში – 1908 წლამდე. იგი დახურეს საპატრიარქოს ფინანსური სირთულეების გამო. 1905 წელს სკოლა ითვლიდა 485 ნამდვილ სტუდენტსა და 94 ასპირანტს. ბევრ მის დამთავრებულს მაღალი თანამდებობები ეკავა აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში. საღვთისმეტყველო სკოლის დახურვით წმ. ჯვრის მონასტრისათვის კვლავ დადგა დაქვეითების პერიოდი. 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მონასტერში იმყოფებოდა მხოლოდ ერთი წინამძღვარი, რომელიც იმავდროულად დარაჯის მოვალეობასაც ასრულებდა.

მონასტრის მივიწყებისა და დაცემის შედეგი იყო შენობის დაზიანება (გარედან და შიგნიდანაც), მოზაიკური იატაკის დაშლა, კედლის მხატვრობის თანდათანობით გაქრობა.

წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ წერდნენ რუსი მოგზაურები და საეკლესიო მოღვაწეები, კერძოდ, არქიმანდრიტი ლეონიდე (კაველინი), რომელიც ცხოვრობდა იერუსალიმში 1858-1899 წლებში. 1881 წელს კი არქიმანდრიტი ანტონი (კაპუსტინი) მონასტერში საქმეების სავალალო მდგომარეობას აღწერს საანგარიშო ჩანაწერში, რომელიც გათვალისწინებული იყო თბილისში არქეოლოგიურ შეკრებაზე წასაკითხად: **„მთელი ეკლესია შიგნიდან, კედლები, თაღები და კამარები დაფარულია ხატწერის გამოსახულებებით, რომლებიც ამჟამად უმეტესად დაზიანებულია... [მონასტრის ბიბლიოთეკისგან] ჯერ კიდევ შემორჩენილია სამი-ოთხი ათეული ძველი, დაზიანებული, ჭიებისაგან გამოჭმული, დამტვერილი და უყურადღებოდ მიტოვებული ხელნაწერი წიგნები, რომლებიც ამჟამად ყრია წმ. იოანე დამასკელის სახელობის საოჯახო ეკლესიის ერთ ოთახში...“.**

რუსეთის საზოგადოებას აღელვებდა წმ. ჯვრის მონასტრის მდგომარეობა. მ.პ. სოლოვიოვი **„მოსკოვსკიე ვედომოსტი“**-ში (1894 №2) წერდა: იერუსალიმის მონასტრებს შორის ყველაზე საუკეთესო და კეთილმოწყობილი – წმ. ჯვრის მონასტერი, ყველა ვალისაგან გაწმენდილი მეფე ირაკლის მიერ XVIII საუკუნის ბოლოს, იმყოფება მხოლოდ საპატრიარქოს გამგეობის ქვეშ იბერიელი ბერების იქ არ ყოფნის გამო, რომელთაც უფლებამოსილება შეუწყდათ მხოლოდ გასული საუკუნის (XVIII) ბოლოს, თურქეთთან და სპარსეთთან საქართველოს შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, საქართველოს უფლებები არ არის საკამათო საკითხი ისევე, როგორც არ ჩაღდება კამათი ქართული მიწების გამოყენების შესახებ, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქოს ერიცხება.

წმ. ჯვრის მონასტრისადმი რუსული საზოგადოების ინტერესი შემთხვევითი არ იყო. წმ. მიწაზე ფართოდ გაჩაღებულმა დიპლომატურმა და საგანმანათლებლო საქმიანობამ შესაძლებელი გახადა არაოფიციალურ დონეზე დაყენებულიყო რუსეთისათვის მონასტრის გადაცემის საკითხი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, და საქართველო კი იმჟამად უკვე დიდი ხნის შესული იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. იერუსალიმის საპატრიარქოს ძალისხმევით მონასტერი წესრიგში იქნა მოყვანილი და მის კედლებში გაიხსნა სასულიერო სემინარია.

მხოლოდ 1970-1973 წლებში მოახდინა იერუსალიმის საპატრიარქომ შენობის სრული აღდგენა, მოზაიკური იატაკების რესტავრაცია და კედლის მხატვრობის ნაწილობრივი კონსერვაცია. ბევრი რამის გადარჩენა მოხერხდა მაგრამ მონასტრის ძეგლებისა და სიძველეების მნიშვნელოვანი ნაწილი, სამწუხაროდ, დაიკარგა.

წმ. ჯვრის მონასტრის ეკლესია იძლევა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ხელოვნებისა და ტრადიციული იკონოგრაფიის გაცნობის შესაძლებლობას. არქიტექტურული ხაზების, იატაკის მოზაიკისა და კედლის მხატვრობის ჰარმონია მონასტრების მთავარ ეკლესიას წარმოაჩენს შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე ქრისტიანული ხელოვნების ცოცხალ მუზეუმად.

საღვთისმეტყველო სკოლა. ტაძარი დაკეტილი დამხვდა და ფიქრი აღუდგენენ შიგ ჩემს შეშვებას. საღვთისმეტყველო ფირვალოცვის დროს მომიხდა საუბარი პატრიარქთან და ისე გამიმართლა, რომ ტაძარში აღმოვჩნდი მასთან ერთად, მის გვერდით.

იქვე გავიცანი რუსი ქალი (მისი სახელი არ მახსოვს), რომელმაც მითხრა, რომ ჯვარია დაკარგული და აქედან გატანილიო.

ტაძრის მსახურები ფოტოების გადაღების უფლებას არ მაძლევდნენ იმიტომ, რომ დაზიანებული იყო შოთა რუსთაველის ფრესკა, მაგრამ, ღვთის ფყალობით, მაინც მოვახერხე სურათების გადაღება.

ნოდარ ერიაშვილი,
პროფესორი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გიორგი დემეტრაძე: სააკაშვილს ციხეში ადგილი გამზადებული აქვს – "საქათმეში"

უკრაინული პროგრამა **"პროფუტბოლის"** ჟურნალისტები საქართველოს სტუმრობდნენ. მათ, მაშინ საპატიმროში მყოფი საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძეც მოკითხეს, რომელსაც სხვადასხვა დროს უკრაინის კლუბებში: კიევის **"დინამოსა"** და **"არსენალში"**, ასევე, დონეცკის **"მეტალურგში"** უთამაშია.

გიორგისთან ინტერვიუ უკრაინულმა საიტმა **Football.ua**-მ გამოაქვეყნა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

გიორგი დემეტრაძე: ციხემ კიდევ უფრო გამომაწრთო:

საქართველოში ლეგენდარულ ფეხბურთელთან, კახი კალაძესთან შესახვედრად ჩავედით, რომელიც რამდენიმე თვის წინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა.

თბილისში ამბობენ, რომ კიევის **"დინამოსა"** და **"მილანის"** ექსფეხბურთელმა პოლიტიკაში წასვლა მეგობრის, გიორგი დემეტრაძის დაპატიმრების გამო გადაწყვიტაო.

ეს ფეხბურთელი უკვე მესამე წელია, ციხეში იჯდა. ჩვენ მაშინ შევძელით პატიმრობაში მყოფ გიორგისთან ინტერვიუს **"სკაიპით"** ჩაწერა, რომელიც ქართულ ციხეებში სიახლე იყო.

სახელგანთქმულმა ქართველმა ფეხბურთელმა მისი დაკავების მიზეზებზე, ოთხ კედელში ცხოვრებაზე, ძველ და ახალ ხელისუფლებაზე საკუთარ შეხედულებებსა და კიდევ იმაზე გვიამბო, თუ რატომ არ არიგებს ციხეში ავტოგრაფებს.

– მაინც რატომ ჩაგსვეს ციხეში?

– მიზეზს აქამდე ვერ მივმხვდარვარ. ოფიციალურად 223-ე მუხლით, ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის გამასამართლეს. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ ჩემი დასჯით სხვების დაშინება სურდათ.

ხელისუფლების ასეთი რეაქცია სხვების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე ჩემმა უარმა განაპირობა, რომლებიც უდანაშაულონი იყვნენ. მე ამაზე უარი ვთქვი და აღმოვჩნდი კიდეც საპატიმროში გამოგონილი ბრალდებით.

– პატიმრობამ შინაგანად რამდენად შეგცვალათ? ახლა სხვა ადამიანი ხართ?

– ისეთადვე დავრჩი, როგორიც ვიყავი. ძალიან მტკიცე ხასიათი მაქვს. ადრე ვამბობდი, ცხოვრებაში ყველაფერი ვნახე, ციხის გარდა-მეთქი. აი, ახლა ესეც გამოვცადე. ციხემ კიდევ უფრო გამომაწრთო.

– პატიმრობაში თქვენი ცხოვრება როგორ მიდიოდა?

– თავიდან ძალიან ჭირდა. მე არავინ მცემდა, მაგრამ სასტიკად კი მექცეოდნენ. კარცერში არაერთხელ აღმოვჩნდი. იგონებდნენ ათასგვარ მიზეზს, რათა ერთკაციან კამერაში გადავეყვანე. ხან ჩხუბში მონაწილეობას მწამებდნენ, ხან ხმაურს, თუმცა ციხეში არასდროს მიჩხუბია.

ჩემი ფსიქოლოგიურად გატეხვა სურდათ და ამისთვის მკაცრი რეჟიმის დახურულ კოლონიაში გადაყვანა დამიპირეს. იქ სასჯელს იხდიან ადამიანები, რომლებსაც სამუდამო პატიმრობა ან 25 წელი და მეტი აქვთ მისჯილი – რეციდივისტები...

ეს ჩემთვის პატიმრობაში გატარებული ყველაზე მძიმე პერიოდი იყო. 28 დღის განმავლობაში არ მაძლევდნენ არც ბარათს, რომლითაც შემეძლო საკვები ან პირადი მოხმარების ნივთები მეყიდა.

მაძლევდნენ მხოლოდ პურსა და წყალს. არ მქონდა კბილის პასტა და მატრასიც კი. არ მიშვებდნენ გასეირნებაზე. მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ფსიქოლოგიურად ვერ გამტეხავდნენ.

– ციხეში გცნობდნენ?

– დიახ, მსჯავრდებულებიცა და ციხის უფროსიც, თუმცა რაიმე შედავათი ამის გამო არ ყოფილა. ავტოგრაფებს არავინ მთხოვდა, აქ ასეთი რამ მიღებული არაა.

– პატიმრები ფეხბურთს თამაშობენ?

– მუდმივად. აქ ბევრია ფეხბურთის მოყვარული და ტურნირებსაც ვატარებდით. ჩემი გუნდი იმარჯვებდა, დემეტრაძე კი საუკეთესო ბომბარდირი ხდებოდა. ერთხელ მსჯავრდებულების გუნდმა მატჩი პროფესიონალ ფეხბურთელებთანაც გავმართეთ და 8:7 მოვუგეთ.

– ახლა რამდენს იწონით?

– სანამ დამაკავებდნენ, 74 კგ ვიყავი, ახლა 64 კგ. ფრანგული წონა მაქვს. ფორმას ვინარჩუნებ. გვქონდა ტრენაჟორები, უკვე 70 კგ-იან შტანგას ვეწევი. მართალია, გავხდი, მაგრამ ძალა მომემატა.

– ციხეში მეგობრები შეიძინეთ?

– რა თქმა უნდა. აქ ბევრია პატიოსანი, წესიერი, კარგი ადამიანი. არიან პროფესორებიც და აკადემიკოსებიც. ბევრი მათგანი ციხეში წინა პოლიტიკური რეჟიმის გამო აღმოჩნდა.

მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებაში მსჯავრდებულთა პროცენტით, საქართველო მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს შორისაა.

თუკი ათი წლის წინ ქვეყანაში რამდენიმე ათასი პატიმარი იყო, ამჟამად მათი რიცხვი 30 ათასამდეა.

– როდის გათავისუფლდით?

– 2012 წლის დეკემბერში ახალმა პარლამენტმა დიდი ამნისტია გამოაცხადა და ის მეც შემეხო. ასე რომ, ახალ წელს შინ შევხვდი.

პირველ რიგში, ყველა ჩემი ნათესავის მონახულებას ვაპირებ.

კერძებიდან ყველაზე მეტად მწვადი და ღვინო მინდა დავაგემოვნო. თუმცა, პატიმრობის შემდეგ კვებას კონტროლი სჭირდება და თავშეუკავებლობამ შეიძლება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს.

გლობალური გეგმები ჯერ არ მაქვს. უკვე 36 წლის ვარ და პატიმრობაში გატარებული სამი წლის შემდეგ მაღალ დონეზე ფეხბურთის თამაშს ვეღარ შევძლებ. ისე კი, შესაძლოა, ამ თამაშში სხვა ამპლუა შევითავსო.

– თქვენი მეგობარი, კახა კალაძე, ახალი ხელისუფლების წევრია. ის ახლა ენერგეტიკის მინისტრია. საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე როგორი რეაქცია გქონდათ?

– კახა ძალიან ნიჭიერი ადამიანია. დარწმუნებული ვარ, ის საქართველოს სიკეთეს მოუტანს. ვუსურვებ მას, რომ ქვეყანაში ყოველთვის ყოფილიყოს სინათლე.

რაც შეეხება ხელისუფლებაში ცვლილებებს, ეს ძალიან კარგია. მოვიდა ჭკვიანი, პატიოსანი და კეთილშობილი ხალხი. რაც მთავარია, საქართველოში არავის აღარაფრის ეშინია.

უწინ ყველა დაშინებული იყო, ყველას ციხეში სვამდნენ. მალე საპატიმროში ალბათ თავად სააკაშვილს ჩასვამენ. აქ მას ძალიან ელიან. ადგილიც კი აქვთ მისთვის შენახული – **"საქათმეში"**.

– ახალ ხელისუფლებაში მოსვლაზე თავად არ ფიქრობთ?

– ჯერ არ ვიცი. ალბათ უფრო არა, თუმცა მე მჯერა ახალი ხელისუფლების და იმის, რომ მართლა ააყვავებს ქვეყანას. სააკაშვილმა მსოფლიოს ილუზია შეუქმნა საქართველოს განვითარებაზე, სინამდვილეში კი შიგნით ყველაფერი სხვაგვარადაა.

– მსოფლიოს ამბებს მედიის საშუალებით იგებდით?

– პირველი ორი წელი არანაირი ინფორმაცია არ იყო. უკრაინაში გამართულ ევროპის ჩემპიონატს რადიოთი ვუსმენდი. ახლა, როცა გარეთ ვარ, ყველაფერი კარგადაა.

ვიცი, რომ უკრაინის ჩემპიონატში **"შახტარი"** ლიდერობს.

თუმცა, უკრაინულ ფეხბურთში ყველაზე მეტად არა **"შახტარი"** ან კიევის **"დინამო"**, არამედ დონეცკის **"მეტალურგი"** მაინტერესებს. ძალიან მინდა, რომ ამ გუნდმა ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულოს და ევროთასების საგზური მოიპოვოს. გადაეცით **"მეტალურგს"** დიდი მოკითხვა დემეტრაძისგან.

და საერთოდ, უკრაინაში ყველა მომიკითხეთ. უთხარით ყველას, რომ გიორგი თავისუფალია და კარგად არის.

ესაუბრა
დიმიტრი პოვოროზნიუკი

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

ივანიშვილი: „საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს"

„შერატონ მეტეხი პალასში" პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენცია გამართა. შეხვედრისათვის აკრედიტაცია 150 ჟურნალისტმა გაიარა. პრემიერ-მინისტრის რანგში ბიძინა ივანიშვილი მედიის წარმომადგენლებს მეორედ შეხვდა.

პრემიერის განცხადებით, საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღოს, რადგან ეს კარგი საფუძველია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა აღსადგენად. მისივე თქმით, ასეთი საფუძველი რომც არ ყოფილიყო, ის უნდა მოეგონებინათ და რაკიღა არსებობს, მასზე უარის თქმა საჭირო არაა. არასდროს, მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში, მისასალმებლად არ ითვლებოდა ის, რომ სახელმწიფოთა შორის დაძაბული ურთიერთობა გადასულიყო სპორტის სფეროში და ჩრდილი მიეყენებინა სოლიდური სპორტული ღონისძიებებისათვის. გავიხსენოთ, როცა 1978 წელს საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ავღანეთში, დაამხეს ამინის კანონიერი ხელისუფლება და იქ სისხლის ზღვა დააყენეს, ამერიკელებმა და მათ აყოლილმა რამდენიმე ქვეყანამ ბოიკოტი გამოუცხადეს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, თუმცა, ეს გახლდათ არასრულფასოვანი ბოიკოტი, რადგან ამერიკელებმა ვერ აიყოლიეს მსოფლიოს ბევრი კაპიტალისტური ქვეყანაც კი. მოგვიანებით კი თავად ამერიკელებიც სინანულით იხსენებდნენ ამ ფაქტს, რადგან ამ ღონისძიებით უპირველესად დაიჩაგრნენ აღნიშნული ბოიკოტის გამომცხადებელი ქვეყნის სპორტსმენები და გარკვეული ჩრდილი მიადგა ოლიმპიური თამაშების საერთაშორისოდ აღიარებულ მრავალსაუკუნოვან წესდებას.

„ოლიმპიადის ჩატარებას მივესალმებით. საქართველომ მასში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღოს. ჩვენი მხრიდან, როგორც მეზობელი, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ოლიმპიადა მშვიდობიანად და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდეს", – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, მან გაიხსენა ძველი საბერძნეთი, როცა ოლიმპიადების დროს ომები წყდებოდა. **„ჩვენ რა გვჭირს ისეთი, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობა ვერ მივიღოთ და ჩვენი სპორტსმენები დავსაჯოთ და არც სტრატეგია არ შევქმნათ, რომ რუსეთთან დავალაგოთ ურთიერთობა და მეგობრული ურთიერთობა აღვადგინოთ",** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ილუმორი

იდეალური ქორწინება ადამს და ევას ჰქონდათ: ადამს არავინ ეუბნებოდა, რა კარგი გოგოს მოყვანა შეეძლო... არც ევას უწევდა ადამისგან მიესმინა – რა კარგი დიასახლისი იყო დედამისი...

* * *

მახინჯაურში მატარებლიდან სომხების ოჯახი ჩამოვიდა. მათ მაშინვე აედევნა ტაქსის მძღოლი:

– ტაქსი არ გინდათ, ბათუმამდე იაფად წაგიყვანთ...

– მაინც რამდენად?

– 10 დოლარი – უფროსებზე, პატარებს კი უფასოდ წავიყვან...

– სათენიკ, ანუშ, არევიკ, ლოვიკ... ჩასხედით მანქანაში, ჩვენ ფეხით გამოვისეირნებთ...

* * *

ამონაწერი დღიურიდან:

1975 წელი. აღმომიჩინეს "გულაგის არქიპელაგის" ჩემი ხელით გადაწერილი ორი ეგზემპლარი. დამაპატიმრეს და 5 წელი მომისაჯეს ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის...

2012 წელი. აღმომიჩინეს "გულაგის არქიპელაგის" პრინტერზე ამობეჭდილი რამდენიმე ეგზემპლარი... 5 წელი მომისაჯეს საავტორო უფლებების დარღვევისათვის.

* * *

მიხოს სიდედრთან ჩხუბი მოუვიდა:

– განა არ ვიცი, შენ ჩემს სიკვდილს ელოდები, რომ მერე მოხვიდე და ჩემს საფლავს მიაფურთხო!

– ძალიანაც ცდები... კარგად იცი, მაგას ვერ ვიზამ – ჭირივით მეჯავრება რიგში დგომა...

ISSN 1987-8966 "ილორი"
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge